

178
975



178

საბჭოთა სამართალი

30

საქართველოს კვლევითი კომიტეტის გამომცემლობა

1975 **4**



საბჭოთა სამართალი

№ 4

1975 წელი
ივლისი-აგვისტო

შპრნალი გამოცემის 1975 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, ქრეკარაგვირისა და
უმაღლესი სასამართლოს ორგანო
ო რ თ ვ ი უ რ ი უ ნ ე ლ ი

შინაარსი

რამსუხუცეობის პარტიული აქტივის კრება	3
რ. შენგელია — მეუღლეთა ქონებრივი პასუხისმგებლობა პირადი და საერთო ვალისათვის	5
ვ. შარაშენიძე, ნ. წიქორიძე — მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნის წესების დაცვის პრაქტიკა	15
ო. კიკვიძე — ბრალულობის პრეზუმფცია ზიანის მიყენებისას და სასამართლო პრაქტიკა	28
რ. ქოდოშვილი — სამსჯავრო გამოძიების ზოგიერთ პროცესუალურ და ფსიქოლოგიურ თავისებურებათა შესახებ	31
გ. პაპიაშვილი — საპასპორტო სისტემის სრულყოფისათვის	40
ბ. ფარვაჭავჭავაძე — საბჭოთა კავშირისა და ირანის თანამშრომლობის სამართლებრივი და ეკონომიური ასპექტი	45

42799

კონსულტაცია

მეტნიერული კადრების მომზადების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები	56
ვ. მებრეველი — ნიკო ნიკოლაძე სამართლის რაობის და დანიშნულების შესახებ	64
ტ. მებრეველი, გ. ჭავჭავაძე — ამგდარი პედაგოგისა და იურისტის ცნობრების გზა	70
ოფიციალური მასალა	72
ინფორმაცია	94

იხმობი

შვიტოპელეკ კარპინსკი — ბედნიერი ქორწინება	95
---	----

СОДЕРЖАНИЕ

Республиканское собрание партийного актива	3
Р. Шенгелиა — Имущественная ответственность супругов по личным и общим долгам	5
В. Шарашенидзе, Н. Цикоридзе — О практике соблюдения правил увольнения рабочих и служащих	15
О. Киквидзе — Презумпция виновности при причинении вреда и судебная практика	28
Р. Чогошвили — О некоторых процессуальных и психологических особенностях судебного следствия	31
В. Попиашвили — К совершенствованию паспортной системы	40
Г. Парвисгур — Правовой и экономического аспекты сотрудничества Советского Союза и Ирана	45

КОНСУЛЬТАЦИЯ

Организационно-правовые формы подготовки научных кадров	56
В. Метревели — Н. Николадзе о сущности и назначении права	64
Т. Метревели, Г. Джавахишвили — Жизненный путь известного педагога и юриста. (Э. Мирианшвили)	70
Официальный материал	72
Информация	94

ЮМОР

Швятопелк Карпинеки — Счастливое супружество	95
--	----



სარედაქციო კოლეგია

შეგვ. № 3273
ტელეფონი 19 700
ფაქსი 04911

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი,
თ. დადიანი, გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე,
მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, ა. ტაკიძე, ვ. ქვაჩიანი,
თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

© „საბჭოთა სამართალი“, 1975 წ.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის პროსპ. 103.

გადაეცა წარმოებას 29/VIII-75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/X-75 წ. ქალაქის ზომა 70×108¹/₁₆; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4. სააღრიცხვო-სავაჭრომცემლო თაბახი 8,87.

საქ. კვ. ცვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография изд-ва ЦК КП Грузии, Гбилиси, ул. Ленина, 14.

რესპუბლიკური პარტიული აქტივის კრება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნა ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის საკითხებს.

კრების პრეზიდიუმში არიან ა. ინაშვილი, შ. კიკნაძე, ბ. კოლბინი, ზ. პატარაძე, მ. შამაგიაძე, თ. მოსაშვილი, შ. შარტაძე, ო. ჩერქაზია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ს. შიშკოვი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილე ს. ბუსუმი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსი, სამინისტროს კოლეგიის წევრი ი. რიაზიძე.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების მდივნები, მშრომელთა დებუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრები, რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელები და პარტიულ ორგანიზაციათა მდივნები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. კოლბინმა.

მოსხენება „რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების ამოცანები, სოციალისტური მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცებისა და სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრის საქმეში“ გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქაზიამ.

მოსხენების გამო კამათში გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ა. საჩხარაძე, აჭარის ასსრ პროკურორი ბ. ბურჩხაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ბ. ბაბუნია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ა. ინაშვილი, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატი დ. მოსაშვილი, საქართველოს სსრ პროკურორი ა. ტაბიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი თ. ბუაჩიძე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ი. ხაჩარაძე, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ვ. მაისურაძე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ჭავჭავაძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი ბ. კომილაძე, საქართველოს ალკა ცენტრალური

კომიტეტის მდივანი ვ. ბაქრაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. პარანაძე, საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პირველი მდივანი ა. პაპსაძე.

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შვპერდნაძემ.

პარტიული აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია.



მეუღლეთა ქონებრივი პასუხისმგებლობა პირადი და საერთო ვალისათვის

რ. ზინგაშვილი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

მეუღლეთა ქონებრივი პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე შეიძლება წარმოიშვას ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის როგორც მართლზომიერი, ისე არამართლზომიერი მოქმედების შედეგად. მათი პასუხისმგებლობის გამიჯვნის საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ის უკავშირდება ქონებაზე მეუღლეთა პირადი და საერთო საკუთრების უფლებას. საკითხისადმი ინტერესს აძლიერებს ისიც, რომ მოქმედი კანონმდებლობით იგი ერთგვაროვნად და სრულყოფილად არ არის გადაწყვეტილი, ხოლო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. მის სწორად გადაწყვეტას კი დიდი მნიშვნელობა აქვს, რათა არ შეიბღალოს მეუღლეების და მესამე პირების — კრედიტორების ინტერესები.

პირადი და საერთო ვალისათვის მეუღლეთა პასუხისმგებლობის გარკვევამდე მიზანშეწონილია გავეცნოთ მათ საკუთრებაში არსებული ქონების სამართლებრივი რეჟიმის ძირითად თავისებურებებს, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს მეუღლეთა პასუხისმგებლობის მოცულობის დადგენას.

საოჯახო კანონმდებლობით მეუღლეებს შეიძლება ჰქონდეთ პირადი და საერთო საკუთრების ქონება. პირადია ისეთი ქონება, რომელიც მხოლოდ ერთ-ერთ მეუღლეს ეკუთვნის და მას განკარგავს მეორე მეუღლისაგან დამოუკიდებლად. ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირის კანონმდებლობის საფუძვლებს მე-12 მუხლით თითოეული მეუღლის პირად საკუთრებად უპირველეს ყოვლისა ითვლება ქონება, რომელიც მათ ეკუთვნოდა დაქორწინებამდე, შემდეგ კი — ჩუქების ან მემკვიდრეობის წესით მიღებული ქონება. მოკავშირე რესპუბლიკების საქორწინო და საოჯახო კოდექსებით მათ ემატება კიდევ ერთი კატეგორია. საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 23-ე მუხლით და სხვა რესპუბლიკების კოდექსების შესაბამისი მუხლებით მეუღლეთა პირად საკუთრებად ითვლება აგრეთვე პირადი მოხმარების ნივთები (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ა. შ.), თუნდაც ისინი შექმნილი იყოს დაქორწინების შემდეგ მეუღლეთა საერთო სახსრებით, გარდა ძვირფასეულობისა. მოქმედი საოჯახო კანონმდებლობის ანალიზი უდაოდ იძლევა იმ დასკვნის საფუძველს, რომ ეს ჩამოთვლა ამომწურავი არ არის და ერთად ცხოვრების პერიოდში მეუღლეებს შეიძლება სხვა ქონებაზეც წარმოეშვათ პირადი საკუთრების უფლება. მაგალითად, ასეთ ქონებად განსაზღვრული პირობების არსებობისას შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო და ლენინური პრემია, ჯილდო, გასამრჯელო გამოგონებისათვის, აღმოჩენისათვის და სხვა.¹ მეუღლეთა პირადი საკუთრების

¹ В. Ф. Маслов, З. А. Подопрigора, А. А. Пушкин, Действующее законодательство о браке и семье. Харьков, 1972, стр. 65.

ქონების სამართლებრივი რეჟიმისათვის დამახასიათებელია ის, რომ ასეთი ქონების მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა ხდება თითოეული მეუღლის მიერ დამოუკიდებლად.

მეუღლეთა საერთო საკუთრებას წარმოადგენს მათ მიერ ქორწინების პერიოდში შექმნილი ქონება. უპირველეს ყოვლისა მათ ეკუთვნის მეუღლეთა ერთობლივი მოხმარების საგნები, აგრეთვე ფულადი დანაზოგი მისი მიღების წყაროს მიუხედავად. ვარდა ამისა თანასაკუთრებაში შედის ერთ-ერთი მეუღლის მიერ კრედიტით შექმნილი ნივთი, ობლიგაციისა და ლატარიის ბილეთები, ერთი მეუღლის სახელზე შეტანილი ანაბარი, პაი საბინაო სამშენებლო და სააგარაკო სამშენებლო კოპერატივში, ერთ-ერთი მეუღლის მფლობელობაში არსებული ძვირფასეულობა და ფუფუნების საგნები და სხვა.² მეუღლეებს აქვთ ასეთი ქონების სარგებლობის, მფლობელობისა და განკარგვის თანაბარი უფლება. კანონმდებელი თანასაკუთრების სამართლებრივი რეჟიმის დადგენისას გამოდის იმ დებულებიდან, რომ ასეთი ქონება შექმნილია მეუღლეთა საერთო შრომით. დახარჯული შრომის რაოდენობასა და ფორმას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს თანასაკუთრების წარმომშობი და მასზე მეუღლეთა თანაბრობის უფლებისათვის. საოჯახო კანონმდებლობით მეუღლეებს თანაბარი უფლება აქვთ ქონებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო მეურნეობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი. არა აქვს მნიშვნელობა აგრეთვე იმას, თუ ვინ შეიძინა ქონება ერთ-ერთმა მეუღლემ თუ ორივემ ერთად. არ არის საჭირო რაიმე მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მეუღლეებმა ქონება შეიძინეს ურთიერთ შეთანხმებით. ამ დროს მოქმედებს პრეზუმპცია იმის შესახებ, რომ ერთი მეუღლის მოქმედება შეთანხმებულია მეორესთან და მოწონებულია მის მიერ.³

მეუღლეთა საერთო საკუთრების რეჟიმის მომწესრიგებელი ნორმები იმპერატიული ხასიათისაა და მეუღლეებს შორის რაიმე შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავს ამ რეჟიმის გაუქმებას ან შეცვლას, ბათილია.

საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 23-ე მუხლისა და სხვა რესპუბლიკების კოდექსების შესაბამისი მუხლების საფუძველზე მეუღლეთა თანასაკუთრებად შეიძლება ცნობილი იქნეს თითოეული მეუღლის ქონება თუ დადგინდება, რომ დაქორწინების შემდეგ დახარჯული თანხის შედეგად ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა. (იგულისხმება კაპიტალური რემონტი, მშენებლობის დასრულება, გადაკეთება და სხვ.).⁴

მეუღლეთა თანასაკუთრება მკვეთრად განსხვავდება საერთო წილადი საკუთრებისაგან, რომელსაც აწესრიგებს სამოქალაქო კანონმდებლობა. საერთო წილადი საკუთრება შეიძლება ოჯახშიც წარმოიშვას, როცა ოჯახის წევრები უბ-

² И. А. Адоян, Судебные споры о разделе имущества, находящегося в общей совместной собственности супругов. Автореферат кандидатской диссертации. Тарту, 1975, стр. 16—20.

³ Р. А. Дзыба, Равноправие супругов — основной принцип советского семейного права. Казань, 1972, стр. 49.

⁴ ლიტერატურაში გამოითქვა აზრი, რომ ოჯახის განმტკიცების ინტერესებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია მეუღლეთა ქონების პირად და საერთო თანასაკუთრებად დაყოფის გაუქმება. პირადი საკუთრების გადაქცევა მეუღლეთა თანასაკუთრებად და მისი გაერთიანებით შეიღების ქონებასთან — ოჯახის საერთო საკუთრების შექმნა

(Е. М. Ворожейкин. Семейные правоотношения в СССР, М., 1972, стр. 59).

რალოდ თანამონაწილეობენ ამ ქონების შექმნაში. მსგავს შემთხვევაში არ შეიძლება საოჯახო სამართლებრივი ნორმების შეფარდება, ისე როგორც მეუღლეთა თანასაკუთრების სამართლებრივი რეგულირებისას არ შეიძლება საერთო საკუთრების შესახებ სამოქალაქო სამართლის ნორმების გამოყენება, რადგან იგი პრინციპულად ეწინააღმდეგება საბჭოთა ოჯახში შექმნილ მეუღლეთა შორის ურთიერთპატივისცემის, ნდობის და მხარდაჭერის დამოკიდებულებას.⁵

ამგვარად, მეუღლეთა პირადი და საერთო საკუთრების ქონების სამართლებრივი რეჟიმები განსხვავდება ერთმანეთისაგან და განსაზღვრული სპეციფიურობით ხასიათდება, რის გათვალისწინებაც აუცილებელია მეუღლეთა ქონებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნისას.

თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული შეხედულებით მეუღლეებს შეიძლება ჰქონდეთ პირადი და საერთო ვალი. იმის მიხედვით, თუ რა ვალთან გვაქვს საქმე, უნდა გადაწყდეს საკითხი, რომელ ქონებაზე — მეუღლეთა პირად თუ საერთო საკუთრებაზე უნდა მოხდეს გადახდევინების მიქცევა ვალის დასაფარავად.⁶

პირადად ითვლება მეუღლის ვალი, რომელიც წარმოიშვა დაქორწინებამდე ან ქორწინების პერიოდში, მაგრამ გამოწვეულია მისი ისეთი პირადი ქონების შექმნით, რაც არ ითვალისწინებს მეორე მეუღლის ან მთელი ოჯახის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ასეთი ვალი შეიძლება წარმოიშვას როგორც გარიგების, ისე სხვა პირისათვის ან მისი ქონებისათვის ზიანის მიყენების საფუძველზე. პირადია საალიმენტო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულება და სხვა. აქედან გამომდინარე არასწორად უნდა ჩაითვალოს კ. ი. მანაევის აზრი იმის შესახებ, რომ თითოეული მეუღლის პირად ვალს წარმოადგენს ისეთი ვალი, რომელიც გამოყენებულია არამართო მთელი ოჯახის, არამედ თვით ვალის ამღები მეუღლის საზიანოდ.⁷

პირადი ვალის დასაფარავად საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 25-ე მუხლისა და სხვა რესპუბლიკების კოდექსების შესაბამისი მუხლების საფუძველზე გადახდევინება შეიძლება მხოლოდ მოვალე მეუღლის პირადი ქონებიდან და საერთო საკუთრების მისი წილიდან. მეორე მეუღლეს ქონებრივი პასუხისმგებლობა არ ეკისრება. სწორად მოიქცა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლო, როცა დააკმაყოფილა ვაზგენ ბ-ვის სარჩელი აღწერილობის სიიდან ნახევარი ქონების ამორიცხვის შესახებ. მოსარჩელის მეუღლის — მარია ბ-ვას მიერ აღებული პირადი ვალის დასაფარავად აღწერილი იყო ორივე მეუღლის ქონება.

სხვაგვარად წყდება საკითხი, როცა საქმე გვაქვს ერთ-ერთი მეუღლის დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაღზაურებასთან. ამ დროს გადახდევინება მიიქცევა არამართო მოვალე მეუღლის პირად ქონებაზე და თანასაკუთრების მის წილზე, არამედ მეორე მეუღლის წილზეც, ე. ი. მეუღლეთა მთლიან თანასაკუთრებაზე. მაგრამ ამისათვის საჭიროა სასამართლოს განაჩენით, დადგენილი იყოს,

⁵ ს. ჯორბენაძე, საბჭოთა საოჯახო სამართალი, თბ., 1957, გვ. 229.

⁶ К. А. Граев. Имущественные отношения супругов, М., 1960, стр. 84.

В. А. Рясенцев, Семейное право, М. 1971, стр. 106.

А. М. Белякова, Е. М. Ворожейкин. Советское семейное право, М., 1974, стр. 151.

⁷ К. И. Манаев, Имущественные права граждан СССР в семье, Баку, 1973, стр. 66.

რომ ქონება შეძენილია დანაშაულის გზით მიღებული სახსრებით, ეს პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 25-ე მუხლის და სხვა რესპუბლიკების კოდექსების შესაბამისი მუხლების ბოლო ნაწილით. მხოლოდ ყაზახეთის სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსშია ცალკე 126-ე მუხლი, რომელიც აწესებს პასუხისმგებლობას ერთ-ერთი მეუღლის დანაშაულით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად. ამ ნორმის მოქმედება ვრცელდება აგრეთვე ისეთ შემთხვევაზეც, როცა ერთ-ერთი მეუღლის მიერ დანაშაულებრივი გზით მიღებული სახსრებით გაუმჯობესდა მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების ქონება და შესაბამისად გაიზარდა მისი ღირებულება. ამ დროს მეორე მეუღლის თანასაკუთრების წილზე გადახდევინება დასაშვებია მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც აღემატება ქონების აღრინდელ ღირებულებას. აქედან გამომდინარე ბუნებრივია, გადახდევინება არ გავრცელდება მეუღლის თანასაკუთრების იმ წილზე, რომელიც მას ეკუთვნოდა მეორე მეუღლის მიერ დანაშაულის ჩადენამდე. ერთ-ერთი მეუღლის მიერ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას კრედიტორის მოთხოვნათა უზრუნველყოფის მიზნით, დადგენილი წესით მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების აღწერის შემთხვევაში, მეორე მეუღლეს უფლება აქვს აღძრას სარჩელი აღწერილობათა სიიდან არამართო თავისი პირადი, არამედ საერთო საკუთრების მისი წილი ქონების ამორიცხვის შესახებ. ამიტომ სასამართლო, რომელიც იხილავს საქმეს დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, ვალდებულია უპირველეს ყოვლისა დაადგინოს თითოეული მეუღლის წილი თანასაკუთრებაში, განსაზღვროს კონკრეტული ქონება, რომელიც მოვალე მეუღლეს ეკუთვნის, საკმაო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში კი ამორიცხოს აღწერილობის სიიდან მეორე მეუღლის კუთვნილი ქონება.⁸

როცა ერთ-ერთ მეუღლეს დანაშაულის ჩადენისათვის ძირითად სასჯელთან ერთად ეფარდება დამატებითი სასჯელი — ქონების კონფისკაცია, კონფისკაციას ექვემდებარება მსჯავრდებულის პირადი ქონება და მისი წილი საერთო თანასაკუთრებაში.⁹ აქედან გამომდინარე კონფისკაცია არ შეეხება მეორე მეუღლის პირად ქონებას და მის საერთო თანასაკუთრების წილს, ისე როგორც საკოლმეურნეო კომლის თითოეული წევრის პირად ქონებასა და კომლის თანასაკუთრების მათს წილს. კონფისკაციის დროს ქონებაზე გადახდევინების მიცევისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქორწინო და საოჯახო კოდექსის ამ ნორმის მოთხოვნა.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ განაჩენში თუ არაფერია ნათქვამი მსჯავრდებულის მიერ დანაშაულებრივი გზით მიღებული სახსრებით ქონების შეძენის შესახებ, მეორე მეუღლის მიერ ქონების აღწერილობის სიიდან მისი წილის ამორიცხვის თაობაზე სარჩელის განხილვისას სასამართლო იმ დასკვნამდე მივა, რომ დაყადაღებული ქონება დანაშაულებრივი გზით მი-

⁸ Обзор судебной практики по делам об исключении имущества из описи (Освобождение имущества от ареста). «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1974, стр. 8—12.

⁹ Постановление Пленума Верховного Суда СССР от 29 сентября 1953 г. изменениями внесенными постановлениями Пленума от 14 марта 1963 г. и от 24 июня 1968 г. «О судебной практике по применению конфискаций имущества». «Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР 1924—1970 г.» М. 1970, стр. 349. X

ღებულის თანხებითაა შექმნილი, მაშინ მას შეუძლია სარჩელი არ დააკმაყოფილოს. ე. ი. გადახდევინება მიიქცევა თანასაკუთრების მეორე მეუღლის წილზეც. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განაჩენით მ. შ-შვილს მექრთამეობისათვის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით. მსჯავრდებულის მეუღლემ ნ. გ-შვილმა მოითხოვა აღწერილი ქონებიდან არაბული სასაბილო მოწყობილობის ამორიცხვა იმ მოტივით, რომ იგი მისი პირადი საკუთრებაა. გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გააუქმა გადაწყვეტილება და მიუთითა სახალხო სასამართლოს, რომ გაერკვია შექმნილი იყო თუ არა სადაო ქონება მსჯავრდებულის მიერ ქრთამად მიღებული თანხებით, რადგან განაჩენით ამ კითხვას თუმცა პირდაპირი პასუხი არ გაეცა, მაგრამ აღნიშნულია, რომ სადაო ქონების შექმნის პერიოდში მსჯავრდებული ეწეოდა ქრთამის სახით მნიშვნელოვანი თანხების გამოძღვას. საქმის ხელახალი განხილვის დროს სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სასაბილო მოწყობილობა შექმნილია დანაშაულებრივი გზით მიღებული თანხებით და სარჩელი სამართლიანად უარყო.

პრაქტიკაში ხშირად მსჯავრდებულ პირს ქონების კონფისკაციის შეფარდებასთან ერთად ეკისრება დანაშაულებრივი მოქმედებით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც. ასეთ შემთხვევაში უპირველეს ყოვლისა უნდა მოხდეს მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ხოლო შემდეგ კი — დარჩენილი ქონების კონფისკაცია.

ამგვარად შეიძლება დავასკვნათ, რომ ერთ-ერთი მეუღლის პირადი ვალისათვის, კანონით დადგენილი გამონაკლისის გარდა, გადახდევინება მიიქცევა მოვალე მეუღლის პირად ქონებასა და თანასაკუთრების მის წილზე.

უფრო დეტალურ ანალიზს მოითხოვს მეუღლეთა საერთო ვალის შინაარსის და მის საფუძველზე წარმოშობილი პასუხისმგებლობის დადგენა.

მეუღლეთა საერთო ვალად ითვლება ქორწინების პერიოდში ერთდროულად ორივე მეუღლის ქონებრივი ვალდებულება წარმოშობილი საერთო სამართლებრივ საფუძველზე. მათ მიეკუთვნება გარიგება, ზიანის მიყენება და სხვ.

ისეთი ვალი, რომელიც ამა თუ იმ ვალდებულებაში კონტრაგენტის სახით ორივე მეუღლის ერთდროულად გამოსვლის შედეგია, უდაოდ უნდა ჩაითვალოს საერთო ვალად, მიუხედავად იმისა, თუ რა მიზანს ემსახურებოდა ვალდებულება. საერთო ვალად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის ზიანი, რომელიც მეუღლეებმა ერთდროულად მიაყენეს მესამე პირს ან რომელიც მიაყენა მათ არასრულწლოვანმა შვილმა, რაშიც ბრალი ორივე მეუღლეს მიუძღვის. პრაქტიკაში მეუღლეები ერთდროულად მხარის სახით იშვიათად გამოდიან გარიგებებში. ხშირად გარიგებაში მონაწილეობს ერთ-ერთი მეუღლე. ამის გამო ხშირად სადაოა საკითხი იმის შესახებ, რომ ასეთი გარიგებიდან გამომდინარე ვალი მეუღლეთა საერთო ვალია თუ არა.

იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულია აზრი, რომ ერთ-ერთი მეუღლის მიერ აღებული ვალი თუ იგი გამომდინარეობს მეორე მეუღლის, ბავშვების

ან მთელი ოჯახის ინტერესებიდან, წარმოადგენს მეუღლეთა საერთო ვალს.¹⁰ ზოგიერთი ავტორი კი ასეთ ვალს პირად ვალად თვლის. მაგალითად, მოქალაქეთა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის დაკრედიტების სამართლებრივი საკითხების ანალიზისას კ. გ. ზამიატინა მიდის იმ დასკვნამდე, რომ ვალისათვის, რომელიც აღებულია ერთი მეუღლის მიერ თუნდაც ოჯახის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, პასუხს აგებს ვალის ამღები და არა მეორე მეუღლე. მის აზრით საბანკო სესხის დაფარვა არ შეიძლება დაეკისროს იმ მეუღლეს, რომელიც ბანკთან არ იმყოფება უშუალო სასესხო ურთიერთობაში, რომ სესხის დაფარვის ვალდებულება ეკისრება იმ მეუღლეს, რომლის სახელზეცაა გაფორმებული საბანკო სესხი.¹¹ ეს აზრი კ. გ. ზამიატინამ გაიმეორა ოჯახის წევრთა უფლება-მოვალეობებისადმი მიძღვნილ შრომაშიც.¹² ასეთი შეხედულება მცდარია და არასწორად წარმოგვიდგენს მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის ნამდვილ სურათს.

ამ საკითხში თავისებური პოზიცია დაიკავა ნ. ვ. რაბინოვიჩმა. მისი აზრით ოჯახის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე ერთ-ერთი მეუღლის მიერ აღებული ვალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ ასეთი ვალისათვის ქონებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ორივე მეუღლეს, მაგრამ ასეთი დასკვნა არ შეესაბამება მოქმედ სასამართლო პრაქტიკას და მას მოჰყავს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1948 წლის 19 მარტის დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია სასამართლოების მიერ ქონების აღწერილობათა სიიდან ამორიცხვის დროს ყურადღების გამახვილების აუცილებლობა იმაზე, თუ აღწერილი ქონებიდან რომელი ეკუთვნის მოვალე მეუღლეს და რომელი მეორე მეუღლეს, რათა ამ უკანასკნელზე არ მოხდეს გადახდევინების მიქცევა. ნ. ვ. რაბინოვიჩის აზრით გამოდის, რომ პასუხისმგებლობა მხოლოდ მოვალე მეუღლეს ეკისრება. მაგრამ რადგან აღნიშნულ დადგენილებაში არ არის მითითებული, თუ რომელ ვალზეა ლაპარაკი — ერთ-ერთი მეუღლის მიერ ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე აღებულ საერთო ვალზე თუ პირად ვალზე, არ არსებობს საკმაო საფუძველი ისეთი დასკვნის გასაკეთებლად, როგორსაც გვთავაზობს ნ. ვ. რაბინოვიჩი.¹³

ერთ-ერთი მეუღლის მიერ აღებული ვალის სწორი კვალიფიკაციისათვის ძირითად საფუძველს წარმოადგენს მიზანი, რომელმაც განაპირობა ვალის აღება. ბუნებრივია, როცა ვალი განკუთვნილია მეორე მეუღლის, ბავშვების ან მთელი ოჯახის ინტერესებისათვის, იგი უდაოდ უნდა ჩაითვალოს მეუღლეთა საერთო ვალად. საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა მეუღლეთა საერთო საკუთრების სამართლებრივი რეჟიმისათვის დამახასიათებელი პრინციპების უარყოფა იქნებოდა.

¹⁰ В. А. Рясенцев, Семейное право, М. 1971, стр. 109. Комментарий к кодексу о браке и семье РСФСР. М. 1971, стр. 54.

К. И. Манаев, Имущественные права граждан СССР в семье. Баку, 1973, стр. 58.

¹¹ К. Г. Замятина, Правовые вопросы кредитования жилищного строительства граждан. «Ученые записки Термского гос. университета», т. XIX, вып. 4, 1961, стр. 29.

¹² К. Г. Замятина, Права и обязанности членов семьи. Молотов, 1957, стр. 23.

¹³ Н. В. Рабинович, Личные и имущественные отношения в советской семье. Л. 1952, стр. 49—50.

მოქმედი საოჯახო კანონმდებლობა მეუღლეთა ქონებრივ პასუხისმგებლობას მათი საერთო ვალისათვის შემდეგნაირად წყვეტს. საერთო ვალისათვის, რომელიც ვალდებულებაში ორივე მეუღლის ერთდროულად გამოსვლის შედეგია, პასუხისმგებლობა სოლიდურად ეკისრება ორივე მეუღლეს, ე. ი. გადახდევინება მიიქცევა მეუღლეთა საერთო საკუთრებაზე, ხოლო თუ იგი საქმარისი არ აღმოჩნდა ვალის დასაფარავად, მაშინ — თითოეული მათგანის პირად ქონებაზეც. ასეთი პასუხისმგებლობა გამომდინარეობს იმ ნორმათა შინაარსიდან, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკების საქორწინო და საოჯახო კოდექსებში ეთმობა გადახდევინების მიქცევას მეუღლეთა ქონებაზე. გამონაკლისია რუსის საქორწინო და საოჯახო კოდექსში, რომლის 23-ე მუხლი მეუღლეთა ქონებაზე გადახდევინების მიქცევის წესის გადმოცემისას კატეგორიულად არ აყალიბებს საერთო ვალისათვის მეუღლეთა პასუხისმგებლობას.

სხვადასხვაგვარად წყდება პასუხისმგებლობა ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე ერთ-ერთი მეუღლის მიერ ვალის აღების დროს. ყაზახეთის სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 25-ე მუხლის პირველ ნაწილში ნათქვამია, რომ ორივე მეუღლე სოლიდურად აგებს პასუხს ერთ-ერთი მეუღლის ვალისათვის, თუ იგი წარმოიშვა თანასაკუთრების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის წესით ან ორივე მეუღლის ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ე. ი. მსგავს შემთხვევებში გადახდევინება მოხდება არა მარტო საერთო საკუთრების, არამედ პირადი ქონებიდანაც. ამ მუხლის მესამე ნაწილში აღნიშნულია, რომ თუ ერთ-ერთი მეუღლის ვალის შედეგად მოხდა საერთო საკუთრების წარმოშობა ან გაზრდა, მაშინ შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით გადახდევინება მოხდეს მეუღლეთა მთელი თანასაკუთრებიდან. ამ გადახდევინების ობიექტი არის მოვალე მეუღლის პირადი და ორივე მეუღლის თანასაკუთრება. ყაზახეთის სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 25-ე მუხლის მესამე ნაწილი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა გამოირიცხულია ამავე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული შემთხვევები.¹⁴

სხვა მოკავშირე რესპუბლიკების საოჯახო კანონმდებლობით ეს საკითხი თუმცა განსხვავებულად, მაგრამ მეტნაკლებად ერთნაირადაა გადაწყვეტილი. მაგალითად, საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 25-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულია, რომ ერთ-ერთი მეუღლის ვალდებულების დასაფარავად „მეუღლეები პასუხს აგებენ ქონებით, რომელიც მათ საერთო თანასაკუთრებას შეადგენს. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ რაც ვალდებულებით იყო მიღებული, გამოყენებულია მთელი ოჯახის ინტერესებისათვის“. მეუღლეთა პასუხისმგებლობა მსგავსი რედაქციით გადმოცემულია აზერბაიჯანის (მუხ. 30), სომხეთის (მუხ. 23), ყირგიზეთის (მუხ. 31), ტაჯიკეთის (მუხ. 24), ბელორუსიის (მუხ. 24), ლიტვის (მუხ. 25), ესტონეთის (მუხ. 26) და სხვა რესპუბლიკების საქორწინო და საოჯახო კოდექსებში. რაც შეეხება უკრაინის სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსს, მას ერთგვარი ნიუანსი შეაქვს ჩვენთვის საინტერესო საკითხში. ამ კოდექსის 31-ე მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნულია, რომ მეუღლეთა თანასაკუთრებაზე გადახდევინების მიქ-

¹⁴ ასეთი ნორმის არსებობა საქორწინო და საოჯახო კოდექსში არც არის აუცილებელი, რადგან ჯერ ერთი, მსგავსი შემთხვევები პრაქტიკაში იშვიათია და მეორეც, თუ ამ დროს მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობა ან გაზრდა მოხდება, მაშინ ასეთი ვალი შეიძლება მეუღლეთა საერთო ვალად ჩაითვალოს და პასუხისმგებლობა ორივე მეუღლეს თანაბრად დაეკისროს.

ცევა შეიძლება თუ სასამართლო დაადგენს, რომ ერთ-ერთი მეუღლის მიერ ვალდებულება გაცემულია მთელი ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე და რაც ვალდებულებით მიღებულია გამოყენებულია ოჯახის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ე. ი. აქ ყურადღება გამაზვიებელია არა მარტო იმაზე, რომ ვალდებულებით მიღებული ოჯახის ინტერესებისათვის უნდა იქნეს გამოყენებული, არამედ იმაზე, რომ მსგავსი ვალდებულების გაცემა ანუ ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობებში ერთ-ერთი მეუღლის მონაწილეობა ნაკარნახევი უნდა იყოს მთელი ოჯახის ინტერესებით. მიუხედავად ამ ნიუანსისა, ყველა კოდექსით გადახდევინების მიქცევა ხდება მოვალე მეუღლის პირად და ორივე მეუღლის საერთო საკუთრებაზე.

როგორც ვხედავთ, საერთო ვალისათვის მეუღლეთა პასუხისმგებლობის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. ყაზახეთში ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე ერთ-ერთი მეუღლის მიერ აღებული ვალისათვის შეიძლება მეორე მეუღლემ პირადი ქონებითაც აგოს პასუხი, ხოლო შუა აზიის სხვა რომელიმე რესპუბლიკაში, მაგალითად უზბეკეთში, გადახდევინება მეორე მეუღლის პირად ქონებაზე არ ვრცელდება. ან კიდევ, თუ საქართველოში მსგავსი ურთიერთობის დროს გადახდევინება დაწესებულია ვალის ამღები მეუღლის პირად და ორივე მეუღლის თანასაკუთრებაზე, ყაზახეთში ასეთი პასუხისმგებლობა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ვალის ამღები მეუღლის მოქმედებაში გამორიცხულია ოჯახის ინტერესები. მოკავშირე რესპუბლიკების საოჯახო კანონმდებლობაში მეუღლეთა ქონებრივი პასუხისმგებლობის სხვადასხვა გვარად გადაწყვეტა მიზანშეუწონელია. იმის გამო, რომ მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელ რაიმე თავისებურებათა არსებობა, გამორიცხულია, ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც ერთნაირად უნდა იქნეს გადაწყვეტილი ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. მაგრამ როგორ? რომელი ვარიანტი უნდა ჩაითვალოს საკითხის მართებულ გადაწყვეტად? ამისათვის საჭიროა გავარკვიოთ ერთი მეუღლის მიერ აღებული საერთო ვალის დროს პასუხისმგებლობის საფუძველი და ხასიათი. ამ საკითხებზე ლიტერატურაში სხვადასხვა შეხედულებაა.

ავტორთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ვალის ამღები მეუღლის პასუხისმგებლობის საფუძველი არის ვალის დაფარვის მის მიერვე ნაკისრი ვალდებულება. ამიტომ გადახდევინება გავრცელდება მის პირად ქონებაზე და თანასაკუთრების მის წილზე. მეორე მეუღლის პასუხისმგებლობის საფუძველად აღიარებულია თანასაკუთრებაში მისი წილის უსაფუძვლო გაზრდა ან დაზოგვა. მაგალითად. ი. ს. ჩერვონი თვლის, რომ მეორე მეუღლის თანასაკუთრების წილზე გადახდევინების მიქცევის საფუძველია ამ უკანასკნელის უსაფუძვლო გამდიდრება.¹⁵ ამავე აზრს იზიარებს კ. ა. გრავეც, მაგრამ მას ამ დროს წარმოშობილი პასუხისმგებლობა, ი. ს. ჩერვონისაგან განსხვავებით, მიაჩნია არა წილობრივად, არამედ სუბსიდიალურად, რადგან კრედიტორს უფლება აქვს, როცა ვალის ამღები მეუღლის ქონება არაა საკმარისი ვალის დასაფარავად, მეორე მეუღლეს მოთხოვოს ვალის გადახდა იმ ნაწილში, რომლითაც გაიზარდა მისი წილი თანაზიარ ქონებაში.¹⁶ ვ. ა. რიასენცევა თავისი მსჯელობა ამ საკითხზე აავსო ყაზახეთის სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 25-ე მუხლის შესაბამე ნაწილის

¹⁵ Ю. С. Червоный, Общее имущество супругов по советскому праву, Автореферат кандидатской диссертации М. 1952, стр. 12.

¹⁶ К. А. Граве, Имущественные отношения супругов, М. 1960, стр. 91.

ანალიზის საფუძველზე და იგი შეცდომით გაათანაბრა იმ ნორმებთან, რომლითაც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებში დაწესებულია მეუღლეთა ქონებრივი პასუხისმგებლობა ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე ერთ-ერთი მეუღლის მიერ აღებული ვალისათვის.¹⁷ როგორც ზემოდ ავლნიშნეთ ყაზახეთის სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 25-ე მუხლის მესამე ნაწილი ლოგიკური გაგრძელებაა ამავე მუხლის მეორე ნაწილისა, რომელშიც ლაპარაკია მეუღლეთა პირად ვალზე და დადგენილია გადახდევინების მიქცევა ვალის ამღები მეუღლის პირად ქონებაზე და თანასაკუთრების მის წილზე. მესამე ნაწილში არ არის ლაპარაკი ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე ერთ-ერთი მეუღლის მიერ აღებული ვალის დაფარვისას წარმომოხილ პასუხისმგებლობაზე და იგი არც შეიძლება იყოს, ვინაიდან მსგავს ურთიერთობაზე ლაპარაკია იმავე 25-ე მუხლის პირველ ნაწილში. ვ. ა. რიასენცევის აზრით ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე ერთ-ერთი მეუღლის მიერ აღებული ვალისათვის მეუღლეთა ქონებრივი პასუხისმგებლობა წილობრივია და ვალის ამღები მეუღლე პასუხს აგებს მის მიერვე ნაკისრი ვალდებულების საფუძველზე, ხოლო მეორე მეუღლე კი — ქონების უსაფუძვლო დაზოგვისა და გამდიდრების გამო. ამიტომ სხვადასხვაა მათი პასუხისმგებლობის ხარისხიც. ვალის ამღები მეუღლე პასუხს აგებს ვალის მთელი თანხის ფარგლებში, მეორე კი იმ ქონების ფარგლებში, რითაც გაიზარდა თანასაკუთრების მისი წილი. პირველი მეუღლე პასუხს აგებს პირადი ქონებითა და თანასაკუთრების წილით, მეორე კი მხოლოდ თანასაკუთრების წილით.¹⁸

ავტორთა მეორე ნაწილს სხვაგვარად აქვს წარმოდგენილი მეუღლეთა ქონებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი. მაგალითად, ნ. ვ. რაბინოვიჩი თვლის, რომ ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე ერთ-ერთი მეუღლის მონაწილეობა ვალდებულებაში განპირობებულია მეორე მეუღლის პრეზუმირებული თანხმობით, საერთო საკუთრების ერთობლივი მართვის წესით.¹⁹ მსგავსი შეხედულება გამოთქმულია სხვა ავტორების მიერაც.²⁰ მათი აზრით ქონებრივი პასუხისმგებლობა ვრცელდება არა მარტო ორივე მეუღლის თანასაკუთრებაზე, არამედ მოვალე მეუღლის პირად ქონებაზეც. გამონაკლისს წარმოადგენს კ. ი. მანაევი, რომელიც თვლის, რომ გადახდევინება მსგავს შემთხვევაში უნდა მოხდეს მეორე მეუღლის პირად ქონებაზეც.²¹

ჩვენი აზრით განხილულ შეხედულებათაგან მეორე უფრო სწორია. როცა ერთ-ერთი მეუღლე იღებს ვალს თანასაკუთრების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის ერთიანობის პრინციპიდან ან ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე მასში მეორე მეუღლის ნებაც არის გამოვლენებული. ასეთი ვალის შედეგებით მეორე მეუღლეც სარგებლობს. ყოველივე ეს ამ უკანასკნელს ვალის აღების თანამონაწილედ ხდის. მეუღლეთა თანასაკუთრების სამართლებრივი რეჟიმიდან გამომდინარე თუ შესაძლებელია ერთ-ერთი მეუღლის მიერ გარკვე-

¹⁷ В. А. Рясенцев, Семейное право, М. 1971, стр. 109.

¹⁸ იქვე, გვ. 110—111.

¹⁹ Н. В. Рабинович, Личные и имущественные отношения в советской семье, Л. 1952, стр. 49.

²⁰ Г. М. Свердлов, Советское семейное право, М. 1951, стр. 114.

В. А. Тархов, Советское семейное право, М. 1951, стр. 114.

К. И. Манаев, Имущественные права граждан СССР в семье. Баку, 1963, стр. 58.

²¹ იქვე, გვ. 60.

ული ქმედობის შესრულება საფუძვლად დაედოს მეორე მეუღლისათვის ქონების განსაზღვრულ ნაწილზე საკუთრების უფლების წარმოშობას, მაშინ რატომ არ შეიძლება პირუკუ მოხდეს — ერთ-ერთი მეუღლის ვალი ჩაითვალოს მეორე მეუღლის ვალადაც? აღნიშნულ შემთხვევაში მეუღლეთა პასუხისმგებლობა არ შეიძლება იყოს წილობრივი ან სუბსიდიალური. იგი მხოლოდ და მხოლოდ სოლიდარულია. ორივე მეუღლე თანაბრად არის ვალდებული კრედიტორის წინაშე. აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობის მოცულობის განსაზღვრისას არასწორად მიგვაჩნია იმ ავტორთა შეხედულება, რომლებიც თვლიან, რომ მსგავს შემთხვევებში გადახდევინების მიქცევა შესაძლებელია მეუღლეთა თანსაკუთრებასა და ვალის ამღები მეუღლის პირად ქონებაზე. მათი მსჯელობიდან გამოდის, რომ მეუღლე, რომელიც მონაწილეობას არ ღებულობს ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე ვალის აღებაში, სარგებლობს აღებული ვალის შედეგებით, ხოლო როცა მისი გადახდისათვის პასუხისმგებლობის საკითხი დგება, იგი პირადი ქონებით პასუხს არ აგებს, ე. ი. ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე ვალისათვის მეტი პასუხისმგებლობა მოვალე მეუღლის მხარეზეა. ეს სრული ულოგიკობაა და ეწინააღმდეგება საერთო ვალის შინაარსის გაგებას.

ქონებრივ ურთიერთობებში მეუღლეთა თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარეობს მეორე მნიშვნელოვანი პრინციპი — მეუღლეთა თანასწორი პასუხისმგებლობის პრინციპი. ამიტომ, როცა ოჯახის ინტერესებიდან ან საერთო საკუთრების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის ერთიანობის პრინციპიდან გამომდინარე ერთ-ერთი მეუღლე იღებს ვალს, ქონებრივი პასუხისმგებლობა უნდა გავრცელდეს ორივე მეუღლეზე თანაბრად და გადახდევინება უნდა მოხდეს არამარტო მეუღლეთა თანსაკუთრებისა და მოვალე მეუღლის პირადი ქონებიდან, არამედ მეორე მეუღლის პირადი ქონებიდანაც.

მოქმედი საოჯახო კანონმდებლობით მეუღლეთა საერთო ვალისათვის პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმების ერთიანობას საფუძვლად უნდა დაედოს კრედიტორის წინაშე მეუღლეთა სოლიდარული ქონებრივი პასუხისმგებლობა, როგორც თანსაკუთრებით, ისე პირადი ქონებით. ამიტომ საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის რედაქცია უნდა შეიცვალოს და მასში აისახოს ის მომენტი, რომ ოჯახის ინტერესებიდან და საერთო თანსაკუთრების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის ერთიანობის პრინციპიდან გამომდინარე ერთ-ერთი მეუღლის ვალდებულებისათვის გადახდევინება მიეჭკეს როგორც მეუღლეთა თანსაკუთრებაზე, ისე პირად ქონებაზე.



მეუა-მოსამსახურეთა საგუაოლან დათხოვნის ნენსის ღაცვის პრეპიკა

3. შარაშენიძე,

6. შიკორიძე,

საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლო ორგანოებში, სამოქალაქო საქმეთა განხილვაზე შედამხედველობის განყოფილების პროკურორი.

საქართველოს პროფსაბჭომ რესპუბლიკის პროკურატურასთან ერთად შეისწავლა და განაზოგადა 1973—1974 წლებში რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების მიერ განხილული სარჩელები სამუშაოზე აღდგენის თაობაზე. ანალიზში მოწმობს, რომ უკანასკნელ ხანს სამეურნეო, პროფკავშირულმა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა გასწიეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის 13 მარტის დადგენილები — „რესპუბლიკაში მშრომელთა სამუშაოდან დათხოვნისას შრომის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობის შესახებ“ შესასრულებლად.

განხორციელებულ დონისძიებათა შედეგად ამალდა სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა შრომის კანონმდებლობის დაცვისათვის, განმტკიცდა სახელმწიფო და შრომის დისციპლინა, შემცირდა მშრომელთა სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნა. სასამართლო სტატისტიკის მონაცემებით თუ 1963—1972 წლებში სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნილ პირთა პროცენტი 70—76-ს შეადგენდა, 1973 წელს ამ მონაცემმა 63,9, ხოლო 1974 წელს 65 პროცენტი შეადგინა.

მიუხედავად აღნიშნულისა შრომის კანონმდებლობის დაცვა ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მოთხოვნებს, რესპუბლიკაში სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების ამოცანებს.

ჯერ კიდევ ხშირია სამუშაოდან მშრომელთა უკანონოდ დათხოვნის შემთხვევები, განსაკუთრებით, სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის, ავტოტრანსპორტის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და კვების მრეწველობის სამინისტროებსა და უწყებებში.

სამეურნეო ხელმძღვანელები უხეშად არღვევენ შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის წესებს. ადმინისტრაციის ინიციატივით მუშა-მოსამსახურეებს სამუშაოდან ითხოვენ საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების უფლებათა შესახებ მე-18 მუხლისა და საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, ანუ პროფკავშირის კომიტეტის წინასწარი თანხმობის მიუღებლად. შესწავლილი 365 საქმიდან 243 მუშაკი სასამართლო ორგანოებმა აღადგინეს სამუშაოზე, მათგან 110 პირი პროფკავშირის კომიტეტთან შეუთანხმებლად გათავისუფლების გამო, რაც აღდგენილთა 45 პროცენტს შეადგენს.

შრომის კანონმდებლობის ამ ელემენტარული ნორმის დარღვევით გარდაბნის კოოპკავშირის გამეგობამ სამუშაოდან გაათავისუფლა № 23 სასადილოს

შზარეული ა.; და № 18 სასაბჭოო მებუფეტე ნ.; თბილისის სალონ „სილამა-ზის“ დირექციამ — მოლარე ბ.; ცეკავშირის უნივერსიტეტის სავაჭრო ბაზის დირექციამ — მოლარე ბ.; ცეკავშირის ცენტრალური უნივერსალური სავაჭრო ბაზის დირექციამ საქონელმცოდნე ნ.; თბილმრეწვაჭრობის სამმართველომ გამყიდველი ს.; მუკუზნის საბჭოთა მეურნეობის დირექციამ ბრიგადირი ყ. ანალოგიური დარღვევები დაშვებულია მრავალ სხვა საწარმოში, ორგანიზაცია-სა და დაწესებულებაში, ხოლო ყვარლის საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ა. ჩხარტიშვილმა მოკლე დროში ორჯერ დაითხოვა მედმუშაკი ც. და ორჯერვე პროფკავშირის ადგილკომთან შეუთანხმებლად.

ზოგჯერ ადმინისტრაცია სამუშაოდან ითხოვს მუშა-მოსამსახურეებს იმის მიუხედავად, რომ პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილკომმა არ მისცა მუშაკის განთავისუფლების თანხმობა. კანონის ამგვარი დარღვევით საქვაჭრობის მახარაძის განყოფილების დირექტორმა სამუშაოდან დაითხოვა კადრების განყოფილების ინსპექტორი ლ., ხოლო რუსთავის საკოლმეურნეო ბაზრის დირექტორმა მწონავი ხ.

მოქმედი კანონმდებლობა ცალკეული კატეგორიის მუშაკების განთავისუფლებისათვის აწესებს სპეციალურ გარანტიებს. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების 99-ე და საქართველოს სსრ შრომის კანონი კოდექსის 228-ე მუხლების შესაბამისად პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილკომის თავმჯდომარეები და წევრები, რომლებიც განთავისუფლებულნი არ არიან საწარმოო სამუშაოსაგან, ადმინისტრაციის ინიციატივით შეიძლება დაითხოვონ მხოლოდ მაშინ, თუ საკითხი წინასწარ შეთანხმებულია პროფკავშირის ადგილკომთან, და ზემდგომ პროფკავშირულ ორგანოსთან. ეს ნიშნავს, რომ ერთ-ერთთან საკითხის შეუთანხმებლობის ან სამუშაოდან განთავისუფლებაზე რომელიმე მათგანის უარის დროს დათხოვნა უკანონოა.

ამ წესების დარღვევით სამუშაოდან დაითხოვენ რუსთავის ვეტერინარული სადგურის ვეტექიმი, პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარე ბ.; თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების მწე, პროფკავშირის ადგილკომის წევრი ნ. და სხვები.

განსაკუთრებულ გარანტიებს აწესებს კანონი სსრ კავშირში მშრომელთა დებუტატების საბჭოების დებუტატების სტატუსის შესახებ, რომლის 32-ე მუხლით ადმინისტრაციის თავისი ინიციატივით საწარმოდან, ორგანიზაციიდან, დაწესებულებიდან დებუტატის დათხოვნა არ შეუძლია თუ საკითხს წინასწარ არ შეათანხმებს შესაბამის საბჭოსთან, ხოლო სესიებს შორის პერიოდში მშრომელთა დებუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასკომთან ან უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან.

მცხეთის არაგვის ხეობის წყალსადენის დირექტორმა სამუშაოდან დაითხოვა ადგილკომის წევრი, მცხეთის ქალაქის საბჭოს დებუტატი ა. არა მარტო პროფკავშირის ადგილკომისა და ზემდგომი პროფკავშირული ორგანოს თანხმობის გარეშე, არამედ აგრეთვე მშრომელთა დებუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასკომის თანხმობის გარეშე.

შრომის ტიპობრივი შინაგანაწესის მე-9 მუხლით შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა დაიშვება მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ საფუძვლებით.

ცალკეულ საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელები მშრომელებს სამუშაოდან მაინც ითხოვენ კანონით გაუთვალისწინებელი საფუძვლებით. ასე, მაგალითად, გორის სახელმწიფო თეატრის ადმინისტრაციამ მეხანძრე ქ. სამუშაოდან დაითხოვა „სამსახურებრივი მოვალეობის აღმავლობებელი დაუდევრობის გამო, რომელმაც დირექციას არ შეატყობინა მსახიობის ავადმყოფის შესახებ“; ცხაკაიას გეგეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა მუშები გ. და ბ. დაითხოვა „ნოქალაქევის თუთის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მოთხოვნით“; შუგდიდის იუველირვაჭრობის ხელმძღვანელობამ უფროსი გამყიდველი გ. „თანამშრომელთა შორის კინკლაობის აღკვეთისათვის სათანადო ზომების მიუღებლობის გამო“.

საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები ხშირად არ ითვალისწინებენ, რომ შრომის დისციპლინის დარღვევისათვის მუშაკის დათხოვნა ზემოქმედების უკიდურესი საშუალებაა და იმის ნაცვლად, რომ განახორციელონ აღმზრდელობითი ღონისძიებანი, გაუმართლებელ ადმინისტრირებას იჩენენ და პირველსავე გადაცდომისათვის სამუშაოდან ითხოვენ მუშა-მოსამსახურეებს, რაც შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევაა.

1973

საწარმოთა (დაწესებულებათა) ხელმძღვანელები ზოგჯერ დროულად არ ახდენენ რეაგირებას საწარმოო და შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტებზე და შრომის ტიპობრივი შინაგანაწესის 28-ე მუხლის, აგრეთვე შრომის კანონთა კოდექსის 136-ე მუხლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ მუშა-მოსამსახურეებს სამუშაოდან ითხოვენ დარღვევათა გამოვლინებიდან ერთი თვის ვადის გასვლის შემდეგ. რაც შემდეგში დისციპლინის დამრღვევი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის საფუძველი ღდება.

შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით აკრძალულია მუშაკის სამუშაოდან დათხოვნა მისი ავადმყოფობისა და შევებულებაში ყოფნის პერიოდში. მიუხედავად ამისა, თბილისის სტუდენტთა სამმართველომ კომენდანტი დ. სამუშაოდან იმ დროს დაითხოვა, როდესაც იგი საავადმყოფო ფურცელზე იმყოფებოდა, ხოლო ბორჯომის რაი-საავადმყოფოს ადმინისტრაციამ სამუშაოდან დაითხოვა შევებულებაში მყოფი ექთანი თ.

სასამართლო ორგანოებმა ყველა ამ საქმეებზე დააკმაყოფილეს სარჩევლები და მუშა-მოსამსახურეები აღადგინა სამუშაოზე.

ზოგჯერ მუშაკთა სამუშაოდან გათავისუფლების საბაბია პარტიული, საბჭოთა, ზემდგომი სამეურნეო, საკონტროლო და სხვა ორგანოთა შემოწმების, აგრეთვე რევიზიების მასალები, დავალებები და განკარგულებები. მაგრამ საწარმოს და დაწესებულების ხელმძღვანელები დადგენილ დარღვევებისათვის მუშაკს სამუშაოდან ანთავისუფლებენ მოქმედი წესების აშკარა და უხეში დარღვევით, რაც შემდეგ ამ მუშაკთა სამუშაოზე აღდგენის უღაო საფუძველი ხდება. მაგალითად, 1973 წლის ბოლოს პარტიული ორგანოების დავალებით ქ. თბილისის ავტოტექნიკოსსახურების სადგურებში ჩატარდა რეიდი, რომლის შედეგები სათანადო რეაგირებისათვის გადაეგზავნა „საქავტოტექნიკოსსახურების“ სამმართველოს. სამმართველოს ხელმძღვანელობამ სამუშაოდან გაათავისუფლა 4 მუშაკი მ-ი, თ-ი, ბ-ი და მ-ი, მაგრამ საკითხი არ შეუთანხმა პროფკავშირის კომიტეტს. ამ მუშაკებმა მიმართეს სახალხო სასამართლოს, რომელმაც ისინი აღადგინა სამუშაოზე.

გ. მარტის-ნათ. საგ. სტრ.

მახარაძის სამედიცინო ვაერთიანების მთავარმა ექიმმა პროფკავშირის კომიტეტთან შეუთანხმებლად სამუშაოდან დაითხოვა საბავშვო ბაღის მედლა ბ.-ე. ბრძანებას საფუძვლად დაედო ჯანდაცვის სამინისტროს ცირკულარული წერილი, რომელიც შეიცავდა რეკომენდაციებს ჩაეტარებინათ სამედიცინო კადრების სწორად შერჩევისა და განაწილების ღონისძიებები. წერილში აღნიშნული იყო, რომ თუ საჭირო გახდებოდა მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლება, საკითხი შეეთანხმებინათ პროფკავშირის კომიტეტთან. მთავარმა ექიმმა შესასრულა წერილის ერთი ნაწილი და უგულვებელყო მეორე, რის გამოც სახალხო სასამართლომ ბ.-ე აღადგინა სამუშაოზე.

მშრომელთა დებუტატების რუსთავეის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა 1973 წლის ნოემბერში იმსჯელა საკოლმეურნეო ბაზარში გამოვლენილ დარღვევებზე. ბაზრის ადმინისტრაციამ ამ ფაქტებზე რეაგირება მოახდინა 1974 წლის მარტში ე. ი. დარღვევების გამოვლინების დღიდან არა ერთი თვის, არამედ სამ თვეზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ, რაც სავაჭრო წესების დამრღვევი პირის სამუშაოზე აღდგენის საფუძველი გახდა.

თბილისის სალონ „სილამაზის“ დირექტორმა მიიღო ქალაქის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს დავალება მოლარე ბ. დაეთხოვა სალონში აღმოჩენილი ზედმეტობისათვის. მან საკითხი არ შეუთანხმა ადგილკომს. საქვაჭრობის მახარაძის განყოფილების მმართველმა პარტიის რაიკომის შემოწმების დროს გამოვლენილ დარღვევებისათვის ადგილკომთან შეუთანხმებლად სამუშაოდან გაათავისუფლა იმეზუფტე ქ.

მუშა-მოსამსახურეთა უკანონოდ დათხოვნა ზოგჯერ გამოწვეულია არა მარტო მოქმედი შრომის კანონმდებლობის უცოდინარობით, არამედ კანონის შეგნებული დარღვევითაც კი, აგრეთვე თანამდებობის პირის მხრივ კანონის უპატივცემლობით, მათი დარღვევისათვის დაუსჯელობის რწმენით.

მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან გათავისუფლების დროს მრავალ დარღვევებს უშვებენ პროფკავშირთა საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტებიც. ისინი ჯეროვნად ვერ იყენებენ კონტროლის უფლებას შრომის კანონმდებლობის დაცვისადმი, არ ასრულებენ საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 28 ივნისის დადგენილებას — „შრომის დავის განხილვის წესის შესახებ დებულების დამტკიცებასთან დაკავშირებით პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ“, რომლითაც პროფკავშირის კომიტეტებს დავალებული აქვთ მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან განთავისუფლებაზე ადმინისტრაციის წარდგინებები განხილონ და გადაწყვიტონ მუშაკის აუცილებელი დასწრებით და წარმოდგენილი მასალების ყოველმხრივი შესწავლის შემდეგ, საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განმარტა აგრეთვე, რომ კომიტეტი უფლებამოსილია სამუშაოდან დათხოვნის საკითხი განხილოს, როცა სხდომას ესწრება წევრთა არა ნაკლებ ორი მესამედი. როდესაც კომიტეტის ცალკეული წევრები გასულები არიან კომიტეტის შემადგენლობიდან სამუშაოდან განთავისუფლების განო ან სხვა მიზეზით ამორიცხულნი არიან საწარმოს (ორგანიზაციის, დაწესებულების) სიიდან საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების დამატებითი არჩევნების ჩატარებამდე, სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება დარჩენილი შემადგენლობის ორი მესამედი.

მიუხედავად აღნიშნულისა, პროფკავშირის კომიტეტები ზოგჯერ საფუძვლიანად არ სწავლობენ მუშაკის სამუშაოდან განთავისუფლების მასალებს, იჩენენ უპრინციპობას და ადმინისტრაციას არასწორად აძლევენ მუშაკის განთავი-

სუფლების თანხმობას. ასე მაგალითად, თბილისის ტყავის საწარმოო გაერთიანების პროფკავშირებმა საკითხის შეუსწავლელად ადმინისტრაციას მისცა ინჟინერ ე-ს განთავისუფლების თანხმობა შტატების შემცირების გამო, თუმცა შტატის შემცირებას ადგილი არ ჰქონია.

საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტროს ქ. თბილისის სასწავლო საწარმოს პროფკავშირის კომიტეტმა ადმინისტრაციას მისცა ჯ-ს სამუშაოდან დათხოვნის თანხმობა „სამქროში დებოშისათვის“, მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციამ ეს საკითხი დააყენა გადაცდომის გამოვლინების დღიდან ორი თვის შემდეგ და ამასთანავე დარღვევას არ ჰქონდა სისტემატური ხასიათი.

№ 2661 ავტოკოლონის პროფკავშირის ადგილკომმა თანხმობა მისცა ადმინისტრაციას გათავისუფლებინა მძღოლი პ. შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძვლით, თუმცა მუშაკის მიმართ ადრე გამოყენებული არ იყო აღმზრდელი ღონისძიებები; ტრესტ „სპეცმშენის“ პროფკავშირის კომიტეტმა ადმინისტრაციას მისცა ტექნიკოს ვ-ს გათავისუფლების თანხმობა მისი შვებულებაში ყოფნის პერიოდში და სხდომაზე მის დაუსწრებლად.

ზესტაფონის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ადგილკომმა მძღოლ გ-ს, ზესტაფონის ფეროშენადნობთა საქარხნო კომიტეტმა მდნობელ ს-ს, სიღნაღის სატვირთო ასკ ადგილკომმა მძღოლების მ-ს, ნ-ს, და ქ-ს საკითხების განხილვისას ადმინისტრაციას მისცა მუშაკთა განთავისუფლების თანხმობა დასათხოვნი პირის პროფკავშირის კომიტეტის სხდომაზე მოუწვევლად და დაუსწრებლად. თბილისის ჯანგანის საკურორტო სამმართველოს ადგილკომმა, ადგილკომის წევრის მნე ფ-ს საკითხის განხილვისას, აგრეთვე „საქთამბაქოს“ გაერთიანების პროფკავშირის კომიტეტმა ადმინისტრაციას თანხმობა მისცეს დაეთხოვათ, ფ. და მუშაკთა ჯგუფი შტატების შემცირების მოტივით ისე, რომ არ მოიწვია მუშაკები სხდომაზე და არ ვაარკვია მუშაკთა სხვა სამუშაოზე მოწყობის შესაძლებლობა. სადახლოს მალაროთა სამმართველოს პროფკავშირის კომიტეტმა კი ადმინისტრაციას მისცა თანხმობა შტატების შემცირების მოტივით 81 მუშაკის გათავისუფლების შესახებ, ამ მუშაკთა სხდომაზე მოუწვევლად და დაუსწრებლად.

ასეთივე დარღვევები დაუშვა გურჯაანის რაიონის კარდანახის ღვინის ქარხნის პროფკავშირის კომიტეტმა, რომელმაც ადმინისტრაციას მისცა სამუშაოს მოცულობის შემცირების გამო სამუშაოდან 13-მძღოლის გათავისუფლების თანხმობა.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი კატეგორიულად მოითხოვს საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტებისაგან, რომ არ განიხილონ ადმინისტრაციის წარდგინებები და არ მისცენ დათხოვნის თანხმობა, თუ ადმინისტრაცია თანხმობას თხოულობს დათხოვნის შესახებ ბრძანების გამოცემის შემდეგ.

მაგრამ პროფკავშირის კომიტეტები ზოგჯერ მუშაკის დათხოვნის თანხმობას იძლევიან ამ მოთხოვნის დარღვევით. მაგალითად, მცხეთის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ადგილკომმა მძღოლ ჩ-ს დათხოვნის თანხმობა მისცა 1974 წლის 22 მაისს, მაშინ როდესაც ბრძანება გამოიცა 5 დღით ადრე, 17 მაისს.

ცალკეული ადგილკომები მუშაკთა სამუშაოდან განთავისუფლების თანხმობის საკითხს იხილავენ წარმომადგენლობის ნორმების დაუცველად. ამ წესის დარღვევის გამო სასამართლო ორგანოებმა სამუშაოზე აღადგინეს საქ-



ნახშირმომარაგება-გასაღების ეკონომისტი კ. და გურჯაანის № 68 ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლები მ-ე, დ-ე და ა.

იშვიათი როდია შემთხვევა, რომ პროფკავშირის კომიტეტები სცდებიან თავიანთ კომპეტენციის ფარგლებს და იხილავენ არაქვემდებარე საქმეებს: ასე, მაგალითად, რუსთავის ცემენტის ქარხნის პროფკავშირის კომიტეტმა განიხილა დისციპლინის დარღვევისათვის დისპეტჩერ მ-ს დაბალხელფასიან სამუშაოზე ჩამოქვეითების საკითხი და ადმინისტრაციას მისცეს თანხმობა, რაც მის კომპეტენციაში არ შედის. დისციპლინური სასჯელის დადებისათვის პროფკავშირის კომიტეტის თანხმობა საჭიროა თუ საქმე ეხება პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარეს ან წევრს (საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 228-ე მუხლი).

თავის უფლებებს გასცდა № 3 თბილკვებვაჭრობის გაერთიანებული კომიტეტიც, რომელმაც განიხილა № 18 პავილიონის გამგის მოადგილის კ-ს სამუშაოზე აღდგენის საკითხი. კომიტეტმა იგი აღადგინა სამუშაოზე და გასცა ფორმა № 3 სამუშაოზე მისი იძულებითი წესით აღდგენის შესახებ. გაერთიანებულმა კომიტეტმა არ გაითვალისწინა, რომ სამუშაოზე აღდგენის საკითხი, მაღაზიის (პავილიონის) გამგის მოადგილისა, რომელსაც დაქვემდებარებაში ჰყავს მუშაკები, განიხილება ზემდგომი სამეურნეო ორგანოს მიერ (შრომის დავების განხილვის წესის შესახებ დებულების დანართი № 1 ნუსხა № 1). გაერთიანებული კომიტეტი გასცდა თავის უფლებებს იმ ნაწილშიც, რომ საკითხი განიხილა როგორც შრომის დავის განმხილველმა ორგანომ, მაშინ როდესაც შრომის კანონმდებლობის საფუძვლების ძალაში შესვლის შემდეგ (ე. ი. 1971 წლის 1 იანვრიდან) ადმინისტრაციის ინიციატივით სამუშაოდან დათხოვნილი მუშაკის შრომის დავას სამუშაოზე აღდგენის შესახებ განიხილავს უშუალოდ სახალხო სასამართლო (საფუძვლების 89-ე მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 203 მუხლის მე-2 ნაწილი).

პროფკავშირთა საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის უფლებათა შესახებ დებულების მე-18 მუხლის, შრომის კანონმდებლობის საფუძვლების მე-18, აგრეთვე შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლების შესაბამისად, ადმინისტრაციის ინიციატივით მუშაკის სამუშაოდან დათხოვნის ნებართვას იძლევა პროფკავშირის კომიტეტი, ამიტომ არასწორია ადმინისტრაციის და იმ პროფკავშირული კომიტეტების მოქმედება, რომლებიც მუშაკის დათხოვნის საკითხს უთანხმებენ კოლექტივის წევრთა საერთო კრებას. ასეთი დარღვევები დაუშვეს თბილისის კინოთეატრ „სპარტაკში“ დ-ს და რუსთავის № 3 საბავშვო ბაღში მ-ს სამუშაოდან განთავისუფლების დროს.

შრომითი დავების გადაწყვეტის დროს ჯერ კიდევ ბევრ შემთხვევაში უშვებენ სასამართლო ორგანოები. ხშირია არასწორ გადაწყვეტილებათა და განჩინებათა გამოტანის, მატერიალური და პროცესუალური ნორმების დარღვევის შემთხვევები, სასამართლოები ზევჯერ სარგებლობენ ძველი, გაუქმებული კანონმდებლობით, არ იცნობენ ახალ ნორმებს და სსრ კავშირის და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოების პლენუმების დადგენილებებს, პროცესები ზოგჯერ ტარდება პროკურორების მონაწილეობის გარეშე. არის შეცდომები ქვემდებარეობისა და ხანდაზმულობის საკითხების გარკვევაში. მოსამართლეები გაუბედობას იჩენენ თანამდებობის იმ პირთა მიმართ, რომლებიც უხეშად არღვევენ შრომის კანონმდებლობას, საფუძვლიანად არ სწავლობენ და გადაჭრით არ ებრძვიან შრომის დავების წარმომშობ პირობებსა და მიზეზებს. სასამართლო

სამჯავრო გამოძიება და გამოტანილი გადაწყვეტილებები ან განჩინებები სრულად არ პასუხობენ მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის ამოცანებს.

საფუძვლების 89-ე, კოდექსის 203-ე და შრომის დავების განხილვის წესის შესახებ დებულების 38-ე მუხლებში განსაზღვრულია, თუ რა შემთხვევებში განიხილავენ უშუალოდ სახალხო სასამართლოები შრომით დავებს. ამ საკითხზე სპეციალურ განმარტებას იძლევა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1971 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება — „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების სასამართლო პრაქტიკაში გამოყენების შესახებ“. დადგენილების პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ უშუალოდ სასამართლოში, შრომის დავის კომისიისა და პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტისათვის მიუმართავად განიხილება მუშა-მოსამსახურეთა სარჩელები სამუშაოზე აღდგენის შესახებ, რომლებთანაც შრომის ხელშეკრულება მოშლილია ადმინისტრაციის ინიციატივით, ხოლო სხვა სამუშაოზე უკანონოდ გადაყვანილ მუშა-მოსამსახურეთა ადრინდელ სამუშაოზე აღდგენის დავები, აგრეთვე დავები, რომლებიც წარმოიშვა მუშაკის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებით, მიიღებიან სასამართლო წარმოებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს დავები წინასწარ იყო განხილული შრომის დავის კომისიისა და პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტებში.

ამიტომ, სწორად არ მოიქცა გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლო, რომელმაც 1974 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა კულქტურის განყოფილებიდან პირადი განცხადებით განთავისუფლებული ი-ს სარჩელი სამუშაოზე აღდგენის შესახებ და არ მიაქცია ყურადღება, რომ დავა წინასწარ არ იყო განხილული შრომის დავის კომისიისა და პროფკავშირის ადგილკომის მიერ (საქმე № 2/14);

კანონს არ შეესაბამება ქ. თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო სასამართლოს მოქმედება, რომელმაც დაბალხელფასიან სამუშაოზე ჩამოქვეითებული ცეკავშირის ცენტრალური სავაჭრო ბაზის საქონელმცოდნის სარჩელის განხილვისას არ გაითვალისწინა, რომ შრომითი დავა წინასწარ განხილული იყო მხოლოდ პროფკავშირის ადგილკომის სხდომაზე და გვერდი ჰქონდა ავლილი შრომის დავის კომისიას (1974 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება, საქმე № 2/355);

რუსთავის სახალხო სასამართლომ კი 1973 წლის 28 დეკემბერს განიხილა რკინა-ბეტონის ნაკეთობათა კომბინატის მეგეტონის კ-ს სარჩელი პირადი განცხადებით სამუშაოდან განთავისუფლების უსწორობის შესახებ და უყურადღებოდ დატოვა, რომ საკითხი განხილული იყო მხოლოდ შრომის დავის კომისიის მიერ (საქმე № 2—286—74).

1974 წელს თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ და საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ორ-ორჯერ განიხილეს საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მსახიობის ტ-ს სამუშაოზე აღდგენის სარჩელი, რომელიც პირადი განცხადების საფუძველზე გაათავისუფლეს სამუშაოდან. საქმის განხილველმა სასამართლო ორგანოებმა ყურადღება არ მიაქციეს იმ გარემოებას, რომ დავა მათ განხილვას არ ექვემდებარებოდა, რადგან ამ პირს არ მიუმართავს შრომის დავის კომისიისა და ადგილკომისათვის.

ზოგჯერ სასამართლოები შეცდომებს უშვებენ საქმეთა განხილვის ქვემდებარეობის განსაზღვრაში.

რუსთავის სახალხო სასამართლომ და შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ არ განიხილეს რუსთავეაჭრობის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ოსტატის გ-ს სარჩელი სამუშაოზე აღდგენის შესახებ იმ მოტივით, რომ ოსტატის თანამდებობა დასახელებულია შრომის დავის განხილვის წესის შესახებ დებულების დანართ № 1-ში და არ გაარკვია, რომ სამშენებლო ოსტატებზე აღნიშნული დანართი არ ვრცელდება, ვინაიდან აქ დასახელებულია მხოლოდ სამშენებლო უბნების უფროსები და სამშენებლო ორგანიზაციების სამუშაოთა უფროსი მწარმოებლები (საქმე № 2—101 (2—74). მარნეულის სახალხო სასამართლომ კი, პირიქით 1974 წელს განიხილა და აღადგინა რაიკავშირის ტარის საამქროს ოსტატი ბ-ი (საქმე № 2—92), რომლის სამუშაოზე აღდგენის დავა სასამართლო ორგანოების განხილვას არ ექვემდებარება.

საფუძვლების 90-ე მუხლით დადგინდა, რომ მუშებსა და მოსამსახურეებს შეუძლიათ მიმართონ დათხოვნის საქმეთა გამო რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დათხოვნის ბრძანების ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში (შეესაბამება კოდექსის 204-ე მუხლი). სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1971 წლის 19 ოქტომბრის დადგენილებაში დაზუსტდა, რომ ხანდაზმულობის ვადების გამოანგარიშება უნდა მოხდეს ბრძანების ჩაბარების მომდევნო დღიდან და სასამართლოებს განემარტათ, რომ ხანდაზმულობის ვადის გაშვების გამო სასარჩელო განცხადების მიღებაზე უარის თქმა არ შეიძლება. თუ ვადა გაშვებულია საპატიო მიზეზით, დარღვეული უფლებები დაცული უნდა იქნეს.

თუმცა სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს ასეთი გარკვეული პოზიცია უკავია, სახალხო სასამართლოები ზოგჯერ მაინც ცდებიან სამუშაოზე აღდგენის საკითხებზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების განსაზღვრაში, უსაფუძვლოდ უარყოფენ საქმის განხილვის მოთხოვნებს ან პირიქით, დაუსაბუთებლად აკმაყოფილებენ გათავისუფლების ბრძანების ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადას შემდეგ აღძრულ სარჩელებს.

ქ. გორის სახალხო სასამართლომ 1973 წლის 16 აგვისტოს განჩინებით უარი უთხრა გორის სამეზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მუშაკს სარჩელის განხილვაზე ხანდაზმულობის მოტივით (საქმე № 2/1), ხოლო ქ. თბილისის კიროვის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ ტყავის საწარმოო გაერთიანების ინჟინერს (საქმე № 2/26). ამიტომ, სრულიად სამართლიანად, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიებმა გააუქმეს სახალხო სასამართლოების განჩინებები, დააბრუნეს საქმეები ხელახალი განხილვისათვის და მიუთითეს, რომ ხანდაზმულობის ვადები მატერიალური სამართლის საგანია და სარჩელები უნდა არსებითად განხილულიყო.

ახმეტის რაიონის სახალხო სასამართლომ 1974 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა კ-ს სარჩელი საკონსერვო ქარხანასთან სამუშაოზე აღდგენის შესახებ იმ მოტივით, რომ დათხოვნის დღიდან სარჩელის აღძვრამდე განვლო 4 თვემ და გაშვებული იყო სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. ამავ სასამართლომ ქისტაურის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირის ბ-ს

სარჩელი განსახილველად მიიღო დათხოვნის დღიდან 4 თვის გასვლის შემდეგ და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე სამუშაოზე აღადგინა 1974 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით, ხოლო მალრანის საბჭოთა მეურნეობის დარაჯის ქ-ს სარჩელი მიიღო და განიხილა დათხოვნიდან 11 თვის გასვლის შემდეგ. სამივე შემთხვევაში სახალხო სასამართლოს არ გაურკვევია მოსარჩლეების მიერ სარჩელის აღძვრის ვადებას გაშვების მიზეზები და დაუსაბუთებლად ერთ შემთხვევაში არ დააკმაყოფილა სარჩელი ხანდაზმულობის ვადის გაშვების გამო, ხოლო ორ შემთხვევაში ვადების საკითხები უყურადღებოდ დატოვა.

სახალხო სასამართლოები არც თუ იშვიათად არასწორ გადაწყვეტილებებს იღებენ შტატების შემცირების მოტივით სამუშაოდან დათხოვნილი მუშაკების სარჩელების განხილვისას. დაადგინენ რა მუშაკის ამ მოტივით სამუშაოდან დათხოვნის უსწორობას, სასამართლოები უარს ეუბნებიან მუშაკს აღდგენაზე შტატების გაუქმების გამო, თუმცა ასეთი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1971 წლის 19 ოქტომბრის დადგენილების შესაბამისად, დაიშვება მხოლოდ საწარმოს, ორგანიაციის, დაწესებულების მთლიანი ლიკვიდაციის შემთხვევაში.

ქუთაისის სახალხო სასამართლომ 1974 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით საფუძვლიანად მიიჩნია ქვის სატენ-დამხარისხებელი ქარხნის ცვლის უფროსის ლ-ს სარჩელი, მაგრამ აღდგენაზე უარი უთხრა შტატის არარსებობის გამო (საქმე № 2/665).

გურჯაანის სახალხო სასამართლომ 1974 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით არასწორად მიიჩნია კარდანახის ღვინის ქარხნის მძღოლის ს-ს სამუშაოდან დათხოვნა, ვინაიდან იგი ადგილკომის სხდომაზე არ იყო მიწვეული, დააკმაყოფილა იძულებით გაცდენილი პერიოდის ხელფასის 294 მანეთის მოთხოვნა, მაგრამ საშტატო ერთეულის გაუქმებისა და ავტომანქანის სხვა ორგანიზაციისათვის გადაცემის გამო, აღმასრულებელი ფურცლის გაცემაზე უარი უთხრა (საქმე № 2—194—74).

სახალხო სასამართლოები ზოგჯერ შტატების შემცირების მოტივით სამუშაოდან დათხოვნილ პირთა სარჩელებს არ აკმაყოფილებენ, ამასთან არ არკვევენ მიიღო თუ არა მოპასუხემ ღონისძიებები; მოსარჩლის სხვა სამუშაოზე გადასაცვანად ე. ი. შეასრულა თუ არა ადმინისტრაციამ კოდექსის 34-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა.

სახალხო სასამართლოები ხშირად არასწორად წყვეტენ მუშაკის აღდგენისას იძულებით გაცდენილი პერიოდის ანაზღაურების საკითხს, გადაწყვეტილებებით ახდენენ კანონით დადგენილზე მეტ ან ნაკლებ თანხებს, ან არ აკმაყოფილებენ მოთხოვნებს და არც ასაბუთებენ მათ.

ქ. თბილისის ღვინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ № 6 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მუშაკის გ-ს მოთხოვნა 4 თვის გადაყენების პერიოდის ხელფასის ანაზღაურების შესახებ სრულად დააკმაყოფილა (საქმე № 2—796). იმავე რაიონის სასამართლომ 1974 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა მე-4 პურის ქარხნის ცვლის უფროსის მ-ს სარჩელი სამუშაოზე აღდგენის შესახებ და მხოლოდ ერთი თვის გაცდენილი პერიოდის ხელფასის (110 მანეთის) ანაზღაურება დააკისრა მოპასუხეს, თუმცა მოსარჩლე 5 თვის წინ იყო გათავისუფლებული (საქმე № 2—1050).

შრომის კანონთა კოდექსის 207-ე მუხლით დადგენილი იძულებით გაცდე-



ნილი დროის ხელფასის ანაზღაურების ოდენობა კანონით დადგენილი ნორმა და არ შეიძლება გადაწყდეს ცალკეული სასამართლოს შეხედულებით.

გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლომ 1974 წლის 22 ივლისს სამუშაოზე აღადგინა სამტრედიის მუკუნის საწარმოო ვერტიკალის მუშა ბ-ი და ორგანიზაციას დააკისრა ერთი თვის ხელფასის ანაზღაურება, მაშინ როდესაც მოსარჩლე სამუშაოდან დათხოვნილი იყო 14 თვის წინათ. იმავე სასამართლომ 1974 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილებით ერთი თვის ხელფასის ანაზღაურება დააკისრა გურჯაანის რაიონის მუკუნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას ყ-ს სასარგებლოდ, რომელსაც ფაქტიურად 2 თვე გაუცდა. მოსარჩლე ს-ს დათხოვნიდან მე-13 დღეს აღადგინა გურჯაანის სახალხო სასამართლომ 1974 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით და მოპასუხე ორგანიზაციას მოსარჩლის სასარგებლოდ ერთი თვის ხელფასის გადახდა დააკისრა. ამ შემთხვევაში სასამართლომ გაუმართლებელი ხელგაშლილობა გამოიჩინა ორგანიზაციის ხარჯზე და 18 დღის ხელფასი ზედმეტად მისცა მოსარჩლეს.

სასამართლოები ხშირად ზუსტად არ განსაზღვრავენ სამუშაოზე აღდგენილი მუშაკისათვის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობას და მხოლოდ ზოგადად მიუთითებენ ასანაზღაურებელ პერიოდს (ერთი თვე, ორი თვე, სამი თვე); რაც შემდგომ სიძნელეებს ქმნის გადაწყვეტილების აღსრულებაში. დაკმაყოფილებული 243 საჩივრიდან ასანაზღაურებელი თანხა არ იყო განსაზღვრული 80-მდე გადაწყვეტილებაში.

1973—1974 წლებში სახალხო სასამართლოები უფრო ხშირად იყენებენ დარღვევებზე რეაგირების ისეთ ფორმებს, როგორცაა კერძო განჩინებები. თუ 1972 წელს სამუშაოზე აღდგენის საქმეებზე დაიწერა 160 განჩინება, 1973 წელს გამოტანილია 175, ხოლო 1974 წელს — 229 კერძო განჩინება. მართალია მათი რაოდენობა იზრდება, მაგრამ ბევრი კერძო განჩინების ფორმა და შინაარსი არ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს, გამოტანილია ფორმალურად და ზოგჯერ შეცდომებსაც კი შეიცავს.

მახარაძის რაიონის სახალხო სასამართლომ 1974 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილებით სამუშაოზე აღადგინა საკოლმეურნეო ბაზრის სასტუმროს აღმინისტრატორი ბ-ე, რომელიც გადაყვანილი იყო სხვა სამუშაოზე. სასამართლომ აღდგენას საფუძვლად დაუდო არა შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლი, არამედ გადაყვანის შეუთანხმებლობა პროფკავშირის კომიტეტთან, რაც საჭიროა მხოლოდ ადგილკომის თავმჯდომარის ან წევრის დისციპლინური სასჯელის სახით გადაყვანისას. სასამართლომ საქმე განიხილა ისე, რომ დავა წინასწარ არ იყო განხილული შრომის დავის კომისიისა და ადგილკომის მიერ. ბაზრის დირექტორის მიმართ გამოტანილ კერძო განჩინებაში სასამართლომ არასწორად მიუთითა, რომ მუშაკის სხვა სამუშაოზე გადაყვანისათვის აუცილებელია პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმება. (საქმე № 2/74).

რუსთავის სახალხო სასამართლომ აღადგინა სამუშაოზე ვეტეჟი ბ. და გამოიტანა კერძო განჩინება სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის რაიონული კომიტეტის მიმართ. განჩინებაში აღნიშნულია, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა არ იციან შრომის კანონმდებლობა, თუმცა თვით სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე გამოავლინა შრომის კანონმდებლობის ელემენტალური ნორმების უცოდინარობა. ჯერ ერთი, გადაწყვეტილებაში დაყრდნობა პროფკავშირთა საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივი კომიტეტების

უფლებათა შესახებ გაუქმებული დებულების მე-10 მუხლს და მეორეც, მატერიალური პასუხისმგებლობა — 65 მანეთის ანაზღაურება მუშაკის პროფკავშირთან შეუთანხმებლად გათავისუფლებისათვის დააკისრა უშუალოდ ვეტსადგურის უფროსს და არა რეგრესის წესით.

სახალხო სასამართლოები არ ასრულებენ შრომის კანონთა კოდექსის 209-ე მუხლის მოთხოვნას თანამდებობის პირებისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრების შეახებ, ზიანისათვის, რაც გამოიწვია მათმა არასწორმა მოქმედებამ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო პლენუმმა 1971 წლის 19 ოქტომბრის დადგენილებით განმარტა, რომ სხვა დარღვევებთან ერთად, მშრომელთა დათხოვნა პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეუთანხმებლად ჩაითვლება კანონის აშკარა დარღვევად და თანამდებობის პირებს უნდა დაეკისროს მატერიალური პასუხისმგებლობა (პ. 16). მიუხედავად ამისა, შესწავლილი 110 საქმიდან მატერიალური პასუხისმგებლობა თანამდებობის პირებს დაეკისრათ მხოლოდ 16 შემთხვევაში, მათ შორის 13 — საქმეზე თანამდებობის პირებს სასამართლოებმა ზარალის ანაზღაურება ორგანიზაციის სასარგებლოდ დაუსწრებლად დააკისრეს, ისე რომ მესამე პირებად ისინი საქმეში არ ჩაუბამთ.

რუსთავის სახალხო სასამართლომ ცემენტის ქარხნის დისპეტჩერის სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით სარჩელის განხილვისას მესამე პირად ჩააბა მთავარი ინჟინერი ბ-ო (სამჯავრო სხდომის ოქმში ჩაწერით), მაგრამ მატერიალური პასუხისმგებლობა არ დააკისრა და არც დაასაბუთა რატომ (საქმე № 2/323—74), თუმცა სასამართლოებს ეს დავალებული აქვთ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1974 წ. 22 იანვრის დადგენილებით.

შესწავლილ საქმეთა ანაღზმა გამოავლინა პროკურატურის ორგანოების საქმიანობის ხარვეზები შრომის კანონმდებლობის დაცვაზე ზედამხედველობის განხორციელების დარგში.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1969 წლის 22 დეკემბრის № 91 ბრძანების მიუხედავად, ჯერ კიდევ მშრომელთა სამუშაოზე აღდგენის საქმეები სასამართლოში იხილება პროკურორის მონაწილეობის გარეშე.

ლაგოდეხის რაიონის სახალხო სასამართლოში 1974 წელს შრომის დავების 7 საქმიდან პროკურორი არ მონაწილეობდა 4 საქმის განხილვაში, ანმეტის სასამართლოში 10-დან 4-ში, რუსთავის სასამართლოში 10-დან 2-ში, თბილისის საქარხნო რაიონის სასამართლოში 10-დან 2 საქმის განხილვაში. ანალოგიური მდგომარეობაა ორჯონიკიძის (ხარაგაული), გორის, ზესტაფონის, და სხვა ქალაქებსა და რაიონებში. მართალია ზოგჯერ პროკურორები სასამართლოში შრომის დავების საქმეთა განხილვაში არ მონაწილეობენ იმის გამო, რომ პროცესის შესახებ არ დებულობენ სასამართლოების შეტყობინებებს, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც მიუხედავად შეტყობინებისა პროკურორები პროცესში მონაწილეობას თავს არიდებენ.

შრომითი დავების საქმეთა განხილვაში პროკურორების მონაწილეობის საერთო რესპუბლიკური მაჩვენებელი 98 პროცენტს შეადგენს, მაგრამ ზემოაღნიშნული ფაქტები იმაზე მიუთითებენ, რომ პროკურატურის მუშაკები მაინც არასაკმაო პასუხისმგებლობით ეკიდებიან სამუშაოზე აღდგენის საკითხების

განხილვაში მონაწილეობას და შრომის კანონმდებლობის დაცვაზე ზედამხედველობის განხორციელებას.

არის შემთხვევები, როდესაც პროკურორები არასწორ დასკვნას აძლევენ სასამართლოებს, რაც გამოწვეულია იმით, რომ ისინი დეტალურად არ ეცნობიან საქმის მასალებს და დავის გადაწყვეტისათვის გამოსაყენებელ საკანონმდებლო აქტებს. ხშირადე ეს სასამართლოს მიერ არასწორი გადაწყვეტილების გამოტანის ხელშემწყობი პირობა ხდება, რაც იწვევს გადაწყვეტილების გაუქმებას, საქმის ხელახლა განხილვას და დავის გადაწყვეტის ვაჭიანურებას ან უკანონო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას, თუ იგი დაინტერესებულმა მხარემ არ გაასაჩივრა.

ქ. თბილისის კალინინის რაიონის პროკურორის თანაშემწემ სახალხო სასამართლოს მისცა სარჩელის დაკმაყოფილების საწინააღმდეგო დასკვნა. „საქვატრობის“ სამმართველოს რევიზორის გ-ს სამუშაოზე აღდგენის საქმეზე, რომელიც ვათავისუფლებული იყო რევიზიის უხარისხოდ ჩატარების გამო. საქმეში არსებული მასალებით დადასტურებულ არ იყო რევიზიის უხარისხოდ ჩატარების ფაქტი, ამავდროს მოსარჩლე ადრე არ იყო შენიშნული დარღვევებში და არც სასჯელები ჰქონია დადებული.

სასამართლო დაემყარა, იმ ფაქტს, რომ გ-ი დათხოვილი იყო შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით და სარჩელი დააკმაყოფილა.

ზოგიერთ პროკურორს არასწორად მიაჩნია, რომ სამუშაოზე აღდგენისას იძულებით გაცდენილი პერიოდის ხელფასის ანაზღაურების ან მისი ოდენობის საკითხს სასამართლო კი არ განსაზღვრავს, არამედ მკაცრად რეგლამენტირებულია და ფაქტიურად გაცდენილი პერიოდის ვათვალისწინებით არ შეიძლება აღემატებოდეს სამი თვის ხელფასს. მცხეთის რაიონის პროკურორის თანაშემწემ სასამართლოს 1974 წლის 18 თებერვლის სხდომაზე კანონიერად დაუჭირა მხარი ა-ს სამუშაოზე აღდგენას, მაგრამ მოითხოვა, რომ იძულებით გაცდენილი პერიოდის ანაზღაურების ნაწილში მოსარჩლისათვის უარი ეთქვათ.

გურჯაანის რაიონის პროკურორის თანაშემწემ სასამართლოს 1974 წლის 12 თებერვლის სხდომაზე მხარი დაუჭირა ყ-ს სამუშაოზე აღდგენას და მოითხოვა იძულებით გაცდენილი პერიოდის ერთი თვის ხელფასის ანაზღაურება მაშინ, როდესაც მოსარჩლის დათხოვნიდან 2 თვე იყო გასული: ხოლო ბ-ს აღდგენისას მოითხოვა იძულებით გაცდენილი ერთი თვის ხელფასის ანაზღაურება, თუმცა მოსარჩლე 14 თვეზე მეტი ხნის წინ იყო სამუშაოდან დათხოვნილი. ორივე შემთხვევაში სასამართლომ გაიზიარა პროკურორის მოთხოვნა და მოპანუხე ორგანიზაციებს მხოლოდ ერთი თვის ხელფასის ანაზღაურება დააჯისრა.

შესწავლილ საქმეთა ანალიზი მოწმობს, რომ რაიონისა და ქალაქის პროკურორები იშვიათად იჩენენ ინიციატივას იმ თანამდებობის პირთა მიმართ სარჩელების აღსაძვრელად, რომლებმაც არაკანონიერად დაითხოვეს მუშაკები და ორგანიზაციას მიაყენეს ზარალი.

სასამართლოში შრომის დავების განხილვის დროს ზოგიერთ საწარმოთა და ორგანიზაციათა იურისკონსულტები არასწორად ესმით რა თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობები, ყველა ზომას ღებულობენ, რათა გაამართლონ ადმინისტრაციის პოზიციები იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც საკითხი საკმაოდ

ნათელია: თბვისი უკანონო მოთხოვნებით, ისინი ხელს უშლიან სასამართლოებს ჭეშმარიტების და სწორი გადაწყვეტილების დადგენაში. მაგ. სსრ კავშირის მშენებანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის იურისკონსულტი, როგორც სახალხო სასამართლო პროცესზე, ასევე საკასაციო საჩივარში ჯიუტად იცავდა ადმინისტრაციის პოზიციას დისციპლინის სისტემატური დარღვევისათვის, ქ-ს კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტით განთავისუფლების შესახებ თუმცა დარღვევას ერთგვარად ხასიათი ჰქონდა. ქუთაისის ქვის სატენ-დამხარისხებელი ქარხნის იურისკონსულტი ცვლის უფროსის ლ-ს სარჩელის განხილვისას ამტკიცებდა, რომ დავა სასამართლოს არ ექვემდებარებოდა და არც აღდგენა შეიძლებოდა, ვინაიდან შტატი იყო შემცირებული, მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციის ცვლის უფროსის (გარდა ქიმიური მრეწველობის საწარმოებისა) დავა სამუშაოზე აღდგენის თაობაზე სასამართლოს ქვემდებარება და აღდგენაზე უარის თქმაც შტატის არ არსებობის გამო არ შეიძლება. „საქვეტოტექმოქსახურების“ სამმართველოს იურისკონსულტმა პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმების გარეშე გათავისუფლებული ავტოსადგომების 4 მუშაკის სარჩელების განხილვისას, პროცესზე აღიარა, რომ გათავისუფლება უკანონოა, მაგრამ აღდგენას მხარი არ დაუჭირა. გაორებული პოზიცია დაიჭირა № 2661 ავტო კოლონის იურისკონსულტმა ქ. თბილისის საქარხნო რაიონის სასამართლოში მძღოლ პ-ს საქმეზე. როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენელმა მხარი არ დაუჭირა სარჩელს, როგორც იურისტმა კი გათავისუფლება უკანონოდ მიიჩნია, ვინაიდან დარღვევებს სისტემატური ხასიათი არ ჰქონია.

სასამართლო ორგანოებში შრომის დავების განხილვის დროს ხშირად მცდარ პოზიციებს იჭერენ ადვოკატთა კოლეგიის წევრებიც.

მშრომელთა სამუშაოდან დათხოვნის საქმეში ნაკლოვანებათა აღმოფხვრა და კანონიერების განუზრეგლად დაცვა სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების ერთერთი შემადგენელი ნაწილია, ამიტომაც იგი სამეურნეო, პროფკავშირული და ადმინისტრაციული ორგანოების მუდმივ ყურადღებას სასაჭიროებს.

ბრალულობის პრაქტიკისა ზიანის მიყენებისა და სასამართლო პრაქტიკა

ო. კიკვიძე,

ზიანის მიმყენებლის ბრალულობის საკითხის გადაწყვეტის სასამართლო პრაქტიკის შესწავლა მოწმობს, რომ ხშირად მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა ირღვევა. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებით (37-ე მუხლი) ზიანის მიყენებისა მტკიცება ბრალის არ არსებობის შესახებ დაკისრებული აქვს პირს, რომელმაც დაარღვია ვალდებულება.¹

ამ დებულებით ნათელია, რომ საბჭოთა სამოქალაქო სამართლის ნორმები დაზარალებულს არ აკისრებს ვალდებულებას, რომ მან ამტკიცოს პირის ან ორგანიზაციის ქცევა ბრალეულია. ბრალულობის პრეზუმფციის ეს წესი ნიშნავს, რომ ზიანის მიმყენებელი ბრალეულია მანამ, სანამ იგი ვერ დაამტკიცებს საწინააღმდეგოს. დაზარალებულმა უნდა ამტკიცოს მხოლოდ ის, რომ მას მიადგა ზიანი და რომ მიყენებული ზიანის შედეგად განიცადა გარკვეული ოდენობის ზარალი, ბოლოს კი უნდა უჩვენოს, თუ რა მიზეზებით მიადგა მას ზიანი, ე. ი. ის, რომ უბედური შემთხვევა მოხდა იმ პირის მოქმედებით ან უმოქმედობით, რომლის მიმართაც მოსარჩლემ (დაზარალებულმა) სარჩელი აღძრა იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც მან (დაზარალებულმა) განიცადა.

რაც შეეხება ზიანის მიმყენებელს, მისი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისათვის საჭიროა, რომ მან დაამტკიცოს — არ მიუძღვის ბრალი ზიანის მიყენებაში და რომ არ ქონდა ამ ზიანის თავიდან აცილების შესაძლებლობა, ვინაიდან მომხდარი შემთხვევის მიზეზი იყო გარემოებანი, რისთვისაც მას არ შეუძლია პასუხი აგოს. თუ ზიანის მიმყენებელი ასაბუთებს, რომ ზიანის მიზეზია თვით დაზარალებულის განზრახვა ან გაუფრთხილებლობა, მოპასუხე მოვალეა სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებანი, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს მის განთავისუფლებას ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

სამწუხაროდ, სასამართლო პრაქტიკაში ეს პრინციპი ირღვევა. ნაცვლად იმისა, რომ ზიანის ანაზღაურების საქმეების განხილვის დროს სასამართლოები გამოდიოდნენ დაზარალებულთა ინტერესებიდან და ხელმძღვანელობდნენ ბრალულობის პრეზუმფციით. უმეტეს შემთხვევაში ამ საკითხის გადაწყვეტისას მტკიცების ტვირთს აკისრებენ დაზარალებულებს.

ასე მაგალითად, მოქ. ტ. თავის სასარჩელო განცხადებაში მოპასუხე „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის № 9 სამმართველოსთან ზიანის ანაზღაურების შესახებ ეხებოდა რა მომხდარი უბედური შემთხვევის გარემოებას, ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ „ორგანიზაციის (მოპასუხის) ბრალი დამტკიცებულია მშენებ-

¹ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები, თბილისი, 1962 წ. გვ. 27.



ლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების ტექნიკური ინსპექტორის დასკვნით და გარდა ამისა უბედური შემთხვევის აქტით.² ამის გამო მოითხოვა, რათა მოპასუხეს დაკისრებოდა მიყენებული ზიანის ანაზღაურება დაკარგული პროფესიული და საერთო შრომის უნარის გათვალისწინებით. სასამართლო პროცესზე ამ საქმის განხილვისას დაზარალებული ასაბუთებდა თავის სარჩელს და ძირითად ყურბდღებას უთმობდა მოპასუხის ბრალეულობის გარკვევას, მაშინ როდესაც ეს სრულიადაც არ შედის დაზარალებულის მოვალეობაში. ამ შემთხვევაში საკმარისი იყო დაზარალებულს აღენიშნა მხოლოდ ის ფაქტი, რომ მას მიადგა ზიანი და რომ ეს გამოწვეული იყო მოპასუხის მოქმედებით ან უმოქმედობით.

ასაბუთებდა რა მოპასუხის ბრალს ზიანის მიყენებაში მოსარჩლე „დ“, თავის სასარჩელო მოთხოვნაში აღნიშნავდა: „მოპასუხე ქიმკომბინატმა, რომლის ბრალითაც დაზარალდა მოსარჩლე, თუმცა შეადგინა აქტი. ფ. H—1, მაგრამ მასში მიუთითა არსებითად უსწორო მონაცემები უბედური შემთხვევის გამომწვევი მიზეზის შესახებ და მატერიალური პასუხისმგებლობის ანაზღაურების თავიდან აცილების მიზნით, რაც გავლენას ახდენს პრემიალურ გასამრჯელოში (ყოველგვარი საფუძვლის გარეშე) ბრალი დასდო მოსარჩლეს უსაფრთხოების ტექნიკის უხეშ დარღვევაში“.³

შემდეგ, დაწვრილებით ამტკიცებს რა ფაქტს მოპასუხის ბრალის შესახებ, მოსარჩლე აღნიშნავს: „მიმამჩნია, რომ მოსარჩლის მიმართ მომხდარ უბედურ შემთხვევაში ერთადერთი ბრალი მიუძღვის ადმინისტრაციას, რომელსაც უნდა დაეკისროს მთლიანი მატერიალური პასუხისმგებლობა“.⁴

დაადგენს რა მოპასუხის (ზიანის მიმყენებლის) ბრალის მტკიცების მცდარ გზას, საქმე იქამდე მიდის, რომ დაზარალებულები თვითონ იჩენენ ინიციატივას ისეთი დოკუმენტების გამოთხოვაში, როგორცაა აქტი უბედური შემთხვევის შესახებ ფ. H—1 და პროფკავშირის ტექნიკური ინსპექტორის დასკვნა, მაშინ როდესაც ამ დოკუმენტების წარმოდგენა დაზარალებულებს არ ევალეობათ. სამწუხაროდ ზიანის ანაზღაურების საქმეთა განხილვისას აქტებს ფ. H—1 უბედური შემთხვევების შესახებ უმთავრესად თვით დაზარალებულები ურთავენ სასარჩელო განცხადებებს. საქმე იმაშია, რომ სასამართლო წარმოებაში ასეთი დოკუმენტების უქონლობის გამო ბრკოლდება საქმის დროულად განხილვა და დაზარალებულის კანონიერ მოთხოვნათა დაკმაყოფილება.

უარი უთხრეს რა საწარმოში აქტის ფ. H—1-ის შედგენაზე, დაზარალებული კ. იძულებული გახდა, რათა მომხდარ უბედურ შემთხვევაში ადმინისტრაციის ბრალის მტკიცებისათვის მიემართა სასამართლოსათვის შემდეგი შინაარსის სარჩელით:

„1973 წლის 13 ნოემბერს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გადმოვვარდი, მომტყდა მარჯვენა სხივის მაჯის სახსარი, რის გამოც შეზღუდული მაქვს ხელის მოძრაობა და გავხდი ინვალიდი. ორგანიზაციამ უარი მითხრა აქტის ფ. H—1-ის შედგენაზე და მათ მიერ შედგენილი იქნა მხოლოდ ნებისმიერი აქტი, რის გამოც სოცუზრუნველყოფის განყოფილებამ არ მიიღო როგორც

² იხ. არქივი ქ. თბილისის ორჯონიძის რაიონის სახალხო სასამართლოს საქმე № 2—229, 1972 წ. (სასარჩელო განცხადების სტილი აქაც და შემდეგაც დაეკულია).

³ იხ. არქივი. საქმე № 2—271/4 — 72 წ. ქ. რუსთავის სახალხო სასამართლო.

⁴ იხ. იქვე, საქმე № 2—271/4—72 წ.

საწარმოო ტრამვა, არც პენსია დამინიშნეს საწარმოო ტრამვით და არც გამატარებს კომისიაზე დაკარგული შრომის უნარის დასადგენად. გთხოვთ მისწეროთ სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს, რათა გამოყონ ტექნიკური ინსპექტორი, შეამოწმონ მომხდარი უბედური შემთხვევა და დაადგინონ მიზეზები“.⁵

დაზარალებულის დაყენებითი მოთხოვნა ტექნიკური ინსპექტორის დასკვნის გამოთხოვაზე მოწმობს იმას, რომ თვით დაზარალებული იჩენს ინიციატივას და ყოველგვარ ზომებს იღებს ზიანის მიმყენებლის ბრალის დამადასტურებელ მტკიცებულებათა შეგროვებაში. რატომღაც დღემდე უხეშად ირღვევა არსებული წესი, რომლითაც სასარჩელო განცხადებას ზიანის ანაზღაურების შესახებ დაზარალებულმა უნდა დაურთოს მხოლოდ შემდეგი დოკუმენტები: საექიმო შრომითი საექსპერტო კომისიის, ან სასამართლო სამედიცინო საექსპერტო კომისიის დასკვნა (აქტი) დაკარგული პროფესიული და საერთო შრომის უნარის ხარისხის შესახებ, სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ გაცემული საპენსიო მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი (ცნობა) დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარ დაზიანებასთან დაკავშირებით ინვალიდობის გამო დანიშნული პენსიის ოდენობის შესახებ და საექიმო შრომითი საექსპერტო კომისიის დასკვნა დამატებითი სახის დახმარების საჭიროების შესახებ.⁶

რა არის მიზეზი ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის პრეზუმფციის შესახებ არსებული წესის პრაქტიკული განხორციელებისათვის თავის არიდებისა? რატომ ხდება, რომ მართლმსაჯულების პრაქტიკულად განხორციელებისას დაზარალებულებს უხდებათ შეასრულონ მოპასუხეების — (ზიანის მიმყენებელთა) ვალდებულებანი? საქმე იმაშია, რომ მონაწილეობენ რა სასამართლოში, როგორც მხარენი საქმის განხილვისას, მოპასუხე ორგანიზაციათა წარმომადგენლები ცდილობენ, აიცილონ მიყენებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა და სასამართლოს არაფერს ეუბნებიან მათი უდანაშაულობის შესახებ, ხოლო სასამართლოები თავის მხრივ არ ახდენენ სათანადო რეაგირებას ასეთ ფაქტებზე, რის გამოც სასამართლო პრაქტიკა არასწორი გზით წარიმართა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სამოქალაქო სამართლის პრინციპის — ბრალეულობის პრეზუმფციის სწორად განხორციელებისა და საქმის უსაფუძვლოდ გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად საჭიროა, რათა სახალხო სასამართლოებს მიეცეთ სახელმძღვანელო მითითება, რომ ზიანის ანაზღაურების საქმეთა განხილვისას მტკიცების ტვირთი ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის შესახებ ყველა შემთხვევაში აწევს თვით ზიანის მიმყენებელს და არა დაზარალებულს.

⁵ იხ. გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი, 1975 წლის საქმე.

⁶ См. В. В. Караваев, А. М. Кафтаповская, Р. З. Лившиц. Возмещение ущерба, причиненного здоровью рабочих и служащих (комментарий), «Юридическая литература», 1963, стр. 158, п. 22.

სამსჯავრო გამოძიების ზოგიათ კომუნალური და უსიქლოგიური თავისებურებებზე შესახებ

დოც. რ. ზოდოვანი

სამსჯავრო გამოძიება — სისხლის სამართლის პროცესის უმნიშვნელოვანესი სტადიაა. საქმის სასამართლოში განხილვის შემდეგ ხდება გამოტანა განაჩენისა, რომელიც წყვეტს საკითხს — სამართალში მიცემულის ბრალეულობის, აგრეთვე მის მიმართ სისხლის სამართლის სასჯელის გამოყენების ან გამოუყენებლობის შესახებ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად „არავინ არ შეიძლება ცნობილ იქნეს დამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში და დაისაჯოს სისხლის სამართლის წესით, თუ არა სასამართლოს განაჩენით“.

სასამართლო პროცესზე მთელი მოცულობით ხორციელდება სისხლის სამართლის სამართალწარმოების დემოკრატიული პრინციპები, რომლებიც უზრუნველყოფენ დანაშაულის სწრაფ და სრულ გახსნას, დამნაშავეთა მხილებას და კანონის სწორად გამოყენებას, რათა დანაშაულის ჩამდენი დაისაჯოს, ხოლო უდანაშაულო პირი არ იქნეს მსჯავრდებული.

სასამართლოს წინაშე მდგარი პრინციპების სპეციფიკა განსაზღვრავს მის განსაკუთრებულ მდგომარეობას ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში.

სასამართლო დამოუკიდებელია საქმის გარემოებათა დადგენასა და სისხლის სამართლის სამართალწარმოების დროს. ეს იმაში ვლინდება, რომ სასამართლო შებოჭილი არ არის საქმის გამოძიებასა და განხილვაში მონაწილე ორგანოთა დასკვნებით. პროკურორის ან პროცესის სხვა მონაწილეთა მოსაზრებებით, წინასწარი გამოძიების ორგანოთა მიერ წარმოდგენილი დამამტკიცებელი მასალების მოცულობით.

სასამართლოს დამოუკიდებლობა იმაშიც ჩანს, რომ მან განაჩენი უნდა დასაბუთოს მხოლოდ იმ მტკიცებულებებით, რომლებიც სამსჯავრო სხდომაზე იქნება განხილული.

სასამართლო სხვა ორგანოებთან ერთად მოვალეა მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება დანაშაულის გახსნისა და დამნაშავეთა დასჯისათვის. ეს წინასწარ განსაზღვრავს მისი საქმიანობის აქტიურ ხასიათს ჭეშმარიტების დადგენასა და სისხლის სამართლის სამართალწარმოების ამოცანათა განხორციელებაში.

სასამართლოს აქტიური ხასიათი ნიშნავს მის ქმედით მონაწილეობას ჭეშმარიტების დადგენის პროცესში, მის უნარს გამოძიების ყველაზე რაციონალური გზები ჭეშმარიტების დასადგენად. სასამართლო ამ დროს ფართოდ იყენებს საპროცესო კანონით მინიჭებულ უფლებებს, აგრეთვე მეცნიერების რეკომენდაციებს.

სასამართლოს განსაკუთრებული მდგომარეობა სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში, მისი დამოუკიდებლობა და მხოლოდ კანონისადმი დამორ-

ჩილება მოითხოვს, რომ სასამართლომ უშუალოდ ჩაატაროს დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევა. სწორედ ასეთი გამოკვლევა შეადგენს სამსჯავრო გამოძიების მთავარ შინაარსს.

სამსჯავრო გამოძიების დროს ხდება ყველა იმ მტკიცებულებათა გამოკვლევა, რომლებიც შეკრებილია როგორც წინასწარ გამოძიების ორგანოების, ისე თვით სასამართლოს მიერ. მოსამართლენი უშუალოდ პროცესზე ისმენენ სამართალში მიცემულთა, მოწმეთა და სხვა პირთა ჩვენებებს, იკვლევენ ყველა დამამტკიცებელ საბუთებს, ამოწმებენ პირის მიმართ წაყენებული ბრალდების სისწორესა და დასაბუთებულობას და მათი გათვალისწინებით გამოაქვთ განაჩენი.

სამსჯავრო გამოძიება ეს სრულიად ახალი და დამოუკიდებელი გამოძიებაა. წინასწარი გამოძიებისაგან განსხვავებით, მას მთელი რიგი პროცესუალური თავისებურებები ახასიათებს. სასამართლო, საქმის განხილვისას, არ იფარგლება მხოლოდ იმ მასალის შემოწმებით, რაც წინასწარ გამოძიებამ შეკრიბა. თუ სამსჯავრო გამოძიების მსვლელობაში დადგინდა, რომ ესა თუ ის გარემოება, რასაც საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, გამოკვლეული არ არის წინასწარი გამოძიების მიერ, მაშინ სასამართლო ვალდებულია თვითონ მიიღოს ყველა ზომა ამ გარემოებათა დასადგენად.

სასამართლოს წინაშე მდგომი ამოცანები, მისი განსაკუთრებული ადგილი სისხლის სამართლის პროცესში, განსაზღვრავენ ისეთ ფსიქოლოგიურ თავისებურებათა წარმოშობას, რომლებმაც ჭეშმარიტების დადგენაში შეიძლება შეასრულონ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი როლი.

კანონმდებელი ადგენს, რომ, სისხლის სამართლის საქმეების განხილვა პირველი ინსტანციის ყველა სასამართლოში ხდება მოსამართლისა და ორი სახალხო მსაჯულის შემადგენლობით (საქართველოს სსრ სსსკ მე-13 მუხ.). სახალხო მსაჯულები სარგებლობენ სამსჯავრო სხდომის თავმჯდომარის თანაბარი უფლებებით ყველა იმ საკითხის გადაჭრაში, რომელიც წამოიჭრება საქმის განხილვისა და განაჩენის დადგენის დროს. ეს უზრუნველყოფს სასამართლოს შემადგენლობის აქტივობას, საქმის უფრო სრულად, ობიექტურად გამოკვლევასა და გადაწყვეტას.

კანონით, სამსჯავრო სხდომას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე. იგი მოვალეა მიიღოს სისხლის სამართლის საპროცესო-კოდექსით გათვალისწინებული ყველა ზომა ჭეშმარიტების დასადგენად (საქართველოს სსრ სსსკ 242-ე მუხ.).

სასამართლო განხილვის პირობებში შედის აგრეთვე განხილვის უშუალობა, ზეპირობა და უწყვეტობა, სასამართლო განხილვაში სამართალში მიცემულის, დაზარალებულის, ბრალმდებლის, დამცველისა და სხვა პირთა მონაწილეობა, სასამართლო განხილვის მონაწილეთა უფლებების თანასწორობა, სასამართლო განხილვის ფარგლების დადგენა და სხვ.

ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ იმ პრინციპებსა და საერთო პირობებს, რომლებშიც ყველაზე მეტად იჩენს თავს სამსჯავრო გამოძიების ფსიქოლოგიური თავისებურებები.

ასეთებად ჩვენ მიგვაჩნია სასამართლო განხილვის უშუალობა, ზეპირობა და უწყვეტობა (საქართველოს სსრ სსსკ 245-ე და 246-ე მუხლები), სასამართლო განხილვაში სამართალში მიცემულის, ბრალმდებლის, დამცველის, დაზარალებულის და სხვა პირთა მონაწილეობა საქართველოს სსრ სსსკ 248—251 და სხვ. მუხ.), ადგილისა და დროის ერთიანობა და სხვ.



სასამართლო განხილვის უშუალოდ არსი იმაში მდგომარეობს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო მოვალეა უშუალოდ გამოიკვლიოს დამამტკიცებელი საბუთები, დაჰკითხოს სამართალში მიცემულნი, დაზარალებულები, მოწმენი, მოსმინოს ექსპერტთა დასკვნები, დათვალეროს ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები, საჭირო შემთხვევებში გამოაქვეყნოს ოქმები და სხვა დოკუმენტები, დასკვნები განაჩენში გამოიტანოს მხოლოდ იმ დამამტკიცებელ საბუთებზე დაყრდნობით, რომლებიც განხილულ იქნა სამსჯავრო სხდომაზე. (საქართველოს სსრ სსსკ 303-ე მუხ.).

საქმის განხილვის უშუალოდ გულისხმობს აგრეთვე დამამტკიცებელი საბუთების მისაღებად, პირველწყაროების გამოყენების აუცილებლობასაც.

უშუალოდ, როგორც წესი, უზრუნველყოფს უფრო სწორი ცნობების მიღებას საქმის გარემოებათა შესახებ. ამასთან, რაც უფრო დიდია ამა თუ იმ ცნობის მისაღებად საჭირო შუალედი საფეხური, მით უფრო მეტია როგორც აზრობრივ უზუსტობათა გამოვლინების, ისე მიწოდებულ ინფორმაციაში უცხო ელემენტის შეტანის ან არსებითი მომენტის დაკარგვის შესაძლებლობა. ამიტომ სასამართლო მოვალეა განაჩენი ყოველთვის მხოლოდ იმ ფაქტიურ მონაცემებზე დააფუძნოს რომელიც მან თვითონ მიიღო უშუალოდ (იხ. „საფუძვლების“ 43-ე მუხ.).

კანონი, რომელიც დამამტკიცებელი საბუთების უშუალოდ განხილვის აუცილებლობიდან გამოდის, კრძალავს, რომ სასამართლომ ამა თუ იმ საგამომძიებლო მოქმედების ჩატარება დააკისროს სხვა სასამართლოს ან ხელისუფლების სხვა რომელიმე ორგანოს. ამაშიც მკაფიოდ ჩანს, თუ რარიგ განსხვავდება სასამართლო გამოძიების ორგანოებისაგან.

სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა უშუალოდ გამოკვლევის მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ მისი შეუსრულებლობა არღვევს სასამართლოს დამოუკიდებლობას, ბოჭავს მოსამართლეთა რწმენას წინასწარი გამოძიების მასალებითა და დასკვნებით. ბ.-ს მიერ ქურდობის ჩადენის საქმეზე სასამართლომ დაჰკითხა მხოლოდ სამართალში მიცემული ისე, რომ არ შეამოწმა არც დაზარალებულის და არც მოწმეთა ჩვენებები. ბუნებრივია, რომ ეს მოქმედებს სასამართლოს დამოუკიდებლობაზე, და მისი გადაწყვეტილება სამართალში მიცემულის ბრალეულობაზე, ბრალდების მოცულობასა და დასაბუთებულობაზე სხვა არა იქნება თუ არა, გამოძიების დასკვნათა განმეორება.

უშუალობის აუცილებელი კომპონენტია სასამართლო განხილვის ზეპირობა. პროცესის ზეპირობა ეს არის სუბიექტთა ურთიერთობის ფორმა და მტკიცებულებათა გამოკვლევის მეთოდი სასამართლო განხილვის მსვლელობაში. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ დაკითხული პირები სასამართლოს ჩვენებას აძლევენ ზეპირად. ამავე ფორმით ხდება საკითხების დასმა, შუამდგომლობის წამოყენება, დასკვნის მიცემა, ყველა მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნება და ა. შ.

სასამართლო განხილვის შემდეგი პირობაა უწყვეტობა. უშუალობასა და ზეპირობასთან ერთად იგი უზრუნველყოფს მოსამართლეთა მიერ მტკიცებულებათა ახლებურად აღქმას მათი შეკრებისა და შემოწმების პროცესში და ქმნის ხელსაყრელ პირობებს მოსამართლეთა რწმენის ჩამოყალიბებისათვის.

დამამტკიცებელი საბუთების აქტიური და ღრმა გამოკვლევის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი პირობაა ისიც, რომ ბრალმდებელი, სამართალში მიცე-



მული, დამცველი, დაზარალებული, აგრეთვე სამოქალაქო მოსარჩლე, სამოქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენლები სასამართლო განხილვაში სარგებლობენ თანაბარი უფლებებით — წარმოდგინონ დამამტკიცებელი საბუთები, მონაწილეობა მიიღონ ამ საბუთების გამოკვლევაში და განაცხადონ შუამდგომლობა (საქართველოს სსრ სსსკ 247-ე მუხ.).

სასამართლო განხილვის უშუალოდ, ზეპირობა და უწყვეტობა მაქსიმალურად უწყობს ხელს სასამართლო განხილვის ყველა მონაწილის აქტიურობას. კანონით პროცესის სუბიექტებს ფართო უფლებები აქვთ მინიჭებული. ეს კი სასამართლოს ეხმარება, რომ არცერთი გარემოება არ დაარჩეს გამოურკვეველი და ამასთანავე ყოველმხრივ შეამოწმოს თითოეული დამამტკიცებელი საბუთი.

მოკვლევა და გამოძიება იწყება ვარაუდით მომხდარი დანაშაულის შესახებ. იგი თავდაპირველად, დამამტკიცებელი საბუთების მინიმუმს ემყარება. საგამომძიებლო ორგანოები მხოლოდ ახალი დამამტკიცებელი საბუთების თანდათანობით შეკრების, შემოწმებისა და შეფასების შემდეგ მიდიან სარწმუნო დასკვნებამდე.

მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებისაგან განსხვავებით, სასამართლო თავიდანვე ფლობს მასალას, რაც წინასწარი გამოძიების დროს შეიკრება. სწორედ ეს მასალა წარმოადგენს სასამართლოს განხილვის საფუძველს.

წინასწარი გამოძიების მასალებს დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო განხილვისათვის. ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიება სასამართლოს უადვილებს მუშაობას და პირიქით, ზერელედ გამოძიებული საქმე აძნელებს ჭეშმარიტების დადგენას ანდა საერთოდ შეუძლებელი ხდება დადგინდეს ჭეშმარიტება.

სასამართლო უკვე წინასწარ იცნობს გამოძიების მასალებს, იცის, თუ რა ცნობების მიღება შეიძლება და რომელი წყაროდან, რა კავშირში შეიძლება იყოს იგი სხვა მტკიცებულებებთან და ა. შ. სასამართლო განხილვის დროს მტკიცებულებათა შეგროვების პარალელურად ხდება მათი შემოწმებაც, განალიზება, წინასწარი გამოძიების მონაცემებთან შედარება და სხვა.

სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეკრებისა და შემოწმების ერთდროული პროცესი ხელს უწყობს უფრო სრული ინფორმაციის მიღებას. იგი ამასთანავე ცალკეული დამამტკიცებელი საბუთების ან მათი ერთობლივად გამოკვლევის სხვა გზების დასახვის შესაძლებლობასაც იძლევა.

თუ მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების სტადიაზე გამოძიებელი ერთპიროვნულად „არჩევს“ მიღებულ ინფორმაციას, რასაც საქმისათვის მნიშვნელობა აქვს, სასამართლო განხილვის დროს, პირიქით, ამას აკეთებენ მოსამართლეები, აგრეთვე პროცესის მონაწილენი. ეს მნიშვნელოვნად ამაღლებს დაკითხვის შედეგიანობას. პროცესის მონაწილენი, ასრულებენ რა კანონით მათთვის მინიჭებულ უფლებას წარადგინონ დამამტკიცებელი საბუთები, ან დაიცვან თავიანთი ინტერესები, ამით არსებით გავლენას ახდენენ საქმის გარემოებათა გამოკვლევის ყოველმხრივობაზე, სისრულესა და ობიექტურობაზე.

მოსამართლეთა მიერ ობიექტურობისა და მიუდგომლობის დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. პროცესის მონაწილენი, რომლებსაც სხვადასხვა ინტერესები ამოქმედებთ, ისწრაფვიან დაარწმუნონ სასამართლო თავიანთ მტკიცებათა სისწორეში. ამისათვის ისინი მონაწილეობენ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, წარმოადგენენ ახალ დამამტკიცებელ საბუთებს, წამოაყენებენ

სხვადასხვა შუამდგომლობას. საქმის გარემოებათა გამოკვლევა წარმოებს არა მარტო იმ მოსამართლეების მიერ გამოკვლენილი მონაცემების მიხედვით, არამედ იმ მონაცემებზე დაყრდნობითაც, რომლებიც დადგინდა პროკურორის, დამცველის, სამართალში მიცემულის და პროცესის სხვა მონაწილეთა შეკითხვებით. ამ პირთა მონაწილეობა დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევაში ხელს უწყობს, რომ მოსამართლენი უფრო ღღმად ჩასწვდნენ განსახილველ გარემოებათა არსს.

პროცესის მონაწილეთა საქმიანობა სამსჯავრო გამოძიებაში არსებით გავლენას ახდენს მოსამართლეთა მიერ დადგენილ განაჩენებზეც. სასამართლო ამა თუ იმ განაჩენის გამოტანამდე, ჯერ არკვევს პროცესის მონაწილეთა აზრს, აანალიზებს მათ მიერ წაყენებულ მოსაზრებებს, უარყოფს ამა თუ იმ დამამტკიცებელ საბუთს, ეთანხმება მტკიცებულებებს, რომლებიც მის რწმენას ასაბუთებენ.

სასამართლო ვალდებულია გულმოდგინედ გამოიკვლიოს როგორც ის საბუთები, რომლებიც ამხელენ სამართალში მიცემულს, ასევე ის საბუთებიც, რომლებიც ამსუბუქებენ სამართალში მიცემულის პასუხისმგებლობას ან ამართლებენ მას. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს საქმის სრულად და ყოველმხრივ განხილვას. აქედან გამომდინარეობს სასამართლოს მოვალეობა ყურადღებით მოეპყროს პროცესში მონაწილეთა დასკვნებს. სასამართლო არა მარტო ღრმად უნდა ჩასწვდეს მტკიცებულებებს, არამედ ამასთანავე, კრიტიკულად მიუდგეს მათ, გულდასმით შეამოწმოს ისინი, ეძიოს პასუხი წამოჭრილ საკითხებზე და ყოველგვარი ეჭვი გადაჭრას მხოლოდ საქმის მასალის მიხედვით.

გამოძიებისაგან განსხვავებით სასამართლოს უშუალოდ მიუწვდება ხელი ყველა დამამტკიცებელ საბუთზე, მას შესაძლებლობა აქვს ჩაატაროს არა ერთი, არამედ ურთიერთდაკავშირებული საგამომძიებლო მოქმედებათა მთელი კომპლექსი, ყველა იმ გარემოების სრულად გარკვევისათვის, რაც სასამართლოს აინტერესებს. სასამართლო განხილვის ადგილისა და დროის ერთიანობის ვითარებაში სასამართლოს შესაძლებლობა აქვს ფაქტიური მონაცემების მიღებით შეამოწმოს როგორც არსებული მტკიცებულებანი, ისე ამ საბუთების შემოწმებით დაადგინოს ახალი დამამტკიცებელი საბუთების მიღების გზები.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სასამართლოს მიერ მიღებული ინფორმაცია მოცულობით შეიძლება ისეთივე იყოს, რაც გამომძიებელმა მიიღო იმავე წყაროდან. მაგრამ იგი, შეიძლება მეტიც იყოს და ნაკლებიც. ჩვენი აზრით, ეს დაკავშირებულია მთელ რიგ ფაქტორებთან, რომლებიც გავლენას ახდენენ მტკიცებულებათა შეგროვებასა და შემოწმებაზე. ამიტომ ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ მოსამართლეებმა.

ჩვენ აქ, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ინფორმაციის დამახინჯების შესაძლებლობა. მოსამართლეებმა მხედველობაში უნდა მიიღონ, რომ პირის დაკითხვისას რაიმე გარემოების აღდგენა არ არის მის მიერ ნანახის ან გაგონილის მექანიკური განმეორება. ამ დროს ადგილი აქვს რეკონსტრუქციას. ესე იგი პირის მიერ მასალის აზრობრივ გადამუშავებას სხვადასხვა მიზეზთა გამო, კერძოდ, დაკითხული პირი ხშირად თავის შეხედულებისამებრ გამოყოფს მთავარს არამთავრისაგან, ანდა მომხდარი ამბის სურათის აღდგენა ყოველთვის იმ რიგით როდი ხდება, როგორც ამას სინამდვილეში ჰქონდა ადგილი და ა. შ.

სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე დაკითხვა, დანაშაულის ჩადენიდან

უფრო გვიან ხდება, ვიდრე წინასწარი გამოძიების სტადიაში. ამიტომ ადვილი შესაძლებელია, რომ დასაკითხ პირს დაავიწყდეს ზოგიერთი დეტალი. აქედან გამომდინარე სასამართლოში დაკითხვის მოულოდნელობის ფაქტორი კარგავს მნიშვნელობას. წინასწარ გამოძიებაში უკვე დაკითხულმა პირმა სასამართლოში გამოძახებისას იცის რაზეა გამოძახებული, რას შეეკითხებიან მას, და განსაზღვრული წესით ემზადება დაკითხვისათვის, აღიდგენს ნანახსა და გაგონილს, მოიფიქრებს პასუხებს და ა. შ.

ინფორმაციის მიღებისას, სასამართლო ცდილობს სწორად გაუგოს დასაკითხ პირს, გაითვალისწინოს აზრების გადმოცემის მისი უნარი, ესე იგი ნამდვილად შეეფერება თუ არა დასაკითხი პირის სიტყვები იმ გარემოებებს, რომელთაც ნამდვილად ჰქონდათ ადგილი, და რისი თქმაც მოწმეს უნდოდა.

სასამართლოში პირის ჩვენებაზე განსაზღვრულ შემოქმედებას ახდენს სასამართლო სხდომის ვითარებაც. ადამიანი, ვინც არასდროს ყოფილა სასამართლოში და არ წარმოუთქვამს სიტყვა აუდიტორიაში, რასაკვირველია, სასამართლო სხდომაზე თავს უხერხულად გრძნობს, იბნევა, და პირიქით.

დასაკითხი პირის თვისებების გათვალისწინებას მნიშვნელობა აქვს არა მარტო მიღებული ცნობების შემოწმებისა და შეფასებისათვის, არამედ თვით სამსჯავრო გამოძიების ორგანიზაციისათვისაც. დაკითხვის ჩასატარებლად, საჭიროა პროცესზე შეიქმნას ისეთი პირობები, რაც თავიდან აგვაცილებს უარყოფით შემოქმედებას ინფორმაციის მიღებაში.

ამასთან ერთად ამ ფაქტორებს შეუძლიათ დადებითი ზეგავლენაც მოახდინოს პირზე და მან ფაქტები უფრო სრულად მოახსენოს სასამართლოს. ასე მაგალითად, დროთა განმავლობაში პირს შეუძლია აღიდგინოს გარემოებანი. ამიტომ ახალი ცნობები, რომელსაც სასამართლო დასაკითხი პირისაგან ღებულობს, უნდა გულდასმით შემოწმდეს. დაუშვებელია ასეთი ცნობებისადმი უნდობლობის გამოჩენა ან უარყოფითი დამოკიდებულება.

ამიტომ დასაკითხი პირის ჩვენების უფრო გულდასმით შემოწმებისათვის აუცილებელია დეტალურად იქნეს დადგენილი ყველა ის გარემოება, რაც ინფორმაციის მიღების საფუძველი გახდა. კერძოდ, უნდა გაირკვეს იმ მოვლენის ხასიათი, რომელსაც პიროვნება აკვირდებოდა, ვითარება, რომელშიც იგი იმყოფებოდა ა. შ. ჩვენებაზე არსებით გავლენას ახდენს აგრეთვე დასაკითხი პირის დამოკიდებულება დანაშაულებრივი ფაქტისადმი.

ამიტომ, დაკითხვისას სასამართლო ყოველთვის უნდა ცდილობდეს გაარკვიოს, თუ როგორი იყო პირის დამოკიდებულება მომხდარი დანაშაულისადმი. როგორც წესი, თუ პირი უნებლიე მოწმე ხდება რაიმე ფაქტის თუ მოვლენისა, რომელიც ამასთანავე დაუყოვნებლად მიმდინარეობს, იგი ცდილობს უფრო ღრმად ჩაუყვირდეს, გააანალიზოს და, კარგად დაიმახსოვროს იგი. მაგრამ თუ იგივე ფაქტი ან მოვლენა მრავალ დეტალს შეიცავს და სწრაფადაც მიმდინარეობს, მაშინ მისი აღქმა და დამახსოვრება ძნელდება. გამომდინარე აქედან, პირველ შემთხვევაში ჩვენება, ცხადია უფრო ზუსტი იქნება.

სამართალში მიცემულის მიერ იმის შეგნება, რომ სწორედ სასამართლო გამოიტანს განაჩენს, რომ სწორედ აქ გადაწყდება მისი ბედი, დიდ გავლენას ახდენს პირის ფსიქიკაზე. ამან შეიძლება სამართალში მიცემულს აღუძრას სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანის იმედი. ეს კი, თავის მხრივ, ამაღლებს მის აქტივობას, და პირიქით, წარდგენილი ბრალდების დადასტურების შეგნე-



ბამ, სასამართლო სხდომის დარბაზში მოქალაქეთა ყოფნამ და სირცხვილის გრძობამ შეიძლება გამოიწვიოს სამართალში მიცემულის პასიურობა, გულგრილი დამოკიდებულება ყოველივე იმისადმი, რაც მის ირგვლივ ხდება. მოსალოდნელია, რომ სამართალში მიცემულისათვის საქმის მასალების გაცნობამ და წინასწარი გამოძიების მიერ დაშვებული ხარვეზების გამოვლინებამ შეიძლება გამოიწვიოს სამართალში მიცემულის მხრივ ცრუ ჩვენების მიცემა.

რა თქმა უნდა, სამართალში მიცემული ყოველთვის წინასწარ ემზადება სამსჯავრო სხდომისათვის და ფსიქოლოგიურადაც უკვე განწყობილია საქმის განხილვისათვის. მაგრამ ეს განწყობა მოსალოდნელია შეიცვალოს იმის გავლენით, რაც სასამართლოში მოხდება პროცესის მსვლელობისას. კერძოდ, სამართალში მიცემულის თანდასწრებით მნიშვნელოვან მტკიცებულებათა გამოკვლევამ შეიძლება მასში სრულიად სხვადასხვაგვარი ემოციები გამოიწვიოს და ამან, თავის მხრივ, გავლენა მოახდინოს და შეცვალოს მისი მოქმედება სასამართლო განხილვის მსვლელობაში.

სასამართლოს მიერ დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევისას სამართალში მიცემულის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინება ხელს უწყობს იმას, რომ სამართალში მიცემულს აღეძრას გულწრფელობისა და მალე გამოსწორების სურვილი და პირიქით, ამ ფაქტორების უგულვებელყოფით მოსამართლეებმა შეიძლება სამართალში მიცემულს ვანუმტკიცონ არაგულწრფელობის განწყობა და მან, ყოველგვარი მოტივის გარეშე, მაშინაც კი უარყოს წაყენებული ბრალდება, როდესაც იგი უეჭველი და ცხადზე-ცხადი დამამტკიცებელი საბუთებითაა დადასტურებული. აქედან გამომდინარეობს იმის აუცილებლობა, რომ მოსამართლეებმა ღრმად გააანალიზონ სამართალში მიცემულის პიროვნება და, დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევისას, ისეთი ტაქტიკური ხერხი შეარჩიონ, რომლებიც არა მარტო ჭეშმარიტების დადგენას უწყობს ხელს, არამედ იმასაც, რომ სამართალში მიცემულს გაუღვიძონ დადებითი თვისებები და აღუძრან მას გამოსწორების განწყობა.

როდესაც სასამართლო დაზარალებულის ჩვენებებსა და ქცევას აფასებს, იგი უწინარეს ყოვლისა იქიდან უნდა გამოდიოდეს, რომ დაზარალებული ეს არის პირი, რომელსაც დანაშაულით მორალური, ფიზიკური და ქონებრივი ზიანი მიადგა და რომ იგი დაინტერესებულია საქმის შედეგებით. აქედან გამომდინარე, როგორც წესი, პროცესზე დაზარალებულის მოქმედებას ახასიათებს საბრალდებო ტენდენცია. მაგრამ ეს, სხვადასხვა მიზეზების, აგრეთვე ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებათა გამო არ გამორიცხავს დაზარალებულის სხვაგვარად მოქცევის შესაძლებლობასაც (ბრალდებულისათვის დანაშაულის მითხვება, დარღვეული უფლებების აღდგენის მოთხოვნაზე უარის თქმა და ა. შ.).

დაზარალებული, როგორც პირი, რომელმაც უშუალოდ განიცადა დანაშაულებრივი მოქმედება, ხშირად ამქდანებს მიდრეკილებას, რომ გააზვიადოს როგორც დანაშაულებრივი ხელყოფის ხასიათი, ისე მისი შედეგები.

დანაშაულებრივი ხელყოფის მოულოდნელობა და იმ ვითარების უჩვეულობა, რომელშიც ეს ხელყოფა მოხდა, ხშირად იწვევს დაზარალებულში შიშის გრძობასა და დაბნეულობას. ამას კი შეიძლება შედეგად მოჰყვეს მომხდარი ფაქტის არასრული და არაზუსტი აღქმა. ამ შემთხვევაში, ცხადია, რომ სასამარ-

თლოსათვის დაზარალებულის მიცემული ჩვენება ასევე არასრული და არაზუსტი იქნება.

თუ სამართალში მიცემული თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია მის მისწრაფებასთან — თავი დააღწიოს პასუხისმგებლობას ან შეიმსუბუქოს ხვედრი, დაზარალებულის მოქმედება, პირიქით, საწინააღმდეგო მიმართულებით ხასიათდება. პრაქტიკიდან ცნობილია, რომ ვარაუდით მყოფნი არა მარტო სამართალში მიცემულის, არამედ დაზარალებულის მიმართაც ხშირად ამჟღავნებენ მომეტებულ ყურადღებას, გამოთქვამენ სიბრაღულსა და თანაგრძნობას მის მიმართ. ეს კი, როგორც წესი, იწვევს დაზარალებულის მიმართ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის და მით მიყენებული ზიანის გაზვიადებას.

ყოველივე ეს გავლენას ახდენს დაზარალებულზე, აუარესებს მის დამოკიდებულებას როგორც დანაშაულის ფაქტისადმი, ისე სამართალში მიცემულისადმი, რაც აუცილებლად აისახება დაზარალებულის მოქმედებასა და ჩვენებებში.

ეს საფრთხე კიდევ უფრო იზრდება, თუ დაზარალებული არაკეთილსინდისიერია, და იმით ხელმძღვანელობს, რომ შური იძიოს სამართალში მიცემულზე ან მისგან რაიმე ქონებრივი გამორჩენა მიიღოს.

ეს მომენტი განსაკუთრებით გასათვალისწინებელია მაშინ, როდესაც სამართალში მიცემულისა და დაზარალებულის გარდა ჩადენილი დანაშაულს თვითმხილველი სხვა არავინ არ არის (ძარცვა, ყაჩაღობა, გაუპატიურება და სხვ.).

ასეთ დროს საქმის ფაქტიურ გარემოებათა დასადგენად მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც დაზარალებულის, ისე სამართალში მიცემულის ჩვენებების ყოველმხრივ ანალიზს. სასამართლომ სამართალში მიცემულისაგან უნდა მიიღოს სწორი ჩვენება, ვინაიდან ეს არის გადამწყვეტი საშუალება იმისა, რომ გულდასმით შემოწმდეს დაზარალებულის ჩვენებათა სარწმუნოობა და გამოირიცხოს დაზარალებულის მხრივ თავისი უფლებების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა.

დაზარალებულის ჩვენებათა საფუძველზე პირის პასუხისგებაში მიცემის ფაქტმა შეიძლება დაზარალებულს შეუქმნას თავისი მოქმედების სიმართლის რწმენა. არც ის არის გამორიცხული, რომ დაზარალებულმა კანონით მისთვის მინიჭებული უფლებები, მათ შორის უფლება გაეცნოს საქმის მასალებს გამოძიების დამთავრებისას, ჭეშმარიტებისა და მართლმსაჯულების საწინააღმდეგოდ გამოიღწიოს. ამიტომ მოსამართლეებმა აუცილებლად უნდა შეამოწმონ დაზარალებულის ჩვენების შესაბამისობა იმ ჩვენებებთან, რომელიც მან წინასწარი გამოძიების დროს მისცა, ასევე გულდასმით უნდა იქნეს გამოკვლეული მიცემული ჩვენებების შეცვლის მიზეზი, თუ ამას ადგილი აქვს.

პრაქტიკიდან ცნობილია შემთხვევები, როდესაც მოსამართლეები არ ცდილობენ გაარკვიონ სამართალში მიცემულის, მოწმის ან სხვა პირთა მიერ იმ ჩვენებების შეცვლის მიზეზები, რომლებიც მათ წინასწარი გამოძიების დროს მისცეს. პირიქით, არის ფაქტები, როდესაც მოსამართლეები ყოველნაირად ცდილობენ მიაღწიონ ადრე მიცემულ ჩვენებათა განმეორებას, თვლიან რა მათ უფრო სწორად და სარწმუნოდ. ცხადია, ასეთი პრაქტიკა სწორი არ არის თუ სამართალში მიცემული შეცვლის წინასწარი გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებას, მაშინ პირველ რიგში უნდა შემოწმდეს მისი უკანასკნელი ჩვენებების

სარწმუნოება, ხოლო წინა ჩვენებები უნდა გამოიყენონ როგორც ამ უკანასკნელ ჩვენებათა სისწორის შემოწმების ერთერთი საშუალება.

საჭიროა ყოველთვის გვახსოვდეს, რომ არც სამართალში მიცემულის მიერ ჩვენების შეცვლას და არც მის მიერ ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტს არა აქვს საქმისათვის დამამტკიცებელი საბუთის მნიშვნელობა. დამამტკიცებელი საბუთის ძალა აქვთ მხოლოდ იმ ფაქტიურ მონაცემებს, რომლებიც ამ ჩვენებათა ცრუ ხასიათზე მეტყველებენ.

დასკვნა სამართალში მიცემულის ჩვენების სისწორის . თუ მცდარობის შესახებ უნდა ეფუძნებოდეს მტკიცებულებათა ერთობლივად განხილვას, რაც მიიღება მათი გულდასმით შემოწმებით.

დასაკითხი პირის ქცევის ფაქტორებს არა აქვთ მტკიცებულობათა მნიშვნელობა. ისინი უფრო დამხმარე როლს ასრულებენ. რამდენადაც ან არწმუნებენ სასამართლოს გამოტანილი დასკვნების სისწორეში ანდა, პირიქით, სასამართლოს შეუძლია თავიდან აიცილოს იგი, არსებული მტკიცებულობათა ხელახალი შემოწმებისა და ახალი დამამტკიცებელი საბუთების შეგროვების გზით.



საპასპორტო სისტემის სრულყოფისათვის

ბ. პაპიაშვილი,

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო განყოფილების უფროსი, მთავარი პოლიტექნიკი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში არ არსებობდა მოქალაქის პიროვნების დამადასტურებელი ერთიანი დოკუმენტი.

მეფის ხელისუფლების მიერ გაცემულ პასპორტებს სახელი ჰქონდა გატეხილი ხალხის თვალში, რადგან მათ მხოლოდ „კეთილსაიმედო“ პირებს აძლევდნენ. მაშინდელი დებულება პასპორტების შესახებ ლახავდა ქალის ინტერესებს, რადგან ქმრის ნებადაურთველად ცოლს პასპორტს არ აძლევდნენ.

1919 წლის 25 ივნისს სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და რუსეთის სფსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს დადგენილება შრომის წიგნაკების შემოღების შესახებ. ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში მცხოვრებ 16 წლის ასაკს მიღწეულ მოქალაქეს უნდა ჰქონოდა შრომის წიგნაკები.

ამრიგად, შრომის წიგნაკი არსებითად გახდა პირველი საბჭოთა პასპორტი, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა მოქალაქის პიროვნებას.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 27 დეკემბრის დადგენილებით შემუშავდა ერთიანი საპასპორტო სისტემა.

„დებულებაში პასპორტების შესახებ“ ნათქვამი იყო:

I. სსრ კავშირის 16 წლის ასაკის ყველა მოქალაქეს, რომელიც მუდმივად ცხოვრობს ქალაქში, მუშათა დაბაში, მუშაობს ტრანსპორტზე, საბჭოთა მეურნეობაში და ახალმშენებლობაზე უნდა ჰქონდეს პასპორტი.

II. იმ ადგილებში, სადაც შემოღებულია საპასპორტო სისტემა, პასპორტი ერთადერთი დოკუმენტია, რომელიც მფლობელის პიროვნებას ადასტურებს. ყველა სხვა ბინადრობის საბუთი და მოწმობა, ბათილად ცხადდება.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 27 დეკემბრის დადგენილება და „დებულება პასპორტების შესახებ“ 1940 წლამდე მოქმედებდნენ.

1940 წლის 10 სექტემბერს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ახალი „დებულება პასპორტების შესახებ“, რომელიც 1953 წლის ოქტომბრამდე მოქმედებდა.

1953 წლის 21 ოქტომბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა დღემდე მოქმედი „დებულება პასპორტების შესახებ“.

საპასპორტო სისტემა სულ უფრო უმჯობესდებოდა და იხვეწებოდა საბჭოთა სახელმწიფოს განვითარებასთან ერთად, ხელს უწყობდა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, მოსახლეობის გადაადგილების აღრიცხვის გაუმჯობესებას, მოქალაქეთა შრომით აღზრდას.

სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების, საბჭოთა ადამი-

ნების კომუნისტური შეგნებულობისა და აქტივობის განუხრელი ზრდის პირობებში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საპასპორტო სისტემის სრულყოფას. მან ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოების წინაშე სსრ კავშირის მოქალაქეთა მიერ თავისი მოვალეობების შესრულებას, კანონით გარანტირებული უფლებების შესრულებას, უზრუნველყოს მოსახლეობის აღრიცხვა, განამტკიცოს კანონიერება და მართლწესრიგი.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა ზნეობრივი და სამართლებრივი ნორმების ყველაზე ჰუმანური სისტემა, ჩამოყალიბდა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი.

საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში მომხდარმა უდიდესმა ცვლილებებმა გავლენა მოახდინა სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტის საქმიანობის ხასიათზე, მათ შორის საპასპორტო სისტემაზე.

ამას გარდა ბოლო ხანს მთელი რიგი ახალი სამართლებრივი ნორმების მიღებასთან დაკავშირებით მოქმედი საპასპორტო სისტემის ბევრი დებულება მოძველდა და არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

ამასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1974—წლის 28 აგვისტოს დადგენილებით დაამტკიცა დებულება სსრ კავშირში საპასპორტო სისტემის შესახებ, აგრეთვე მოქალაქეთა ჩაწერის ზოგიერთი წესის შესახებ.

„სსრ კავშირის საპასპორტო სისტემის დებულების“ მიღებას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. იგი ითვალისწინებს ახალი ნიმუშის პასპორტების მიცემას როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობისათვის.

მოქალაქეებისათვის ახალი პასპორტების გაცემისათვის მუშაობა მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, რათა განვამტკიცოთ სოციალისტური კანონიერება და მართლწესრიგი, გამოვავლინოთ დამნაშავენი და სხვა პირები, რომლებსაც ხელისუფლებას ორგანოები ეძებენ. ეს მოითხოვს მაღალ ორგანიზებულობას, ნორმატიული დოკუმენტების ზუსტ ცოდნასა და შესრულებას. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს უპასპორტოდ სოფლად მცხოვრები მოქალაქეთა, აგრეთვე იმ პირთა დოკუმენტირებას, რომლებსაც არა აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და არ მუშაობენ.

პასპორტების გაცემა და პასპორტებით სარგებლობა. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქის პასპორტი ძირითადი დოკუმენტია, რომელიც ადასტურებს საბჭოთა მოქალაქის პიროვნებას. სსრ კავშირის მოქალაქის პასპორტი უნდა ჰქონდეს ყველა მოქალაქეს, რომელსაც კი 16 წელი შეუსრულდება.

უპასპორტოდ ცხოვრობენ მხოლოდ სამხედრო მოსამსახურენი და სსრ კავშირში საცხოვრებლად დროებით ჩამოსული საბჭოთა მოქალაქენი, რომლებიც ჩუდმივად საზღვარგარეთ ცხოვრობენ. სამხედრო მოსამსახურეთა პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტებია პირადობის მოწმობა და სამხედრო ბილეთები, რომლებსაც ჯარის ნაწილების სარდლობა და სამხედრო დაწესებულებები გასცემენ.

პასპორტები მზადდება მთელი სსრ კავშირისათვის ერთიანი ნიმუშით რუსულ ენაზე და შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის ენაზე, ავტონომიური რესპუბლიკის ენაზე. პასპორტში შედის შემდეგი ცნობები მოქალაქის პიროვნების შესახებ: გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების რიცხვი, თვე, წელი. დაბადების ადგილი. ეროვნება.

თუ მშობლები სხვადასხვა ეროვნებისანი არიან, მაშინ პასპორტის გაცემის დროს, პირველად, ეროვნება მამის ან დედის ეროვნების მიხედვით და იმის შესაბამისად ჩაიწერება, თუ რომელ ეროვნებას ისურვებს პასპორტის აღება. შემდგომში ჩანაწერი ეროვნების შესახებ არ შეიცვლება.

პასპორტის მოქმედება არ იზღუდება ვადით, როცა მოქალაქე 25 და 45 წლის ასაკს მიაღწევს, შინაგან საქმეთა ორგანოები პასპორტებში აკრავენ ახალ ფოტოსურათებს, რომლებიც ამ ასაკს შეესაბამება.

პასპორტები, რომლებსაც არა აქვთ ასეთი ფოტოსურათები, ბათილია.

საპასპორტო სისტემის წესების შესრულებისადმი კონტროლს ახორციელებენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები და შინაგან საქმეთა ორგანოები.

პასპორტების გაცემას, გამოცვლას და პასპორტებში ახალი ფოტოსურათების ჩაწებებას, მოქალაქეთა 25 წლისა და 45 წლის ასაკის მიღწევისას, აწარმოებენ შინაგან საქმეთა ორგანოები მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სურათების ზომად დადგენილია 50X60 მმ, პასპორტის ღირებულება კი 2 მანეთია.

დაპატიმრებულ, აგრეთვე თავისუფლებადაკვეთილ ან გადასახლებისათვის მსჯავრდებულთ, აგრეთვე იმ პირთ, რომლებსაც მიუსაჯეს პირობითად თავისუფლების აღკვეთა და ჩაბმული არიან სავალდებულო შრომაში, პასპორტებს ჩამოართმევენ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების ორგანოები ან სასამართლო. პატიმრობიდან განთავისუფლებისა ან სასჯელის მოხდის შემდეგ, პასპორტები უბრუნდება მფლობელებს. იმ პირებს, რომლებიც პირობითად არიან განთავისუფლებული თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან, მშენებლობაზე, სახალხო მეურნეობების საწარმოებში მუშაობისათვის, პასპორტები უბრუნდებათ სამუშაო ადგილის მიხედვით შეზღუდვების მოხსნის შემდეგ.

ჩ ა წ ე რ ა, რ ე გ ი ს ტ რ ა ც ი ა, ა მ ო წ ე რ ა. მოქალაქეები ჩაეწერებიან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სსრ კავშირის მოქალაქის პასპორტებით.

საზღვარგარეთ მუდმივად მცხოვრები საბჭოთა მოქალაქეები, რომლებიც სსრ კავშირში ჩამოდიან დროებით საცხოვრებლად — საერთო სამოქალაქო საზღვარგარეთული პასპორტებით.

მოქალაქენი, რომლებიც დროებით საცხოვრებლად ჩამოდიან ერთი ადგილიდან მეორეში თვენახევარზე მეტი ვადით, ეწერებიან დროებით, ხოლო თვენახევარამდე ვადით ჩამოსულნი რეგისტრაციაში ტარდებიან დადგენილი წესით.

მოქალაქეთა ჩაწერასა და ამოწერას ქალაქებში, აგრეთვე ქალაქის ტიპის დაბებსა და სოფლის დასახლებულ პუნქტებში, სადაც შინაგან საქმეთა ორგანოებია, აგრეთვე სასაზღვრო ზონაში განლაგებულ დასახლებულ პუნქტებში აწარმოებენ შინაგან საქმეთა ორგანოები. დანარჩენ ქალაქის ტიპის დაბებსა და სოფლის დასახლებულ პუნქტებში პირნი, რომლებიც უფლებამოსილნი არიან ამისათვის — მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

ჩასაწერი მოქალაქენი ვალდებული არიან ჩამოსვლიდან სამი დღის ვადაში ჩაწერისათვის დოკუმენტები ჩააბარონ საპასპორტო სისტემის დაცვისათვის პასუხისმგებელ პირთ. ამოწერის დოკუმენტებიც ბარდებათ იმავე პირებს.

მოქალაქეებისაგან მიღებული დოკუმენტები სამი დღის ვადაში უნდა წარედგინოს ორგანოს, რომელიც ახორციელებს ჩაწერასა და ამოწერას.

ის პირნი, რომლებსაც უარი ეთქვათ ჩამოსვლის ადგილას ჩაწერაზე, ვალდებული არიან წავიდნენ ამ ადგილიდან 7 დღის ვადაში.

თვე-ნახევრამდე ვადით ერთი ადგილიდან მეორეში ჩამოსულ მოქალაქეთა რეგისტრაცია ხდება ჩამოსვლის დღიდან არა უგვიანეს სამ დღეში, ხოლო სასტუმროებში, სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, პანსიონატებში, საავადმყოფოებსა და სხვა ამგვარ დაწესებულებებში, ჩამოსვლისთანავე.

სამხედრო სამსახურში გაწვეულნი პირნი უნდა ამოეწერონ შესაკრებ პუნქტში გამოცხადების უწყების მიღებისთანავე.

იმ პირთა ამოწერა, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, აგრეთვე რომლებსაც პირობითად აქვთ მისჯილი თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით, ხდება ამ პირთა მიმართ განაჩენების ძალაში შესვლის შემდეგ.

გარდაცვალებულნი უნდა ამოეწერონ გარდაცვალების რეგისტრაციის შემდეგ.

პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ა ს ა პ ა ს პ ო რ ტ ო ს ი ს ტ ე მ ი ს წ ე ს ე ბ ი ს დ ა რ ღ ვ ე ვ ი ს ა თ ვ ი ს. მოქალაქენი, რომლებიც ვალდებული არიან ჰქონდეთ პასპორტი, უპასპორტოდ ან ბათილი პასპორტით ცხოვრებისათვის, აგრეთვე ჩაწერისა თუ რეგისტრაციის გარეშე ცხოვრებისათვის, ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდებიან 10 მანეთამდე. ასეთივე პასუხისმგებლობა აკისრიათ მოქალაქეებს პასპორტის განზრახვი გაფუჭებისათვის, აგრეთვე მოუვლელობისათვის, რამაც გამოიწვია მისი დაკარგვა.

საპასპორტო სისტემის წესების ბოროტი დარღვევისათვის, დამნაშავე მოქალაქენი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცევიან საბჭოთა კანონმდებლობის შესაბამისად.

საპასპორტო სისტემის წესების დაცვისათვის პასუხისმგებელი პირნი, რომლებიც დაუშვებენ უპასპორტო ან ბათილი პასპორტებით, ან ჩაუწერლად თუ რეგისტრაციის გარეშე მოქალაქეთა ცხოვრებას, აგრეთვე მოქალაქენი, რომლებიც თავიანთ ბინებში აცხოვრებენ უპასპორტო, ჩაუწერელ თუ რეგისტრაციაში გაუტარებელ პირთ, ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდებიან 10 მანეთამდე.

საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა თანამდებობის პირი უპასპორტო ან ბათილი პასპორტებით, აგრეთვე ჩაუწერლად მცხოვრებ მოქალაქეთა სამუშაოზე მიღებისათვის ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდებიან 10 მანეთამდე.

მოქალაქე, როშელიც ერთი წლის განმავლობაში მის მიმართ ადმინისტრაციული სასჯელის ზომის გამოყენების შემდეგ, დაუშვებს იმავე დარღვევას, ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდება 50 მანეთამდე. პირთ, რომლებიც დაარღვევენ სასაზღვრო ზონაში შესვლის წესებს, აგრეთვე იქ ცხოვრებისა თუ ჩაწერის წესებს, ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდებიან 10 მანეთამდე.

რესპუბლიკის მოსახლეობისათვის ახალი ნიმუშის პასპორტების გაცემა დაიწყება 1976 წლის 1 იანვრიდან და გაგრძელდება 1981 წლის 31 დეკემბრამდე.

პასპორტის შესახებ დებულების განუხრელად შესრულებისათვის რეს-

პუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების საპასპორტო აპარატების საქმიანობის მიზანი 1974 წელს იყო საპასპორტო მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა, იმ პირობა სამძებრო მუშაობის გაძლიერება, რომლებიც ემალებიან ხელისუფლების ორგანოებს და ურთიერთობა აღარა აქვთ ნათესავებთან.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად 1974 წელს ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში გამოვლინდა საპასპორტო რეჟიმის 17,008-ზე მეტი დარღვევა, გაცილებით მეტი, ვიდრე 1973 წელს. საპასპორტო რეჟიმისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის აქტიურად იყო გამოყენებული მასობრივი პროპაგანდის ყველა საშუალება: რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთები, რადიო, ტელევიზია. მარტო მილიციის მუშაკებსა და საპასპორტო აპარატების შტატგარეშე თანამშრომლებს წაეკითხათ 1200-ზე მეტი მოხსენება და ჩაუტარდათ პროფილაქტიკური ხასიათის საუბარი.

მიუხედავად ამისა საპასპორტო რეჟიმის მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს ქალაქებში—თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ჭიათურაში, სამტრედიის, წალენჯიხის, გარდაბნის რაიონებში, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და ზოგიერთ სხვა ქალაქსა და რაიონში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ შერჩევით შეამოწმა საპასპორტო რეჟიმის დაცვა 75 ქალაქსა და ქალაქის ტიპის დაბაში, 3 ათასზე მეტ სახლმდებლობაში, სადაც მოსახლეობის რიცხვი 25,9 ათას აღემატება, რაც რესპუბლიკის საქალაქო მოსახლეობის 1,1 პროცენტს შეადგენს.

ამ შერჩევითი შემოწმების შედეგად გამოვლინდა ბევრი უხეში შეცდომა. საპასპორტო რეფორმის განხორციელების დროს სერიოზული ამოცანა უნდა გადაწყვიტოთ. საქმე ეხება მაწანწალობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებასა და იმ პირობა გამოვლინებას, ვინც საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას არ ეწევა. შინაგან საქმეთა ორგანოებმა, უწინარეს ყოვლისა, პროფილაქტიკურმა და საპასპორტო სამსახურებმა, მნიშვნელოვნად უნდა გაააქტიურონ მთელი მუშაობა ასეთი პირების გამოვლინებისათვის, კანონით დადგენილი წესით მათი დროული შრომითი მოწყობისათვის.

საპასპორტო რეფორმის განხორციელებამ უნდა გვიჩვენოს, რომ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებს შეუძლიათ ზუსტად, ორგანიზებულად და ოპერატიულად გადაწყვიტონ საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბის ამოცანები.

საბჭოთა კავშირისა და ირანის თანამშრომლობის საგარეო-საპოლიტიკო და ეკონომიკური ასპექტები

ბ. შარაიშვილი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საანგარიშო მოხსენებაში საბჭოთა კავშირის XXIV ყრილობისადმი ლ. ი. ბრეჟნევიმ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის მტკიცდება კეთილმეზობლური დამოკიდებულება და თანამშრომლობა.¹ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის სახელზე გამოგზავნილ მიმართვაში ირანის შაჰინშაჰმა მოჰამედ რეზა ფეჰლევამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის ვითარდება ყველა მიმართულებით და ეკონომიკის, ვაჭრობის, კულტურის დარგში ნაყოფიერი თანამშრომლობის თვალსაჩინო მაგალითია.²

ორი მეზობელი ქვეყნის ხელმძღვანელების პირადად კონტაქტებმა და აზრთა ფართო ურთიერთგაცვლამ, აგრეთვე მათ მიერ გატარებულმა კონსტრუქციულმა ნაბიჯებმა საბჭოთა კავშირისა და ირანის ურთიერთობა გამოიყვანა მეგობრობისა და თანამშრომლობის სწორ გზაზე.

კუროსი, რომელსაც ირანის სახელმწიფოს ხელმძღვანელები ახორციელებენ 60-იანი წლების დასაწყისიდან საგარეო პოლიტიკაში — უარი დასავლეთისადმი ერთმხრივ საგარეო-პოლიტიკურ და საგარეო-ეკონომიურ ორიენტაციაზე, აგრეთვე საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ეკონომიური კავშირების სწრაფი გაფართოება საშუალებას აძლევს ირანს გადაჭრას არსებითი ამოცანები. პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს ქვეყნის შიგნით მძიმე მრეწველობის საფუძვლების შექმნა (მეტალურგიული კომბინატის, მანქანათმშენებელი ქარხნის აშენება) და სახალხო მეურნეობის ძველი კოლონიალური დარგობრივი სტრუქტურის ლიკვიდაცია, და, ამგვარად, ირანის აგრარული ქვეყნიდან აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად გადაქცევა. ამ გრანდიოზული გეგმების განსახორციელებლად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს 1966 წლის 13 იანვრის შეთანხმებას საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის, რომლის თანახმად სსრ კავშირი ეკონომიურ და ტექნიკურ დახმარებას უწევს ირანს მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაში ქალაქ ისპაჰანში, რომლის სრული საწარმოო ციკლია წელიწადში 500—600 ათასი ტონა ფოლადი (შემდგომი ვაჭართოებით), რკინის მადნისა და ქვანახშირის ბაზის და მანქანათმშენებელი ქარხნის მშენებლობა ქალაქ ერაქში ყოველწლიურად 25—30 ათასი ლითონნაწარმის გამოშვებით. შეთანხმების თანახმად მშენებლობის მესამე ობიექტია ტრანსირანის გაზსადენი, რომელიც სამხრეთ ირანიდან ჩრდილოეთისაკენ 1106 კმ იქნება გადამიწერილი და შეუერთდება საბჭოთა გაზსადენს.

მიწოდებული დანადგარების ღირებულების ანაზღაურებისა და ზემოდასა-

¹ см. «Правда», 31 марта 1971 г.

² см. «Известия», 26 февраля 1971 г.

ხელშეწყობილი პროექტების განხორციელებაში ტექნიკური დახმარების აღმოჩენის მიზნით საბჭოთა კავშირმა 260 მილიარდი მანეთის კრედიტი გამოუყო ირანს 2,5 პროცენტი წლიური ანგარიშით, 12 წლის ვადით.

მეგობრული პოლიტიკის გამოხატულებას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მზადყოფნა დახმარება აღმოუჩინოს ირანს ეროვნული ინდუსტრიის პირმშოს — მეტალურგიული და მანქანათმშენებელი ქარხნების აშენებაში.

ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ 30 წლის მანძილზე ირანის მთავრობის ყოველგვარი ცდა მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაში ჩაება ზოგიერთი გერმანული, ინგლისური და ამერიკული ფირმები, საბოლოო ჯამში უშედეგო აღმოჩნდა. დასავლეთის მონოპოლიებმა კატეგორიული უარი განაცხადეს ინვესტიციებზე და მძიმე ინდუსტრიის საწარმოების მშენებლობაზე ირანში. დასავლეთის სახელმწიფოები ისწრაფოდნენ, რომ ირანი დარჩენილიყო აგრარულ ქვეყნად, როგორც იაფი ნედლეულის მიღების წყარო და მათი სამრეწველო საქონლის გასაღების ბაზარი. 70-იანი წლების დასაწყისში, ე. ი. ისპაჰანის მეტალურგიული ქარხნის წარმოებაში გაშვების წინ ლითონებისა და ლითონნაკეთობების ირანის იმპორტი შეადგენდა წელიწადში მილიონ ტონაზე მეტს.³

დღეისათვის სსრ კავშირის დახმარებით ირანმა შექმნა საკუთარი ეროვნული მძიმე ინდუსტრია და შეუძლია თანდათანობით დააკმაყოფილოს თავისი ეკონომიური მოთხოვნა ლითონზე.⁴ ისპაჰანის მეტალურგიული ქარხნის საზეიმო გახსნასთან დაკავშირებით 1973 წლის 16 მარტს, რომელსაც ესწრებოდნენ ირანის შაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლავი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, ირანის პრესამ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ აღსრულდა ირანის ხალხის საუკუნოვანი ოცნება.⁵

ირანის ხელმძღვანელობა დიდად აფასებს სსრ კავშირის კეთილმეზობლურ ჭეშმარიტად ინტერნაციონალურ პოლიტიკას, რომელსაც ის თავისი სამხრეთელი მეზობლის მიმართ ატარებს. ასე მაგალითად, საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობის თაობაზე „ასსოშეიტდ პრესის“ კორესპონდენტთან ინტერვიუში ირანის შაჰმა განაცხადა: „... რუსები დათანხმდნენ ააშენონ ისპაჰანის მახლობლად 286 მილიონ დოლარად ღირებული ფოლადის ჩამომსხმელი ქარხანა ბუნებრივი გაზის მიწოდების სანაცვლოდ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვერ შეძლეს შემოეთავაზებინათ ასეთივე პირობები... ჩვენ გვინდა მეტალურგიული ქარხანა, მაგრამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატები აცხადებდა, რომ ასეთი მშენებლობა არაეკონომიური და განუხორციელებელია“.⁶

დღეს, საბჭოთა კავშირ-ირანის თანამშრომლობის სიმბოლოდ იქცა მძლავრი სამრეწველო კვანძი, რომელიც მდებარეობს სეფემიდების დინასტიის ძველი დედაქალაქის — ისპაჰანის მახლობლად. ორივე ქვეყნის სპეციალისტები ამუშავებენ ისპაჰანის სამრეწველო კომბინატის განვითარების გეგმას, რომე-

³ იხ. «Тегеран экономист», № 1012, июнь 1973 г. стр. 49, (на персидском языке).

⁴ ირანის მეტალურგიული კორპორაციის დირექტორის დოქტ. ა. შეიბანის მტკიცებით ისპაჰანის მეტალურგიული ქარხნის სიმძლავრე 1975 წლისათვის მიაღწევს 2 მილიონ ტონას წელიწადში, ხოლო 1978 წლისათვის — 4 მილიონ ტონას, და ბოლოს 1948 წ. კომბინატის საწარმოო სიმძლავრე 8 მილიონ ტონაზე მეტი იქნება წელიწადში (იხ.

⁵ см. Кейхан, 17 марта 1973 г.)на парсидском языке).

⁶ см. «Известия», 19 ноября 1968 г.

ლიც გამოუშვებს ფართო ასორტიმენტის პროდუქციას — ფოლადის სპეციალური სახეობიდან ნავთობქიმიის სხვადასხვა ნაწარმამდე.

აღსანიშნავია, რომ გარდა იმისა, რომ რამდენიმე ათასმა ირანელმა მუშამ ქარხნის სასწავლო ცენტრში საბჭოთა ინჟინრების, ტექნიკოსების და მუშების დახმარებით გაიარა სწავლების კურსი, საბჭოთა კავშირში — უკრაინისა და ურალის უმსხვილეს ქარხნებში სტაჟირება გაიარა ათასობით ირანელმა მეტალურგმა და მანქანათმშენებელმა, რომლებსაც დღეს მრეწველობაში ხელმძღვანელი პოსტები უკავიათ. ათეული ათასი გუშინდელი ჭბუკი გლეხი, რომელმაც საბჭოთა კავშირის შეთანხმებით შექმნილ სასწავლო ცენტრში სხვადასხვა საწარმოო კვალიფიკაცია მიიღო, დღეს ირანის ეროვნული მრეწველობის კადრის ძირითად ბირთვს შეადგენს.

ირანის ხელმძღვანელობა, რომელსაც შეგნებული აქვს კვალიფიციური კადრების აუცილებლობა, რეგულარულად აწყობს საღამო სწავლებასა და კურსებს, ქარხნის ათასობით მუშის კვალიფიკაციის ასამაღლებლად. პრესის მტკიცებით დღეისათვის ირანის მუშათა კლასი არა მარტო ყველაზე მრავალრიცხოვანია შუა აღმოსავლეთში, არამედ ირანის საზოგადოების ყველაზე მოწინავე კლასია განათლების ცენტრის მიხედვით. თუ მთლიანად ქვეყანაში 34,9 პროცენტია წერაკითხვის მცოდნე, მუშებს შორის ისინი შეადგენენ 75 პროცენტს (ყველაზე მაღალი დონე აზიაში იაპონიის შემდეგ).⁷

საბჭოთა კავშირის და ირანის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს სამთავრობათაშორისო შეთანხმება ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ. თავისი ბუნებით ეს შეთანხმება ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის სამართლებრივი ურთიერთობის დადების, შეცვლის და შეწყვეტისაკენ. სახელმწიფოთაშორისო შეთანხმება არ ექვემდებარება რომელიმე ეროვნული სამართლებრივი სისტემის მოქმედებას და იგი წესრიგდება თვით შეთანხმების მონაწილეების მიერ საერთაშორისო სამართლის საფუძველზე.

საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის 1966 წლის 13 იანვარს დადებული შეთანხმება სამართლებრივი თვალსაზრისით დამყარებულია თანასწორობის, ურთიერთობისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებზე. შეთანხმების არც ერთი პირობა არ შეიცავს რაიმე პუნქტს, რომელიც შეთანხმების მონაწილე ქვეყნის სუვერენულ უფლებებს ლახავს.

საბჭოთა კავშირი განვითარებულ ქვეყნებთან, მათ შორის ირანთან ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დადებისას განსა-

⁷ იხ. გზებით „За рубежом“ 1973, № 1, გვ. 21. ირანის მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს ქვეყანაში წერაკითხვის უცოდინარობის აღმოფხვრას. 1972 წლის აპრილში მიღებულია კანონი ბავშვების საყოველთაო დაწყებითი განათლების შესახებ. 1963 წელს ქვეყანაში შეიქმნა განათლების კორპუსი, რომლის ფორმირება სწარმოებს არმიაში მობილიზებულ განათლების მქონე ჯარისკაცებისაგან. ოთხთვიანი სამხედრო მომზადების შემდეგ „განათლების კორპუსის წევრებს აგზავნიან სოფლებში და 14 თვის განმავლობაში წერაკითხვის ასწავლიან მოსახლეობას. ეს დრო საერთო სამხედრო სამსახურის გადაში შედის (2 წელი). 10 წლის მანძილზე, ე. ი. 1963 წლიდან 1973 წლამდე, ჯარისკაცების რიცხვმა 90 ათასი შეადგინა; 1968 წლიდან „განათლების კორპუსში“ შედიან აგრეთვე ქალიშვილებიც, რომლებსაც ქვეყნის ყველაზე მიყრდნობულ რაიონებში შეაქვთ განათლების უქეი.

კუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მათ შესრულებას, ეკონომიური გეგმისა და ქვეყნის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ 60-იან წლებში, ე. ი. ნავთობის მრეწველობის სრულ ნაციონალიზაციამდე და ნავთობის ექსპორტით დიდი მოგების მიღებამდე, როცა ირანს ჯერ კიდევ არ ჰქონდა საკუთარი სახსრები რაციონალური მრეწველობის, განსაკუთრებით კი მძიმე ინდუსტრიის შესაქმნელად, და ამიტომ მწვავედ იდგა გარედან დახმარების მიღების საკითხი, ირანის მთავრობამ დახმარებისათვის მიმართა არა დასავლეთის ქვეყნებს (რომლებიც ე. წ. დახმარებას, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, უკავშირებენ ირანის ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესების შეზღუდვას), არამედ საბჭოთა კავშირს.

საბჭოთა კრედიტების დამახასიათებელი თავისებურება მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ სახელმწიფოს კრედიტი ეძლევა შეღავათიან პირობებში და დაბალი პროცენტული განაკვეთით (ძირითადად წლიური 2,5 პროცენტი, რაც კაპიტალისტური სახელმწიფოების კრედიტის განაკვეთზე 2,5—3-ჯერ დაბალია), არამედ იმაშიც, რომ კრედიტების დაფარვა როგორც წესი, წარმოებს ირანული საქონლის ტრადიციული ექსპორტით და რიგი სამრეწველო საქონლით. სესხის დაფარვის ასეთი ხერხი არამარტო უზოგავს ირანს ვალუტას, არამედ, რაც მთავარია ქმნის ირანის ექსპორტისათვის გასაღების მყარ ბაზარს. საბჭოთა კრედიტი დაკავშირებული არ არის კრედიტორის რაიმე უპირატეს უფლებასთან ან მოგების მიღებაში მონაწილეობასთან.

საბჭოთა კავშირ-ირანის 1966 წლის ზემოხსენებული შეთანხმების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ისპაჰანში მეტალურგიული და ერაქში მანქანათმშენებელი ქარხნების აშენების გარდა, სიდიდით მესამე ობიექტს აზიაში წარმოადგენდა უდიდესი ტრანსირანის გაზსადენის მაგისტრალის მშენებლობა, რომლის სიგრძე 1106 კმ უდრის, ხოლო საერთო ღირებულება 300 მილიონი დოლარია. იგი გადაჭიმულია ირანის სამხრეთი საზღვრიდან საბჭოთა ამიერკავკასიამდე. 1970 წლის ოქტომბრიდან დაწყებული ირანი ყოველწლიურად დაახლოებით 300 მილიონ კუბომეტრ ნატურალურ გაზს აწვდის საბჭოთა კავშირს. სსრ კავშირისათვის ირანული გაზის მიწოდება ხდება საბჭოთა კრედიტის დაფარვისა და საბჭოთა მოწყობილობებში გაცვლის ანგარიშში (მანქანები და ნაწილები), რომლებიც ირანს ესაჭიროება ქარხნებისა და სხვა ობიექტებისათვის, რომლებიც საბჭოთა კავშირის დახმარებით შენდება (ისინი 90-ზე მეტია).

ირანისათვის საბჭოთა კრედიტის მიცემის პირობები ისეთია, რომ ირანს პრაქტიკულად საშუალება ეძლევა დაფაროს იგი და გადაიხადოს პროცენტები საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენებული ობიექტების ექსპლოატაციით მიღებული შემოსავლიდან.

ტრანსირანის გაზსადენის მშენებლობის წარმატებით დამთავრება, სადაც მუშაობდა 700 საბჭოთა სპეციალისტი, წარმოადგენს არა მარტო დიდ ტექნიკურ მიღწევას, არამედ, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის მულმივად მზარდ ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის კონკრეტულ განხორციელებას. იგი კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა სსრ კავშირის კეთილმეზობლური პოლიტიკისა, რომელმაც დიდი დახმარება აღმოუჩინა ირანს გაზის პრობლემის გადაწყვეტაში.

ირანში უცხოეთის ნავთობის კომპანიების მოღვაწეობა არის არა მარტო ქვეყნის იმპერიალისტური ძარცვის — ნავთისა და ნავთობპროდუქტების გა-

ზიდვა უმნიშვნელო კომპენსაციით, არამედ, აგრეთვე, ბუნებრივი გაზის დიდი მარაგისა და ნავთობის წარმოშობის ადგილის ბარბაროსული განადგურების ისტორია. ათეული წლების განმავლობაში ნავთობის მონოპოლიები მტაცებლურად წვაგდნენ ძვირფას საწვავს — ნატურალურ გაზს, რაც მიღებული იყო ნავთობის შობოვებისა და გადაამუშავების დროს. გაზის სადღეღამისო დებეტი 1970 წელს, ე. ი. სსრ კავშირისათვის გაზის მიწოდების დღეისათვის შეადგენდა 34 მილიარდ კუბ. მეტრს.⁸ ამჟამად, ბუნებრივი გაზის მოპოვებისა და გამოყენების მიზნით ქვეყანაში შექმნილია სახელმწიფო ეროვნული გაზის კომპანია, რომლის წყალობით ბუნებრივი გაზის წარმოება 1956 წლიდან 1971 წლამდე გაიზარდა 4 მილიარდი კუბური მეტრიდან 36,8 მილიარდ კუბურ მეტრამდე.⁹ 1970 წლიდან ირანს თხევადი ბუნებრივი გაზი გაზმზიდ ტანკერებით გააქვს იაპონიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნორვეგიაში და ევროპის სხვა ქვეყნებში. ირანში შენდება კიდევ ერთი გაზსადენი, რომელიც გადაიჭიმება ირანის სამხრეთიდან ხმელთაშუა ზღვამდე თურქეთის პორტ ისკანდერუნამდე. ამ გზით ირანი თავის გაზს მიიწვდის ევროპის ქვეყნებს. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირ-ირანის გაზსადენის აშენებით ბუნებრივი გაზი გამოიყენება ირანის მრეწველობის მრავალ საწარმოში, როგორც ენერჯის წყარო. ირანის მრავალმა ქალაქმა, მათ შორის თეირანმა, მიიღო იაფი საწვავი. ამჟამად მწყობრში დგება ქიმიური სასუქების ქარხანა, რომლის ნედლეულად ასევე ბუნებრივი გაზი გამოიყენება.

როგორც ირანის გაზეთების მასალები ცხადყოფენ, საბჭოთა კავშირ-ირანის ეკონომიური თანამშრომლობის მუდმივი კომისიის მორიგ მესამე სხდომაზე, რომელიც ჩატარდა თეირანში 1973 წლის ოქტომბერში, მხარეები ძირითადად შეთანხმდნენ სსრ კავშირის ტერიტორიის გავლით ირანის გაზის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის მიწოდების შესახებ.¹⁰

საბჭოთა კავშირ-ირანის თანამშრომლობის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს ის, რომ ყველა შეთანხმებას ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ ემატება სავაჭრო შეთანხმებები გადახდის კორინთული ფორმის საქონლის ურთიერთმიწოდების ბაზაზე, რაც არ საჭიროებს უცხოეთის ვალუტის გამოყენებას. ამგვარად საბჭოთა სამრეწველო მოწყობილობების შესაძენად ირანი არ ხარჯავს უცხოურ ვალუტას, არამედ ანაზღაურებს მის ღირებულებას თავისი ტრადიციული ექსპორტით: ბამბით, შალით, ფერადი ლითონების მადნით, ხიზილალით, ზუთხის ჯიშის თევზით, ტყავულით, კრაველით, მშრალი ხილით და სხვა სამრეწველო საქონლით.

თუ დასავლეთის ხელისუფალნი თავიანთი სავაჭრო პოლიტიკით ზიანს აყენებენ ირანის ეროვნულ ეკონომიკას (ისეთი საქონლის შემოტანა, რომელიც კონკურენციას უწევს სამამულო ნაწარმს) საბჭოთა კავშირი გადაჭრით უარყოფს ამგვარ სავაჭრო პოლიტიკას. ირანთან საბჭოთა ვაჭრობა დაფუძნებულია ურთიერთ სარგებლობის, ეკონომიური დამოკიდებულების და ყოველგვარი დისკრიმინაციის გამორიცხვის პრინციპებზე.

საბჭოთა კავშირ-ირანის სავაჭრო შეთანხმებების პირობები სავსებით შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას (პრეამბულა პუნქტი

⁸ სმ. «Известия», 6 октября 1971 г.

⁹ სმ. «Современный Иран», (справочник) М., 1975, стр. 273.

¹⁰ სმ. «Известия», 26 октября 1973 г.

მე-3 1 მუხ., მუხ. 56, აგრეთვე გაეროს გენერალური ასამბლეის 1965 წლის 20 დეკემბრის რეზოლუცია ვაჭრობისა და განვითარების შესახებ).¹¹

საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობას აქვს დიდი ტრადიციები, რომელთა ყოველმხრივ განვითარება შეესაბამება ორივე მხარის ინტერესებს. გეოგრაფიული სიახლოვე, მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსები, საერთო საზღვარი ქმნის წინამძღვრებს ურთიერთ შორის ვაჭრობის ფართოდ განვითარებისათვის. ამყამად საქონლის ურთიერთმიწოდება ხორციელდება საქონელბრუნვის ხუთწლიანი ხელშეკრულების შესაბამისად (1971—1975 წ.წ.) წინა ხუთწლიდან შედარებით საქონელბრუნვა გაიზარდა 2-ჯერ და უფრო მეტად.

სსრ კავშირი ირანში საქესპლოატაციოდ დიდი ოდენობით გზავნის მანქანებს და მოწყობილობებს, მათ შორის კომპლექსურ საწარმოებს. ამასთან ერთად საბჭოთა კავშირი აკმაყოფილებს ირანის საიმპორტო მოთხოვნებს ცემენტზე, შაქარზე, მცენარეულ ზეთზე და განსაკუთრებით ხე-ტყეზე და ქაღალდის ნაწარმზე. დღეისათვის ირანის იმპორტში სსრ კავშირის საქონლის ხვედრითი წონა შეადგენს 6,9 პროცენტს (მე-5 ადგილი).¹² ფრიალ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირი ირანის საქონლის ერთ-ერთი უმსხვილესი მყიდველია. შესყიდვის მოცულობის მხრივ სსრ კავშირმა 1970-იანი წლების დასაწყისისათვის პირველი ადგილი დაიკავა ირანის საშინაო ვაჭრობის პარტნიორებს შორის და დღემდე ინარჩუნებს ამ დონეს. უნდა აღინიშნოს, რომ ირანის სამრეწველო ნაწარმის იმპორტი საბჭოთა კავშირში ირანის მრეწველობის ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ამ ორ სახელმწიფოს შორის ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს 1963 წლის ნოემბრის სატრანზიტო შეთანხმებას, რომლის თანახმად მხარეებს უფლება აქვთ ნომენკლატურის ყოველგვარი შეზღუდვის და ქვეყნის წარმოშობის მიუხედავად (გარდა სამხედრო ტვირთისა) ტრანზიტით თავისუფლად გადაზიდონ საკუთარი საქონელი ერთმანეთის ტერიტორიაზე. სატრანზიტო საქონელი გათავისუფლებულია ბაჟის გადახდისა და გამოსაღებისაგან, ხოლო ამ ტვირთის ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება ხდება უდაბლესი ნიხრით.

საბჭოთა რკინიგზისა და საწყალოსნო გზების გამოყენებით ირანი ამცირებს ევროპის ბაზარზე განსაკუთრებით სკანდინავიის ქვეყნებში თავისი საქონლის მიწოდების ვალებს 15—18 დღით,¹³ იაპონიაში საქონლის მიწოდებამ სსრ კავშირის ტერიტორიის გავლით ირანს შეუმცირა გზა 5 ათასი კილომეტრით. სწორედ საბჭოთა სამიმოსვლო გზების გამოყენების წყალობით ირანის სატრანზიტო ტვირთის ნაკადი უკანასკნელ წლებში გაიზარდა 5-ჯერ და უფრო მეტად. ირანის პრესის მონაცემებით სსრ კავშირის ტერიტორიის გავლით ტვირთის გადაზიდვის ტარიფი 10—15 პროცენტით უფრო დაბალია, ვიდრე სპარსეთის ყურის გავლით.¹⁴

საბჭოთა კავშირ-ირანის ეკონომიური და სავაჭრო თანამშრომლობის ზრდის ტემპების გათვალისწინებით სატრანზიტო გადაზიდვების მოცულობის გაზრდის გამო 1970 წლის ივლისში თეირანში სსრ კავშირსა და ირანს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება საბჭოთა კავშირ-ირანის სატრანსპორტო-საექსპლოატა-

¹¹ см. В. В. Фомин. «ООН и международная торговля», М., 1971, стр. 38.

¹² см. «Современный Иран» указ. сог. стр. 291.

¹³ «Внешняя торговля», 1973, № 9, стр. 17.

¹⁴ см. «Кейхан», 16 августа 1964 г.

ციო ოპერაციების სააქციო საზოგადოების შექმნის თაობაზე. ეს საზოგადოება ამჟამად მნიშვნელოვან როლს ასრულებს სსრ კავშირის ტერიტორიის გავლით ირანიდან აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, სატრანზიტო ოპერაციების, ასევე ირანის ტერიტორიის გავლით საბჭოთა ტვირთის შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში გადაზიდვის უზრუნველყოფაში.

სსრ კავშირსა და ირანს შორის სავაჭრო კავშირებისა და ეკონომიური ურთიერთთანამშრომლობის შემდგომი განვითარების მიზნით 1968 წლის ივნისში შეიქმნა ეკონომიური და ტექნიკური ურთიერთთანამშრომლობის და სავაჭრო ურთიერთობათა მუდმივმოქმედი საბჭოთა კავშირ-ირანის კომისია. კომისიისა და მისი ორგანოების სხდომებზე, რომლებიც ტარდება თეირანსა და მოსკოვში, სისტემატურად განიხილება ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეკრულების შესრულება, კომისიაში შუამავლობა, აგრეთვე ურთიერთშეთანხმებული რეკომენდაციები. (ორივე ქვეყნის მთავრობებისათვის წარმოდგენილი მიზნით).

საბჭოთა კავშირ-ირანის მუდმივი კომისიის ეფექტური თანამშრომლობის შედეგად, მხარეები შეთანხმდნენ ისპაჰანის მეტალურგიული ქარხნის სიმძლავრე 600 ათასი ტონა ფოლადიდან გაზარდონ 4 მილიონ ტონამდე წელიწადში, ხოლო ერაქში მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნის საწარმოო სიმძლავრე — 30 ათასი ტონა ლითონაკეთობიდან 60 ათას ტონამდე ყოველწლიურად.

კომისია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საბჭოთა კავშირ-ირანის თანამშრომლობის პერსპექტივის კვლევას ხანგრძლივი პერიოდისათვის, მისი შემდგომი გაფართოების მიზნით.

როგორც ცნობილია, გრძელვადიანი შეთანხმება 12—15 წლის ვადით, რომელიც ამჟამად მოქმედებს სსრ კავშირსა და ირანს შორის, ქმნის საქონელბრუნვის გაფართოების საიმედო პერსპექტივას და იძლევა შესაძლებლობას მიეუსადაგოთ ისინი თითოეული ქვეყნის ეკონომიური განვითარების გეგმებს.

ა. ნ. კოსიგინმა, ირანში ოფიციალური ვიზიტით ყოფნისას 1968 წლის აპრილში განაცხადა: „... ჩვენ ვგეგმავთ ირანთან ეკონომიური კავშირების განვითარებას ხანგრძლივი პერსპექტივის გათვალისწინებით. საბჭოთა-კავშირ ირანის ურთიერთობის განმტკიცების ხაზი ჩვენთვის არ არის კონიუნქტურული. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის სულ უფრო გაფართოვდება და განმტკიცდება, გახდება უფრო მრავალმხრივი. ამისათვის ჩვენ კარგი შესაძლებლობანი გვაქვს“.¹⁵

საბჭოთა კავშირისა და ირანის თანამშრომლობის განმტკიცებისა და გაფართოების საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია 1972 წლის 12 ოქტომბრის ხელშეკრულებას ორ ქვეყანას შორის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების შესახებ. სახელდობრ, ხელშეკრულების პრეამბულაში ნათქვამია: „...ორივე მხრის სურვილიდან გამომდინარე, განამტკიცებს, განავითარებს ორმხრივ მეგობრულ და კეთილმეზობლურ ურთიერთობას ორივე ქვეყანას შორის არსებული ხელშეკრულებების საფუძველზე, შეთანხმებების, სხვა დოკუმენტებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დებულებების შესაბამისად, თანასწორუფლებიანობის საშინაო საქმეებში ურთიერთჩაურევლობის, სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემის, ეროვნული დამოკიდებულებისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების საფუძველზე, ხელმძღვანელობენ რა მის-

წრატებით, შემდგომშიც გაათართონ ეკონომიური, საეაჭრო და ტექნიკური კავშირები, გადაწყვიტეს დადონ წინამდებარე ხელშეკრულება“.

შემდეგ ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ ორ ქვეყანას შორის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობა მუდმივად განვითარდება და გაფართოვდება ისეთი ძირითადი მიმართულებებით, როგორცაა: ფერადი და შავი მეტალურგია, ნავთობის გაზის, ნავთობ-ქიმიური და ქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ირიგაცია და თევზჭერა.

ხელშეკრულებით გათვალისწინებულია გეოლოგიური სამუშაოების ჩატარება ნავთობისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულის აღმოსაჩენად, აგრეთვე ეროვნული კადრების პროფესიული ტექნიკური მომზადება, ორივე ქვეყნის სპეციალისტების ორმხრივი კონსულტაციების ჩატარება ეკონომიური და ტექნიკური განვითარებისა და ვარემოს დაცვის სფეროში.

საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით ირანმა სასარგებლო წიაღისეულის აღმოჩენის საქმეში მიაღწია დიდ წარმატებებს. სახელდობრ, ჩოგარის საბადოში, სადაც ჯერ კიდევ 1949 წელს იაპონელი, ფრანგი და გერმანელი ექსპერტების გაანგარიშებით სასარგებლო წიაღისეულის მარაგი 13 მილიონ ტონას არ აღემატებოდა (სხვა სიტყვებით ეს იმას ნიშნავს, რომ ირანს არ გააჩნია მეტალურგისათვის რკინის მადანის საკუთარი ბაზა). ახლა, საბჭოთა სპეციალისტების შეფასებით მარტო ჩოგარში რკინის მარაგი 170 მილიონ ტონამდეა. საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით, რომლებმაც ირანის ისტორიაში პირველად რამდენიმე ათას კილომეტრზე ჩაატარეს აგრომაგნიტური გადაღებები, აღმოაჩინეს მავნიტური ანთმალიები. როგორც საბჭოთა სპეციალისტები ამტკიცებენ, რკინის მადანის მარაგი აქ შეადგენს არანაკლებ 1,2 მილიარდ ტონას.¹⁶

1973 წელს საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის დაიდო ხელშეკრულება ირანში კაუჩუკის ქარხნის აშენების შესახებ, რომლის სიმძლავრე წელიწადში 60 ათასი ტონა იქნება. 1973 წლიდან დაწყებული თავის პროდუქციას იძლევა სახლსამშენებლო ქარხანა, რომელიც საბჭოთა კავშირის ტექნიკური და ეკონომიური დახმარებით აშენდა 1971 წლის 28 ივნისს, გაიხსნა ჰიდროკვანძი „არაქსი“, რომელიც ორი მეზობელი ქვეყნის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შედეგია. დღეისათვის ეს ჰიდროკვანძი, ქვეყნის იაფი ელექტროენერგიით უზრუნველყოფის გარდა, შესაძლებლობას იძლევა ირანის ტერიტორიაზე მოირწყას 70 ათასამდე ჰექტარი მიწა, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე კი 25—30 ათასამდე ჰექტარი ვვალვიანი მიწა. დასასრულს უახლოვდება სასაზღვრო მდინარეებზე, ატრეკზე და ხართუდზე ორი ჰიდროკვანძის მშენებლობა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ქვეყანას მორწყვის შედეგად ამ რაიონში მოიყვანოს ხორბალი, ბამბა და სოფლის მეურნეობის სხვა კულტურები. სსრ კავშირსა და ირანს შორის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში საბჭოთა სპეციალისტები 1963 წლიდან დაწყებული მრავალმხრივ დახმარებას გაუწევენ ირანს 33 ელევატორის დაპროექტებასა და მათ მშენებლობაში. 97 მათგანი უკვე ექსპლოატაციაშია. ელევატორთა საერთო მოცულობა შეადგენს 436 ათას ტონას.¹⁷

ორი მეზობელი მეგობრული ქვეყნის კონტაქტების შემდგომი განმტკიცების საქმეში დიდ როლს თამაშობს თანამშრომლობა სოფლის მეურნეობის დარ-

¹⁶ იხ. „Правда“ 1973 წ. 15 აგვისტო.

¹⁷ სმ. «Современный Иран», указ. сог. стр. 360.

გში, ორივე მხარის ინტერესს ემსახურება ბრძოლა მცენარის მავნებლებთან, მსხვილფეხა საქონლის დაავადებასთან, დამარილებული და დაჭაობებული ადგილების მელიორაცია, მზის ენერჯის გამოყენება სოფლის მეურნეობაში.

კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს 1971 წლის 25 თებერვალს თეირანში დადებული სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომლითაც გათვალისწინებულია სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის, მეცნიერებისა და სპეციალისტების ფართო გაცვლა, სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების ერთობლივი დამუშავება, თანამშრომლობა განათლების, მედიცინის, ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობის და სპორტის დარგებში. ხელშეკრულების თანახმად ამჟამად სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს ირანელ სტუდენტთა ჯგუფი. ორივე ქვეყნის მეცნიერები, სპეციალისტები ახორციელებენ სამეცნიერო-ტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსს კასპიის ზღვის ფაუნისა და ფლორას შენარჩუნებისათვის.

სსრ კავშირსა და ირანს შორის უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში დადებულმა შეთანხმებებმა ეკონომიურ და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის დარგში შექმნეს აუცილებელი პირობა და საფუძველი საბჭოთა კავშირ-ირანის ყოველმხრივი თანამშრომლობისა. ეს თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ირანისათვის, რომლის მთელი მონდომება მიმართულია იმისაკენ, რომ რაც შეიძლება აქტიურად და სწრაფად დაადგინონ ინდუსტრიალიზაციის გზას, საბოლოოდ დაძლიონ ეკონომიური ჩამორჩენა, განახორციელონ რიგი რეფორმებისა.

ბურჟუაზიული რეფორმების წარმატებით ჩატარებამ ზემოდან (ე. წ. „თეთრი რევოლუცია“), ადგილობრივი კაპიტალიზმის მძლავრი ზრდა გამოიწვია ქალაქად და სოფლად. ქვეყნის სახალხო მეურნეობის ნახტომისებურმა განვითარებამ უკანასკნელ 10 წელიწადში, გამოიწვია დიდი სოციალურ-ეკონომიური ცვლილებები. ყველაფერი ეს შედეგია საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ირანის ურთიერთსასარგებლო და თანასწორუფლებიანი ეკონომიური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობისა.

სრულიად აშკარაა, რომ უკანასკნელ ათწლეულში, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობათა აყვავების პერიოდად, ირანმა, ამ ურთიერთობის წყალობით მიაღწია უდიდეს შედეგებს თავისი ეკონომიკისა და ეროვნული მრეწველობის განვითარებაში. ამჟამად, როდესაც ირანმა მოახდინა ნავთობის მრეწველობის მთლიანი ნაციონალიზაცია, იგი უდიდეს მოგებას ღებულობს ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ექსპორტიდან. ქვეყნის მმართველი წრეები ამ მოგების ხარჯზე ვარაუდობენ მრავალდარგოვანი ეკონომიკის შექმნას, წარმართავენ რა სახელმწიფო თანხებს მრეწველობის განვითარებისათვის. საბჭოთა კავშირ-ირანის თანამშრომლობა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. როგორც ეს აღნიშნულია ერთობლივ დასკვნით ცნობაში ირანის შაჰინშაჰის ვიზიტის გამო საბჭოთა კავშირში, 1974 წლის ნოემბერში, მოსკოვში მიღწეულია პრინციპული თანხმობა ზოგიერთი ახალი მსხვილი ობიექტების მშენებლობის შესახებ ირანსა და საბჭოთა კავშირში.¹⁸

საბჭოთა კავშირ-ირანის თანამშრომლობაში დიდია ორივე ქვეყნის ხელმძღვანელთა პირადი კონტაქტების როლი. ხელმძღვანელთა პირადი კონტაქტე-

¹⁸ იხ. „Правда“, 21 ნოემბერი, 1974 წ.



ბის წყალობით და აზრთა ფართო გაცვლა-გამოცვლით დაძლეულ იქნა არაჯანსაღი მოვლენები, რომლებიც დროდადრო ჩრდილს აყენებდნენ და იწვევდნენ უნდობლობას საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის ურთიერთობაში. შემთხვევითი არ არის, რომ საბჭოთა კავშირისა და ირანის საზღვარს, რომელიც თავისი სიგრძით მესამეა მსოფლიოში, საბჭოთა კავშირ-ჩინეთის და კანადა-ამერიკის შეერთებული შტატების საზღვრებს შემდეგ მეგობრობისა და მშვიდობის საზღვარს უწოდებენ.¹⁹

ფრანგული ჟურნალის „ჟენ აფრიკ“-ის 1973 წლის 24 მარტის ნომერში გამოქვეყნებული ცნობის თანახმად ირანის შეიარაღებული ძალების ძირითადმა ნაწილებმა, რომლებიც ჩვეულებრივ დისლოცირებულ იყვნენ საბჭოთა კავშირ-ირანის საზღვარზე, ცივი ომის დამთავრების შემდეგ დატოვეს ეს რაიონები.

მართლაც, ორივე ქვეყნის ხელმძღვანელთა წყალობით საბჭოთა კავშირ-ირანის თანამედროვე ურთიერთობამ მიაღწია ნდობისა და მდგრადობის ისეთ დონეს, რომ სახელმწიფო საზღვრების მთელ სივრცეზე, იმ ადგილებში, სადაც ადრე სამხედრო ნაწილები იდგა, სასაზღვრო ქალაქებსა და პორტებში მრავალგვარი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ტვირთის მიღებისა და გაგზავნის მშვიდობიანი სამუშაოები წარმოებს.

სსრ კავშირის და ირანის საზღვარზე მშვიდობიანი მდგომარეობა ხელს უწყობს აგრეთვე აზიის ამ რაიონში სტაბილურობის განმტკიცებას. ასეთი სტაბილურობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა, როდესაც ამ კონტინენტის ხალხები დიდ ინტერესს იჩენენ აზიაში კოლექტიური უშიშროების შექმნის იდეისადმი.

საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობათა სამართლებრივი ანალიზი გვიჩვენებს, რომ მიუხედავად ძირეული განსხვავებისა, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წყობაში, მათ პოლიტიკურ ორიენტაციაში, ამჟამად ირანსა და საბჭოთა კავშირს შორის ჩამოყალიბდა და ვითარდება ურთიერთობა, რომელიც ემყარება თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრინციპებს — მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის, ტერიტორიალური ხელშეუხებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის, ერთმანეთის საქმეებში ჩაურევლობისა და თანასწორობის პრინციპებს.

საბჭოთა კავშირი ირანთან ურთიერთობაში არა მარტო ზუსტად იცავს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, არამედ გადააქვს სიმძიმის ცენტრი მათ რეალურ უზრუნველყოფაზე, რაც ამტკიცებს საერთაშორისო სამართლის პროგრესულ ტენდენციებს, აპყავს საერთაშორისო თანამშრომლობა ახალ ხარისხობრივ საფეხურზე.

სსრ კავშირ-ირანის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობათა თანასწორუფლებიანი ხასიათი განამტკიცებს ირანის პოზიციებს. იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში, აიძულებს რა მათ წავიდნენ გარკვეულ დათმობებზე, შეარბილონ ირანთან თავიანთი სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობათა პირობები. განსაკუთრებული საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირსა და ირანის პოზიციათა ერთობლიობას ან სიახლოვეს მთელ რიგ საკვანძო საერთაშორისო პრობლემათა გადაწყვეტისათვის, განსაკუთრებით დაძაბულობის კერების მოსპობისათვის ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონებში.

¹⁹ იხ. „Известия“, 29 ოქტომბერი, 1970 წ.

როგორც ერთობლივი დასკვნით ცნობაში იყო აღნიშნული, ირანის შაჰინ-შაჰის 1974 წლის ნოემბერში საბჭოთა კავშირში ვიზიტის გამო, ორივე ქვეყანას ერთნაირი შეხედულება აქვს ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორცაა ომის კერების მოსპობა, ბირთვული იარაღის გამოყენების აკრძალვა, საყოველთაო და სრული განიარაღების აუცილებელ ღონისძიებების განხორციელება, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის ყველა ფორმების ლიკვიდაცია.

სსრ კავშირი და ირანი დგანან იმ პოზიციაზე, რომ ურთიერთობათა განვითარება ამ ქვეყნებს შორის უნდა ხორციელდებოდეს მეგობრობისა და თანამშრომლობის საფუძველზე.

ისინი გამოდინან საერთაშორისო ურთიერთობათა პრაქტიკაში მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დანერგვისათვის, სადაო საერთაშორისო საკითხების მოლაპარაკების გზით გადაწყვეტისათვის. საბჭოთა კავშირმა და ირანმა განაცხადეს, რომ გააკეთებენ ყველაფერს, რაც მათზეა დამოკიდებული, საერთაშორისო დაძაბულობის თანმიმდევრული შენელებისა და მისი გავრცელებისათვის მთელს დედამიწაზე.

მაშასადამე, საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელების და ირანის შაჰინ-შაჰის შეხვედრა იყო ახალი მნიშვნელოვანი საფეხური საბჭოთა კავშირისა და ირანის მეგობრული ურთიერთობის განვითარებაში, მათი საქმიანი თანამშრომლობის განმტკიცებაში.

დღეს, როდესაც საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობა წარმატებით ვითარდება, არის ყველა საფუძველი იმისა, რომ ვთქვათ — მეგობრობისა და თანამშრომლობის პოლიტიკა შემდგომშიაც განვითარდება ურთიერთთანამშრომლობის სტულისკვეთებით, რამდენადაც იგი შეესაბამება ორივე სახელმწიფოს ხალხთა ინტერესებს, მშვიდობის საქმეს მთელს მსოფლიოში.



მეზნიაკული კარკაბის მომზადების ოკაზონიზაციულ-სამატიდებრივი ზოგადი

საბჭოთა სახელმწიფო განსაზღვრული ორგანიზაციული ფორმებით წარმართავს მეცნიერული კადრების მომზადებას. ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე ეს ფორმები თანდათანობით იხვეწებოდა. ამჟამად ახალგაზრდა მეცნიერული კადრების მომზადების ორი მთავარი ფორმა არსებობს. ერთი ესაა ასპირანტურის გზით მეცნიერული კადრების მომზადება, მეორე კი ასპირანტურის გაუფლელად გ. წ. „მაძიებლობის წესით“ მეცნიერული კადრების აღზრდა.

1. ასპირანტურა — სამეცნიერო და სამეცნიერო მეცნიერული კადრების მომზადების ძირითადი ორგანიზაციული ფორმაა. სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში ანდა უმაღლეს სკოლაში ასპირანტურის დაარსების საკითხს კომპლექსური სახელმწიფო ორგანოები განსაზღვრავენ.

ასპირანტებს მხოლოდ ის უმაღლესი სკოლა, ანდა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება ამზადებს, რომელთაც შეუძლიათ უზრუნველყონ ახალგაზრდა სპეციალისტების კვალიფიციური სამეცნიერო ხელმძღვანელობა და გაანინათ თანამედროვე ექსპერიმენტალური ბაზა. ამასთან ასპირანტთა აღზრდის უფლება მათ ზოგადად კი არ ეძლევათ, არამედ მეცნიერების ცალკე დარგების მიხედვით.

ასპირანტთა აღზრდის უფლების წართმევა მთლიანად, ანდა რომელიმე სპეციალობაში უმაღლეს სკოლისა და დარგობრივ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებისათვის ხდება სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო განათლების სამინისტროს მიერ, ხოლო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და მოკავშირე რესპუბლიკების აკადემიების სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისათვის ამ აკადემიების შესაბამისი პრეზიდიუმების მიერ.

ამ უფლების ჩამორთმევა შეიძლება მოხდეს, თუ უმაღლეს სკოლას ან ინსტიტუტს აღარა ჰყავს მეცნიერები, არ აქვთ აუცილებელი ლაბორატორიულ-საექსპერიმენტული ბაზა, ანდა ჯერჯერობა არ არის ორგანიზებული მუშაობა ასპირანტებთან. ვახსავთ, რომ ასეთ ვითარებაში ასპირანტთა მომზადების კონცენტრირება იმ უმაღლეს სკოლაში და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში მიმდინარეობს, სადაც ამისათვის ყველა ხელსაყრელი პირობაა.

საბჭოთა სახელმწიფო წარმართავს ასპირანტთა

გეგმაზომიერ მომზადებას ქვეყნის სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების განვითარებისათვის.

სამეცნიერო და სამეცნიერო-მეცნიერული კადრების მომზადების ყოველწლიური და პერსპექტიული გეგმების შემუშავებას და კონტროლს მათ შესრულებაზე ახორციელებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი და სსრ კავშირის სახელმწიფო საკვებო კომიტეტი. ამ უადრესად მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივი დონის ძიებების განხორციელებაში მონაწილეობენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, დარგობრივი აკადემიები, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სსრ კავშირის დანიტრესებულები სამინისტროსა და უწყებების წარმომადგენლები.

სწორედ ამ გზით მიაღწია საბჭოთა ქვეყანამ უდიდეს წარმატებებს სამეცნიერო და სამეცნიერო-მეცნიერული კადრების აღზრდაში. როგორც ჩანს, ასპირანტურა კვლავაც დარჩება ამ კადრების მომზადების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ორგანიზაციულ ფორმად.

ასპირანტურაში მიღების, მასში სწავლის, მისი დამთავრების შემდეგ მოპოვებული უფლებების სამართლებრივი რეგლამენტაცია მოცემულია სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო განათლების სამინისტროს მიერ 1972 წლის 4 აპრილს დამტკიცებულ „დებულებაში უმაღლეს სასწავლებლებთან და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან ასპირანტურის შესახებ“.

ზოგიერთი ცვლილებით ეს დებულება დღესაც მოქმედებს და ყველაზე მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტია ასპირანტურის მუშაობის შესახებ.

ასპირანტურაში სწავლების ორი ფორმა არსებობს. ერთი ესაა ასპირანტურა წარმოებისაგან მოწყვეტილ დასწრებულ (სტაციონალური) სწავლების ფორმა, მეორე კი ასპირანტურა წარმოებისაგან მოწყვეტილი (დაუსწრებელი ასპირანტურა). ასპირანტურის ეს ორი ფორმა განმასხვავებელი ნიშნების გარდა, ბევრ საერთო მომენტს გულისხმობს. ყველაზე მთავარი, რაც ამ ფორმებს აერთიანებს ის არის, რომ მათი დამთავრების შემდეგ მოპოვებული უფლება მეცნიერ-

რების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის დაცვისა, აბსოლუტურად ერთნაირია.

წარმოებისაგან მოწყვეტით, ე. ი. დასწრებულ სწავლებლაში ასპირანტურაში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი არა უმეტეს 35 წლის ასაკისა, ხოლო წარმოებისაგან მოუწყვეტლოვ, ე. ი. დაუსწრებულ სწავლებლაზე არა უმეტეს 45 წლის ასაკისა.

არ არის განსაზღვრული მინიმალური ასაკი. ეს იმიტომ, რომ ასპირანტურაში შემსვლელს ყველა შემთხვევაში უნდა ჰქონდეს დამთავრებული უმაღლესი სასწავლებელი, რაც ფაქტიურად ნიშნავს ასპირანტურაში შესვლის მინიმალური ასაკის დადგენას.

მასსადავმე, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდას შეუძლია საერთო სრულწლოვანების, ე. ი. 18 წლის ასაკის მიღწევამდე შევიდეს ასპირანტურაში, თუ მას უმაღლესი სკოლა დამთავრებული აქვს.

გარდა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისა, ასპირანტურაში შემსვლელს მოეთხოვება ჰქონდეს უნარი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა. მისი განსაზღვრა ხდება იმით, რომ ასპირანტურაში შემსვლელი ადგენს სიას გამოქვეყნებული ნაშრომებისა, სამეცნიერო-ტექნიკურ ანგარიშებს, ცნობებს გამოგონების შესახებ და ა. შ.

ის პირები, რომელთაც ამგვარი ნაშრომები ანდა გამოგონებები არ აქვთ, წარადგენენ არჩეულ სპეციალობაში სამეცნიერო მოხსენებებს (რეფერატებს). უარყოფითი დასკვნა წარადგენილი სამეცნიერო ანგარიშზე, მოხსენებებზე, რეფერატზე პირს ართმევს უფლებას მონაწილეობა მიიღოს საასპირანტო მისაღებ გამოცდებში. ყველას, ვინც ასპირანტურაში შეიღებს, უტარდება სავალდებულო გასაუბრება წინასწარ ნაგარაუდვე მეცნიერ-ხელმძღვანელებთან. ეს უკანასკნელი ვალდებულია წერილობით აცნობოს ასპირანტურის მიმღებ კომისიას თავისი თანხმობა გაუშვით მეცნიერული ხელმძღვანელებს ასპირანტურაში შემსვლელ პირს. ამგვარი გასაუბრების ტარებში პირის დამებება საასპირანტო მისაღებ გამოცდებზე არ ხდება.

სასპირანტო მისაღებ გამოცდებზე დაიშვება უმაღლეს დამთავრებული პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი მის მიერ ამორჩეული სპეციალობის პროფილის მიხედვით. საკითხს იმის თაობაზე, ნამდვილად შეესაბამება თუ არა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდგომ საშუალო სასიათი ამორჩეული სამეცნიერო სპეციალობის პროფილს, წყვეტს შესაბამისი უმაღლესი სკოლის ან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ასპირანტების მიმღები კომისია. ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი იანგარიშება უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ. აქ იგულისხმება დასწრებული (სტაციონალური) სწავლების უმაღლესი განათლების მიღება. ამიტომ სადამოხა და დაუსწრებელი სწავლების კურსდამთავრებულები, რომლებსაც

უკვე აქვთ არანაკლებ ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არჩეული სამეცნიერო სპეციალობის პროფილის მიხედვით, შეიძლება დაშვებულ იქნეს მისაღებ გამოცდებზე უშუალოდ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისთანავე.

გასაგებია, რომ მეტად მნიშვნელოვანია ნიჭიერი ახალგაზრდების დროული მოზიდვა მეცნიერების სხვადასხვა დარგებში, განსაკუთრებით ფუნდამენტურ მეცნიერებებში, სადაც ყველაზე მეტ შედეგებს იხიბი, როგორც წესი, უმაღლესი სკოლის დამთავრების პირველივე წლებში აღწევენ. ამიტომ ახალგაზრდა სპეციალისტები შეიძლება დაშვებულ იქნენ საკონკურსო გამოცდებზე ასპირანტურაში შესასვლელად, უშუალოდ უმაღლესი სკოლის დამთავრებისთანავე, თუკი ამაზე არის უმაღლესი სასწავლებლების (მისი ფაკულტეტის) სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაცია. ცხადია, რომ ამგვარი რეკომენდაციის გაცემა ვაპირობებული უნდა იყოს სტუდენტობის წლებში გამოჩენილი მეცნიერული კვლევის აშკარა უნარით, რისთვისაც საჭიროა სპეციალისტთა სათანადო დასკვნები.

ასპირანტურაში მიიღებიან არა მარტო სსრ კავშირის მოქალაქენი, არამედ აგრეთვე უცხოეთის მოქალაქენი და მოქალაქეობას არმქონე პირები (აპატრიდები). სპეციალურათა ასლავს მათ მიღებას ასპირანტურაში, მაგრამ აკადემიური მოთხოვნების დონე მათ მიმართ იგივია, რაც საბჭოთა ასპირანტურის მიმართ.

შეიძლება თუ არა, პირმა დამთავროს უმაღლესი სკოლა ერთი სპეციალობით, ხოლო მისაღები გამოცდები ჩააბაროს სრულიად სხვა სპეციალობით, რომელშიც მას საბაზო განათლება არა აქვს. ნორმატული აქტები ამ საკითხს პირდაპირ არ აწესრიგებენ. საკმაოდ ხშირად კი ცხოვრებისეული სიტუაციები იქმნება, როცა პირი დამთავრებს ერთი სპეციალობით, ხოლო ასპირანტურაში შესვლის სურვილს აცხადებს სრულიად სხვა სპეციალობით. მართლ იმ პრინციპით მოქმედება, რომ „რაც აკრძალული არაა დაშვებულია“, აქ ყოველთვის არ გამოდგება. მართლაც, შეუსაბამო იქნებოდა იურისტს მოეთხოვა დაშვება საასპირანტო გამოცდაზე წმინდა სამედიცინო სპეციალობით იმის გამო, რომ მას ეს დარგი განსაკუთრებულად იზიდავს. მეორეს მხრივ მეცნიერების განვითარება იმა ადვანტურებს, რომ პირს სრულიად სხვა დარგში, ვიდრე მისი სპეციალობაა მიუღწევია უმნიშვნელოვანეს მეცნიერული შედეგების სათვის, არაფერი რომ არ ვთქვათ სხვადასხვა მეცნიერების მიჯნებზე მიღწეული შედეგების შესახებ ჩვენს დროში. როგორც ჩანს, განსაზღვრული პრაქტიკული მუშაობის სტაჟის არსებობისას შეიძლება დაიცვას საკითხი მაგალითად, პირის ასპირანტურაში საკონკურსო გამოცდებზე დაშვებისა იმ სპეციალობაში, რომელიც არ არის შესაბამისი ამ პირის მიერ დამთავრებული უმაღლესი სკოლის პროფილი-



სა. არ კმარა იმის აღნიშვნა, რომ ამ შესაძლებელი ურთიერთობის საკანონმდებლო რეგლამენტაცია არ არსებობს.¹ იგი უნდა მოწესრიგდეს იმ თვალსაზრისით, რომ განისაზღვროს მეცნიერების რომელ დარგშია აკრძალული ასპირანტურაში მიღება იმ პირებისა, რომელსაც სპეციალური განათლება არა აქვთ. ასე, მაგალითად, დაუშვებლად უნდა ჩავთვალოთ წმინდა სამედიცინო სპეციალობაზე იმ პირების ასპირანტურაში მიღება, რომელთაც არ აქვს სპეციალური სამედიცინო განათლება.

ასპირანტურაში ჩარიცხვა მხოლოდ მისაღები საკონკურსო გამოცდების ჩაბარების შედეგად შეიძლება. გამოცდებისაგან არავინ არ თავისუფლდება, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც ასპირანტურაში შესვლამდე ჩაბარებული აქვს საკანდიდატო მინიმუმის წესით ყველა სავალდებულო საგანი. მეტიც, ასეთ პირებს აქვთ ასპირანტურაში უპირატესი ჩარიცხვის უფლება. ის პირები, რომელთაც მხოლოდ ნაწილობრივ აქვთ ჩაბარებული საკანდიდატო მინიმუმის საგნები (სპეციალობა, უცხო ენა), თავიანთი განცხადებით მიმღები კომისიის მიერ შეიძლება ვათავისუფლდეს შესაბამისი საგნის ჩაბარებისაგან. მათ ამ დროს საკანდიდატო მინიმუმის საგნის შეფასება ეთვლებათ საერთო შეფასებაში შესასვლელი გამოცდების საგნებშიც.

ამას გარდა პირებს, რომელთაც ნაწილობრივ საკანდიდატო მინიმუმის საგნები აქვთ ჩაბარებული, აგრეთვე აქვთ მეცნიერული შრომები და გამოკონფერანსი, ნება ეძლევათ საკანდიდატო გამოცდები ჩააბარონ იმავე ვადებში ასპირანტურაში მისაღები გამოცდების ნაცვლად. ამგვარი ჩაბარება მას არ აძლევს ასპირანტურაში ჩარიცხვის უპირატეს უფლებას. ამ დროს ჩაბარებული საკანდიდატო საგნების შეფასება გათანაბრებულია მისაღები გამოცდების საგნების ჩაბარებასთან. ამით უზრუნველყოფილია საკონკურსო გამოცდების ერთგვაროვნება.

ასპირანტების გადაყვანა ერთ უმაღლეს სასწავლებლიდან ან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებიდან მფარვეში დაიშვება ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიერ სამინისტროს ანდა სხვა დაქვემდებარების მისხვედრად ზემდგომი უწყების ნებართვით.

ასპირანტურაში მისაღები გამოცდების ნიშნის ხელახალი გადაბარება არ დაიშვება. ზოგიერთი უმაღლესი სკოლა და სამეცნიერო საკვლეო დაწესებულება ადგენს ასპირანტურაში ჩარიცხვის გაძლიერებულ პირობებს. მაგალითად, უარს ეუბნებიან პირთ გამოცდების გაგრძელებაზე, თუ სპეციალურ საგანში მიიღეს დამაკმაყოფილებელ შეფასებას. ამგვარი დამა-

ტებითი პირობების დადგენა კანონსაწინააღმდეგო არ არის, მხოლოდ საჭიროა მათ შესახებ ასპირანტურაში შემსვლელმა წინასწარ იცოდეს.

ასპირანტურაში შემსვლელთათვის დადგენილია საკონკურსო გამოცდების ჩაბარება სპეციალურ საგანში, რომელიც მომავალში პირის კვლევის სფერო უნდა გახდეს, სკკპ ისტორიაში და ერთ-ერთ უცხო ენაში (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ესპანური, იტალიური). უმაღლესი სასწავლებლისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ხელმძღვანელის ნებართვით ასპირანტურაში შემსვლელმა ზემოაღნიშნულთა ნაცვლად შეიძლება სხვა უცხო ენა ჩააბაროს, თუკი ამ ენის ცოდნა საჭიროა სადისპლტაციო ნაშრომის შესრულებისათვის.

ასპირანტურაში საკონკურსო გამოცდებზე დაშვებულ პირთ ეძლევათ დამატებითი შევებულება 30 კალენდარული დღის ოდენობით ხელფასის შენარჩუნებით გამოცდების მომზადებისა და ჩაბარებისათვის. დაწესებულებებისა და საწარმოების ხელმძღვანელები ვალდებული არიან გაათავისუფლონ წარმოებისაგან მოწყვეტით სწავლების ფორმაზე ასპირანტურაში მეცადინეობის დაწყებამდე. განათავისუფლების საფუძველზე წარმოადგენს ბრძანების ასლი ასპირანტურაში ჩარიცხვის თაობაზე. აქვე უნდა ითქვას, რომ მოქალაქეებს მხოლოდ ერთხელ შეუძლიათ დაამთავროთ ასპირანტურა და მხოლოდ ერთხელ აქვთ უფლება გამოიყენონ ის შედეგათები, რაც დასწრებული ანდა დაუსწრებელი სწავლების ასპირანტურაში მისაღები გამოცდების ჩაბარებას ანდა ჩარიცხვას თან სდევს.

წარმოებისაგან მოწყვეტით სწავლებისათვის დადგენილია ასპირანტურაში ყოფნის 3 წლის მაქსიმალური ვადა, ხოლო წარმოებისაგან მოუწყვეტელი სწავლებისათვის — 4 წელი. ამ ვადის გავრძელების უფლება არა აქვს უმაღლესი სკოლის ანდა სამეცნიერო-საკვლეო დაწესებულების (გარდა ფესმძიშეობისა და მშობიარობისათვის დადგენილ ე. წ. დეკრეტულ შევებულებისა) ხელმძღვანელებს. შესაბამის ზემდგომ ორგანოებს, რომლის დაქვემდებარებაშია უმაღლესი სკოლა ანდა სამეცნიერო საკვლეო დაწესებულება, ამ უკანასკნელთა შეამდგომლობით, შეუძლია საპატიო მიზეზის არსებობისას გააგრძელონ ასპირანტურაში ყოფნის ვადა.

ასპირანტურაში ჩარიცხვა რექტორის (დირექტორი) ბრძანებით ხდება. ასპირანტურაში ყოფნის პერიოდში უწყვეტ შრომით სტაჟში ითვლება. ამასთან მნიშვნელობა არა აქვს იმას, რამდენ ხანს იყო ღვი ასპირანტურაში. მთავარია, რომ პირმა ასპირანტურაში

¹ იხ. Б. Д. Лебин, Подбор, подготовка и Аттестация научных кадров в СССР, 1966, გვ. 58.

² დაწვრილებით ასპირანტურის შრომითი უფლებების შესახებ იხ. Е. И. Войленко, В. Л. Гейхамы, О. М. Крапивин. Трудовые права преподавателей высших и средних специальных учебных заведений, 1974, стр. 11.

რიდან გასვლის არაუგვიანეს სამი თვის მონაკვეთში დაიწყოს მუშაობა.²

პირს ასპირანტურაში ჩარიცხვასთან ერთად ენიშნება მეცნიერ-ხელმძღვანელი მეცნიერების დოქტორის ანდა პროფესორთა რიცხვიდან. გამონაკლისი წესით სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ნებართვით ანდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის და მოკავშირე რესპუბლიკების აკადემიების პრეზიდიუმების ნებართვით ასპირანტების ხელმძღვანელად შეიძლება მოწვეულ იქნენ მეცნიერების კანდიდატები, რომელთაც აქვთ დოცენტის ანდა უფროსი მეცნიერთანამშრომლის წოდება და არსებითი მეცნიერული მიღწევები. ამგვარ გამონაკლის მაშინ უშვებენ, როცა ამ ზემდგომი ორგანოების წინაშე არის შესაბამისი უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მოტივირებული შუამდგომლობა, მობავალი ხელმძღვანელის სამეცნიერო შრომების სია და კანდიდატურის დახასიათება.

ასპირანტების მუშაობა მიმდინარეობს ინდივიდუალური გეგმის მიხედვით. ეს გეგმა ასპირანტურაში სწავლების მიუღ პერიოდს მოიცავს. ასპირანტის მუშაობის ინდივიდუალური გეგმას ამტკიცებს შესაბამისი სამეცნიერო სამბჭო.

უმაღლესი სასწავლებლების (ფაკულტეტების) და სამეცნიერო-საკვლეო დაწესებულებების სამეცნიერო სამბჭოები არა უგვიანეს სამი თვის გასვლისა ასპირანტურაში ჩარიცხვიდან ამტკიცებენ სადისერტაციო თემებს, რომელიც უნდა იყოს აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი. სადისერტაციო თემების დროული შერჩევა და არსებითი განხილვის შედეგად მისი დამტკიცება დიდად უწყობს ხელს ასპირანტის სამეცნიერო-კვლევით პროცესში შეუფერხებლად ჩაბმას. ამას კი შეუძლია უზრუნველყოს ვადაზღვე ასპირანტურის დამთავრებაც და სადისერტაციო ნაშრომის წაღება, ან დატყვე, რასაც სამბჭოთა კანონმდებლობა მრავალმხრივ ახალისებს.

ასპირანტის მეცნიერი ხელმძღვანელი ვალდებულია სისტემატური კონსულტაცია გაუწიოს ასპირანტის მეცნიერულ მუშაობას და ამასთან აკონტროლებდეს ასპირანტის მხრივ დამტკიცებული ინდივიდუალური გეგმის შესრულებას.

მეცნიერ ხელმძღვანელის თანხმობა აუცილებელია პირის ასპირანტად აყვანაზე, მაგრამ მას არა აქვს უფლება ერთდროულად ჰყავდეს, როგორც წესი, ხუთ ასპირანტზე მეტი. მეცნიერ-ხელმძღვანელი სათანადო ანაზღაურებას იღებს ასპირანტების ხელმძღვანელობისათვის, ანდა ეს შედის მის ინდივიდუალურ დატვირთვაში მოცემული უმაღლესი სასწავლებლის საზით.

დებულება ასპირანტურის შესახებ არ ითვალისწინებს ერთდროულად ასპირანტის ხელმძღვანელად რამდენიმე პირს ჩვენნი აზრით, საჭიროა ნორმატული რეგლამენტაცია ვთქვათ, ერთდროულად ორი მეც-

ნიერ ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელის) ყოფილი. ხშირად თანახელმძღვანელთა არსებობა ასპირანტის წარმატებითი მუშაობის დიდად ხელშეწყობი პირობაა. ამიტომაც ამის შესახებ უნდა ითქვას ასპირანტურის შესახებ დებულებაში.

წარმოებისაგან მოწყვეტით, ე. ი. დასწრებულ სწავლების ასპირანტი ვალდებულია ასპირანტურაში ყოფნის მთელი პერიოდი გამოიყენოს საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარებისა და სადისერტაციო ნაშრომის დროულად წარდგენისათვის. ამიტომ მათ არა აქვთ უფლება დასწრებულ ასპირანტურაში სწავლა შეუთავსონ სხვა სამუშაოს. ეს საგნებით სწორი წესი ითვალისწინებს გონიერ გამონაკლისს, როცა ასპირანტის მეცნიერ-ხელმძღვანელის შუამდგომლობით და სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებების ნებართვით ასპირანტს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სამეურნეო სახელმწიფოებო სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში იმ პირობით, რომ სამეურნეო სახელმწიფოებო პრობლემა შეეფარდება სადისერტაციო თემას, განაკვეთის 50 პროცენტის ანაზღაურებით, რაც მიეცემადა უმცროს მეცნიერ მუშაკის თანამდებობის პირს ხუთ წლამდე სტაჟით.

უმაღლესი სკოლის რექტორის ნებართვით იმ ასპირანტს, რომელიც წარმატებით ასრულებს საასპირანტო მომზადების გეგმას, შეუძლია ფასიანი პედაგოგიური დატვირთვა საათობრივი ანაზღაურების წესით თავის სპეციალობაში, მაგრამ იგი ამისათვის შეიძლება იღებდეს ასისტენტის განაკვეთის 50 პროცენტს. ამ დროს მას არ შეუძლია ანაზღაურებას იღებდეს სამეურნეო სახელმწიფოებო თემატების შესრულებისათვის. დასწრებული სწავლების ასპირანტები ორთვიანი არდადეგების უფლებით სარგებლობენ ყოველწლიურად.

დასწრებელი სწავლების ასპირანტებს, რომლებიც წარმატებით ასრულებენ ინდივიდუალურ გეგმას, ეძლევათ ყოველწლიურად დამატებითი შევსება სა-მუშაო ადგილის მიხედვით 30 კალენდარული დღე საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარებისა და დისერტაციის დასამთავრებლად. ამის გარდა დასწრებელი სწავლების ასპირანტის სურვილის მიხედვით საწარმოებისა და დაწესებულების ხელმძღვანელებს ნება ეძლევათ მისცენ მომზადების მეთხუთხუთწლიანი თავზე დამატებით ერთი-ორი თავისუფალი დღე კვირაში ხელფასის შენარჩუნებით და ა. შ.

ასპირანტი ვალდებულია ასპირანტურაში ყოფნის მთელი პერიოდი გამოიყენოს იმისათვის, რომ უპირველესად ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად ჩაბაროს საკანდიდატო მინიმუმის გამოცდები მის მიერ ამორჩეულ სპეციალობაში, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმში და ერთ-ერთ უცხო ენაში.

საკანდიდატო მინიმუმის მოცულობა სპეციალობაში განისაზღვრება კათედრის (განყოფილების, სექტორის) მიერ.

ასპირანტის უმთავრესი მიზანობა ეს არის წა-



რადგინოს ანდა დაცევას კათედრის მიერ მოწოდებული საკანდიდატო დისერტაცია. დისერტაციის დროულად წარდგენა ან დაცვა ასპირანტს მთელ რიგ შედეგათებს აძლევს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ასპირანტურის დამთავრებულებს უპირველესი უფლება აქვს დაიკავონ ფაკულტური ადგილები კონკურსის გარეშე მეცნიერ მუშაკისა, ასისტენტისა და მასწავლებლისა. ის ასპირანტი, რომელიც სწავლების პერიოდში არ შეასრულებს ინდივიდუალური გვერით გათვალისწინებულ სამუშაოებს, საპატიო მიზეზის გარეშე, ვერ გამოიჩენს სამეცნიერო კვლევითი მუშაობის უნარს, გაირიცხება ასპირანტურიდან უმაღლესი სკოლის რექტორის ანდა სამეცნიერო-საკვლეო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ და იგი გაიწვევება სამუშაოზე როგორც ახალგაზრდა სპეციალისტი. ასპირანტის გარიცხვის შესახებ უნდა ეცნობოს შესაბამის სამინისტროს, უწყებას. ასპირანტურიდან წვერით დასახელებული მიზეზით გარიცხვა საბოლოოა.

ა) მიზნობრივი ასპირანტურა. მიზნობრივი ასპირანტურა მეცნიერული კადრების მომზადების მეტად პერსპექტიული ორგანიზაციული ფორმაა. მის სრულყოფას შეუძლია ხელი შეუწყოს ახალი ინტელექტუალური ძალების მოზიდვას მეცნიერების იმ დარგებში, რომელიც მივლი ქვეყნისათვის მეტად აუცილებელია. ამასთან სწორედ მიზნობრივი ასპირანტურის გზით ხდება მეცნიერული კადრების მომზადება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ და თანამედროვე ექსპერიმენტულ ბაზაზე. მიზნობრივი ასპირანტურა საშუალებას იძლევა ახალი მეცნიერული კადრების მომზადების კონცენტრირებისა იქ, სადაც ამის ყველაზე ხელსაყრელი პირობებია. ესაა ჩვენი ქვეყნის ყველაზე დაწინაურებული უმაღლესი სკოლები და სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტები. არსებითად მიზნობრივი ასპირანტურა არაფრით არ განსხვავდება წარმოებისაგან მოწყვეტით, ე. ი. დასწრებული სწავლების ასპირანტურისაგან. (მიზნობრივი ასპირანტურა, როგორც წესი, დაიშვება დასწრებული სწავლების ფორმით). სხვაობაა ასპირანტურა დამთავრებულთა განაწილების წესში.

მიზნობრივი ასპირანტურა ეს არის იმ უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაში ასპირანტთა მომზადება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, რომლებიც ამას თანამედროვე ექსპერიმენტალურ ბაზაზე ახორციელებენ, ხოლო ასპირანტურისათვის კადრები გამოგზავნილია სხვა უმაღლესი სკოლის, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების, სამრეწველო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ, ვინაიდან ადგილებზე მათ არა აქვთ მეცნიერული კადრების მომზადების ამგვარი ხელსაყრელი პირობები. მიზნობრივი ასპირანტურაში სპეციალისტთა შერჩევის პასუხისმგებლობა აკისრია შესაბამის სამინისტროსა

და უწყებას, რომლის დაქვემდებარებაშია დაწესებულება, საწარმოო და ორგანიზაცია, რომელიც სპეციალისტებს ასპირანტურაში აგზავნის.

გაგზავნილ პირთა ასპირანტურაში ჩარიცხვას უმაღლესი სკოლა, სამეცნიერო-საკვლეო დაწესებულება ახორციელებს ასპირანტურაში მიღების დამტკიცებელი გვერდის შესაბამისად, და იმ ვადებში, რაც ჩვეულებრივ დადგენილია პირთა ასპირანტურაში მისაღებად. მასასადამე, მიზნობრივ ასპირანტურაში მისაღები გამოცდები ცალკე არ ტარდება. მიზნობრივ ასპირანტურაში გაგზავნილი პირები აბარებენ მისაღები გამოცდებს იმ უმაღლეს სკოლაში ანდა სამეცნიერო-საკვლეო დაწესებულებაში, რომელშიც ისინი მომავალში მომზადებას გაივლიან.

მიზნობრივ ასპირანტურაში პირთა ჩარიცხვა მისაღები გამოცდების შემდეგ ხდება უკონკურსოდ. ეს იმას იწინავს, რომ ადგილი გამიზნულია მოცემული პირისათვის თუ ის ადგილით შევსებას მიიღებს მისაღები გამოცდების საგნებში. უკონკურსოდ ჩარიცხვა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მიზნობრივ ასპირანტურაში ჩასარიცხავად ყოველთვის ერთი პირი უნდა შეირჩეს. იმ ორგანიზაციაში ან დაწესებულებაში, რომელიც დაინტერესებულია მიზნობრივი ასპირანტურის გზით მაღალკვალიფიციური მეცნიერული კადრების აღზრდით, შეუძლია ერთ ადგილზე რამდენიმე პრეტენდენტი შეარჩიოს. ყველაზე სწორია საქართველოს სსრ იმ უმაღლესი სსსწავლებელთა გამოცდილება, რომლებიც პრესაში საჯაროდ აღნიშნავენ მათთვის განკუთვნილ მიზნობრივ ასპირანტურაში ადგილების შესახებ, რომ ამ გზით შეირჩეს უკეთესთა შორის უკეთესი და მიზნობრივი ასპირანტურის ერთ ადგილზე მოხდეს ვ. ფ. „მინაგანი კონკურსი“. მიზნობრივი ასპირანტურისათვის შერჩეულ კანდიდატებს უმაღლესი სკოლაში ანდა სამეცნიერო-საკვლეო დაწესებულებაში არ შეიძლება უარი უთხრას გამოცდებზე დაშვებაზე იმ მიზეზით, რაც არ არის დებულებით გათვალისწინებული. მაგალითად, მხოლოდ იმიტომ, რომ პირი უმაღლესი სკოლის დამთავრებიდან უშუალოდ მივიდა სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციით და არა აქვს მას პრაქტიკული მუშაობის ორი წლის სტაჟი.

არ არის აკრძალული მიზნობრივ ასპირანტურაში ჩარიცხვას იმავე უმაღლესი სკოლის დამთავრებულ პირი, მხოლოდ იმ ვალდებულებით, რომ ასპირანტურის დამთავრების შემდეგ იგი იმ ორგანიზაციაში, საწარმოში ანდა დაწესებულებაში იმუშავეს, რომლებიც მის მიზნობრივ ასპირანტურაში ჩარიცხვას დაეთანხმა ამ პირობით.

სპეციალისტები, რომლებიც მიზნობრივ ასპირანტურას დამთავრებენ, ვალდებულები არიან დაბრუნდნენ იმ საწარმოს, დაწესებულების ანდა ორგანიზაციის განკარგულებაში, რომლებმაც ისინი სასწავლოდ გამოაგზავნეს.

ბ) ერთ წლიანი ასპირანტურა. ერთწლი-

ანი ასპირანტურა მხოლოდ უმაღლეს სკოლასთან არსებობს და გამოიწვეულია უმაღლესი სკოლის მასწავლებლის და სხვა თანაშემრომლებისათვის, საშუალო სპეციალური სასწავლებლების მასწავლებლებისა და სკოლის მასწავლებლებისათვის, რომელთა ასაკი 45 წელზე მეტი არ უნდა იყოს. ერთწლიანი ასპირანტურის პერიოდში მათ უნდა დაამთავრონ არჩეულ თემაზე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, მოამზადონ და დაიცვან (წარადგინონ დასაცავად) სადისერტაციო ნაშრომი მეცნიერების კანდიდატის ხარისხის მისაპოვებლად. ასპირანტურაში ყოფნის ვადაში შედის შვებულების დროც. რასაკვირველია, ამ დროს პირი შეიძლება ჩაირიცხოს ერთ წელზე ნაკლები ვადით ასპირანტურაში.

ნორმატიული განსაზღვრულია მხოლოდ ის, რომ ის ვადა არ იყოს ერთ წელზე მეტი. ერთწლიან ასპირანტურაში ჩარიცხვა მისაღები გამოცდების გარეშე ხდება. ეს იმით, რომ ერთწლიან ასპირანტურაში შემსვლელ პირს მთლიანად უნდა ჰქონდეს ჩაბარებული საკანდიდატო გამოცდები ყველა საგანში, ამას გარდა მას უნდა ჰქონდეს სამეცნიერო ანდა პედაგოგიური მუშაობის სტაჟი, არჩეულ თემაზე სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი იმ მოცულობით უნდა ჰქონდეს შესრულებული, რომ ერთი წლის ვადაში შესძლოს დაიცვას დისერტაცია კანდიდატის ხარისხის მისაპოვებლად. ამასთან ერთად პირს უკვე გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს სტატიები ანდა მონოგრაფია არჩეულ თემაზე. მაშასადამე, ერთწლიანი ასპირანტურა იმ პირობა პედაგოგიურ დატვირთვისაგან განთავისუფლებისათვისაა შემოღებული, რომელსაც თითქმის ყველაფერი მზად აქვთ საკანდიდატო ნაშრომის დასამთავრებლად და დასაცავად. იგულისხმება ამასთან, რომ პირებს არ გაუვლიათ ადრე საასპირანტო მომზადების კურსი ანდა ასპირანტურა. ერთწლიან ასპირანტურაში ჩარიცხულ პირთ არ ეძლევა სტიპენდია, ვინაიდან მათ ენახებათ ერთი წლის განმავლობაში თანამდებობა და მის მიხედვით ხელფასის სატარიფო განაკვეთი.

ერთწლიან ასპირანტურაში ყოფნის პერიოდში პირს არ შეიძლება შეთავსებით ჰქონდეს სხვა სამუშაო. ერთწლიან ასპირანტურაში ჩარიცხვისათვის ზემოთდასახელებულ პირობების გარდა საჭიროა აგრეთვე იმ უმაღლესი სკოლის თანხმობა, სადაც პირის ჩარიცხვა ხდება და ნაგარაუდები მეცნიერ სელმძღვანელის დადებითი დასკვნა. ერთწლიან ასპირანტურაში ჩარიცხვისას გაფორმება ხდება იმ სამინისტროს უწყების ბრძანებით, რომლის დაქვემდებარებაში იმყოფება ის უმაღლესი სკოლა, რომელთანაც ერთწლიანი ასპირანტურაა.

ერთწლიან ასპირანტურაში ჩარიცხული პირები ინდივიდუალური გეგმის შეესრულებლობისას შეიძ-

ლება ვადამდე ამორიცხონ უმაღლესი სასწავლებლის რექტორის მიერ. ერთწლიან ასპირანტურაში ჩარიცხული პირები ვადის გასვლის შემდეგ უბრუნდებიან თავიანთ წინანდელ სამუშაო ადგილს.

2. საკანდიდატო ხარისხის მაძიებელთა ასპირანტურის გაუვლელად, საკანდიდატო დისერტაციის დაცვის უფლება პირმა შეიძლება მოიპოვოს ასპირანტურის გარეშეც. ეს ხდება ე. წ. „მაძიებლობის წესით“. ეს წესი არ მოქმედებს სადოქტორო დისერტაციის მიმართ, ისევე როგორც ამჟამად ჩვენში არ არსებობს ე. წ. დოქტორანტურა.

საკანდიდატო ხარისხის მოპოვება ე. წ. მაძიებლობის წესით ასპირანტურის გარეშე უკვე იქცა ჩვენში სამეცნიერო-პედაგოგიური და სამეცნიერო კადრების მომზადების და კვალიფიკაციის ამაღლების უშიშგნულფანგს ფორმად. იგი განსხვავდება დაუსწრებელი სწავლების ასპირანტურისაგან უპირველესად იმით, რომ დაუსწრებელი სწავლების ასპირანტურა წინასწარ გათვალისწინებული გეგმით რეგლამენტაციას ექვემდებარება. ამასთან გაცილებით ფართოა ის უფლებანი და შეღავათები სწავლების პერიოდში, რაც დაუსწრებელი ასპირანტისთვისაა გათვალისწინებული. მეორეს მხრივ სრულიადაც არ შეიძლება ჩათვალოს მაძიებლობა სამეცნიერო-პედაგოგიური და სამეცნიერო კადრების მომზადების „ზრათრგანიზებული ფორმად“.3 საქმე ისაა, რომ შესაბამისი ნორმატიული აქტები ითვალისწინებენ მაძიებლობის წესით მინიმუმის ჩაბარების რეგულირებას, რაც პირველ რიგში თავის გამოხატულებას იმაში ჰპოულობს, რომ სადისერტაციო თემების დამტკიცება მათი აქტუალობის მიხედვით ხდება. ამას გარდა განუხრავლად იწარმოებს ის შეღავათები, რაც მაძიებლობის წესით საკანდიდატო მინიმუმის ჩამბარებულს აქვს. საკანდიდატო ხარისხის მაძიებლისათვის უპირველესი პირობაა უმაღლესი განათლება, სპეციალობის დარგში მუშაობის გამოცდილება აგრეთვე საწარმოო, სამეცნიერო, ანდა პედაგოგიური მოღვაწეობის შეთავსება დისერტაციაზე მუშაობასთან. მაძიებლის ასაკი შეზღუდული არაა.

სსრ კავშირის მინისტროს საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სასელმწიფო კომიტეტის 1968 წლის 3 ივნისის „დებულება სამეცნიერო ხარისხის იმ მაძიებელთა შესახებ, რომლებიც ასპირანტურის გარეშე დისერტაციაზე მუშაობენ“, 4-ე პუნქტით განსაზღვრავს იმ დოკუმენტების ნუსხას, რაც საჭიროა პირის მაძიებლად ცნობისათვის. მასში გათვალისწინებულია დისერტაციის თემის სახელწოდებისა და დისერტაციის განვრცობითი გეგმის წარდგენა. ეს აუცილებელია სხვა დოკუმენტებთან ერთად, რომ იგი მაძიებლად გაფორმდეს უმაღლესი სასწავლებლებ-

3 იხ. Г. И. Офедькин, правовые вопросы организации научной работы в СССР, გვ. 258.



თან ანდა სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტთან. ზოგჯერ ხდება ისე, რომ პირი მხოლოდ ემაგრება საკანდიდატო მინიმუმის საგნების ჩასაბარებლად. ამ დროს არ არის სავალდებულო სადისერტაციო თემის, მისი გაშლილი გვერდის და სამეცნიერო შრომების სიის წარდგენა. ამ დროს არ ხდება მეცნიერ ხელმძღვანელის დამტკიცება. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყოფა მეცნიერ ხელმძღვანელი. სწორედ ნავარაუდევ ხელმძღვანელთან გასაუბრების შემდეგ შესაბამისი კითხვების (განყოფილების, ლაბორატორიის) დასკვნის შემდეგ უმაღლესი სკოლის რექტორი ანდა სამეცნიერო-საკვლეო დაწესებულების ხელმძღვანელი გამოსცემს ბრძანებას მაძიებლის მიმავრებაზე და მისთვის მეცნიერ ხელმძღვანელის დამტკიცებაზე. მეცნიერ-ხელმძღვანელთან შეთანხმების შემდეგ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების, უმაღლესი სკოლის (ფაკულტეტისა) საბჭო ამტკიცებს დისერტაციის თემას. როგორც აღვნიშნეთ ამ გზით ხდება მაძიებლის ჩართვა აქტუალური, ფუნდამენტალური თემების დამუშავებაში.

მაძიებელი მუშაობს დამტკიცებული ინდივიდუალური გვერდის მიხედვით და უფლება აქვს ისარგებლოს მიმავრების ადგილის მიხედვით სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულების მოწყობილობით, კაბინეტებით, ბიბლიოთეკით. მაძიებლად პირის მიმავრებისათვის არ არსებობს რაიმე წინასწარი გამოცდები. საკმარისია იმ პირობების დაცვა, რაც ასპირანტურის გარეშე სამეცნიერო ხარისხის მაძიებელთა შესახებ დებულების მე-3 პუნქტშია გათვალისწინებული. შეიძლება თუ არა უმაღლეს სკოლა დამთავრებულს უშუალოდ მიეცეს უფლება მაძიებლად მიმავრებისა? ამ კითხვაზე ზემოთ დასახელებული დებულების 3-ე პუნქტი პირდაპირ პასუხს არ იძლევა. ამ პუნქტის შინაარსიდან შეიძლება ის დასკვნა გავაკეთოთ, რომ ასეთი უფლება უპირველესად იმ პირებს შეიძლება ჰქონდეთ, რომლებმაც უმაღლესი სკოლა სადამოსა და დაუსწრებელი სწავლების ფორმით დაამთავრეს, ენიადან სწორედ მათ შეიძლება ჰქონდეთ სპეციალობის მიხედვით მუშაობის გამოცდილება და აგრეთვე დაწესებული ჰქონდეთ მუშაობა სადისერტაციო ნაშრომზე, ან ყოველ შემთხვევაში ჰქონდეთ სადისერტაციო ნაშრომის გვერა. რა თქმა უნდა, არაფრით არ არის გამართლებული, როცა ვთქვამთ უმაღლესი სკოლის წარჩინებულ კურსდამთავრებულს, რომელიც სტაციონალურად სწავლობდა და უკვე დაწყებული აქვს სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობა, უარი ვუთხრათ მაძიებლობის წესით საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარებაზე, თუმცა მას აქვს სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაცია ასპირანტურაში შესასვლელად.

ის პირები, რომელთაც არა აქვთ სპეციალური უმაღლესი განათლება მეცნიერულ ხარისხს კი იცავენ სკვბ ისტორიის დარგებში, დამატებით აბარებენ საკანდიდატო გამოცდას სსრ კავშირის ხალხთა ის-

ტორიაში, ხოლო ზემოდასახელებული პირები პოლიტეკონომიაში ხარისხის დაცვის დროს კი ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორიაში, ფილოსოფიურ მეცნიერებაში დისერტაციის დაცვის დროს — ფილოსოფიის ისტორიაში.

სამეცნიერო და სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელებს ნება აქვს აუნაზღაუროს მეცნიერ-ხელმძღვანელებს და მასწავლებლებს შრომა, რაც მათ დასარჯეს მაძიებელთა კონსულტაციებისათვის, გამოცდების მიღებისათვის და დისერტაციაზე მუშაობისათვის, მაგრამ არა უმეტეს 10-15 საათისა თითოეულ მაძიებელზე. საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარებისათვის არ არსებობს რაიმე ხანდაზმულობა, მაგრამ მაძიებელს მის ჩასაბარებლად ეძლევა არა უმეტეს ორი წლისა, ხოლო დისერტაციის მომზადებისათვის კი არა უმეტეს სამი წლისა. ასე რომ, მიმავრების საერთო ვადა არ უნდა იყოს ხუთწულზე მეტი. ამასთან არ დაიშვება ერთდროულად ორი ან მეტი უმაღლესი სასწავლებლის ანდა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების მაძიებლად ყოფნა. თუ მაძიებელ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში არ არის ფილოსოფიისა და უცხო ენაში საკანდიდატო მინიმუმის გამოცდების კომისია, მაშინ მათ შეუძლიათ მიმართონ სხვა უმაღლეს სკოლასა და დაწესებულებას, რათა მათ მაძიებლებისაგან აღნიშნულ საგნებში მიიღონ საკანდიდატო გამოცდები.

უმაღლესი სკოლის, სამეცნიერო-საკვლეო დაწესებულებათა, საწარმოების, ორგანიზაციების ხელმძღვანელები უნდა ეხმარებოდნენ და აუცილებელ პირობებს უქმნიდნენ იმ პირებს, რომლებიც დისერტაციაზე მუშაობენ.

სამეცნიერო ხარისხის მაძიებლებს, რომლებიც წარმატებით უთავსებენ საწარმოო ანდა პედაგოგიურ მოღვაწეობას სამეცნიერო მუშაობასთან სამინისტროებსა და უწყებების სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოების ანდა უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო-საკვლეო დაწესებულებათა სამეცნიერო საბჭოების რეკომენდაციით ეძლევათ შემოქმედებითი შვებულება სამუშაო ადგილზე ხელფასის შენარჩუნებით 3 თვემდე საკანდიდატო დისერტაციის დამთავრებისათვის.

შემოქმედებითი შვებულებების მიცემა, როგორც საკანდიდატო ისე სადოქტორო დისერტაციისათვის დეტალურადაა მოწესრიგებული — ნორმატიული აქტებით. შემოქმედებითი შვებულება საკანდიდატო დისერტაციის დამთავრებისათვის 3 თვემდე, ხოლო სადოქტორო დისერტაციის დამთავრებისათვის 6 თვემდე, უმაღლესი სასწავლებლისა და სამეცნიერო-საკვლეო დაწესებულებაში ამ ორგანიზაციათა წარდგინებით ეძლევათ პირებს შვებულება. ამ პერიოდში პირებს უნარჩუნდებათ საშუალო ერთეულის მიხედვით ხელფასი.

სხვა საწარმოებისა და დაწესებულების მუშაკებს — სამინისტროს (უწყების) მიერ მათი სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოების წარდგინებით. შესაბა-



მისი კათედრა (სექტორი, ლაბორატორია) წარუდგენს საბჭოს მოტივირებულ შუამდგომლობას. საბჭოები რეკომენდაციას იძლევიან სამეცნიერო მუშაობის აქტუალობის გათვალისწინებით ჩატარებული გამოკვლევების მოცულობის და დისერტაციის დამთავრების შესაძლებლობის განსაზღვრით შევსებულების დროს. შევსებულების დამთავრების შემდეგ აუცილებელია, რომ პირმა წარადგინოს ანგარიში მის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

როგორც აღვნიშნეთ ამჟამად ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს დოქტორანტურა. მეორეს მხრივ საბჭოთა სახელმწიფო მხარს უჭერს მეცნიერების კანდიდატთა მუშაობას სადოქტორო დისერტაციაზე. გარდა ნ-თვიანი შემოქმედებით შევსებულებისა არსებობს უმაღლეს სასწავლებლებში მომუშავე მეცნიერების კანდიდატთა გადაყვანა მეცნიერ მუშაკის თანამდებობაზე მათ მიერ სადოქტორო დისერტაციის მოსამზადებლად. ამგვარი გადაყვანა ხდება 2 წლამდე. იმ დროს პირი თავისუფლდება პედაგოგიური დატვირთვისაგან. ეს პირი არ უნდა იყოს 45 წელზე მეტი ხნის. რეკომენდაციას მეცნიერების კანდიდატის მეცნიერ მუშაკად გადაყვანაზე იძლევა უმაღლესი სკოლის სამეცნიერო საბჭო. მეცნიერ მუშაკის თანამდებობაზე გადაყვანილი პირი შეიძლება მივლინებულ იქნეს დისერტაციის გარეშე გამოკვლევების ჩატარებისათვის სხვა უმაღლეს სასწავლებელში, ანდა სამეცნიერო დაწესებულებაში. ამ უკანასკნელმა უნდა უზრუნველყოს ისინი მეცნიერული კონსულტაციით, თემის დამუშავებისათვის საჭირო პირობებით.

ერთი წლის შემდეგ პირი აბარებს ანგარიშს უმაღლესი სკოლის სამეცნიერო საბჭოს, რომელიც საკითხის განხილვის შემდეგ წყვეტს იმას, რამდენად მიზანშეწონილია შემდგომი გამოკვლევების ჩატარება

დისერტაციის თემაზე. ორი წლის გასვლის შემდეგ პირმა უნდა წარადგინოს სადოქტორო დისერტაცია. გასაგებია, რომ მას ამის უფლება აქვს ორი წლის ვადის გასვლამდე.

პედაგოგიურ დატვირთვისაგან გათავისუფლებული მეცნიერების კანდიდატები, რომლებიც სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობენ, გადაიყვანებიან უფროს მეცნიერ მუშაკის თანამდებობაზე, თუ მათ აქვთ დოცენტის ანდა პროფესორის წოდება, მაგრამ მეცნიერების ის კანდიდატები, რომლებსაც არა აქვთ ეს წოდება — გადაიყვანებიან უფროს მეცნიერ მუშაკის თანამდებობაზე. ამასთან სადოქტორო დისერტაციის მომზადებისათვის პედაგოგიურ დატვირთვისაგან გათავისუფლებულ პირებს უფლება არა აქვთ იმუშაონ შეთავსებით. ვაკანსია იმ მასწავლებლისა, რომელიც გადაყვანილია მეცნიერ მუშაკის თანამდებობაზე სადოქტორო დისერტაციის მოსამზადებლად, შეიძლება დაკავებულ იქნას სხვა პირების მიერ, მაგრამ მეცნიერ მუშაკის თანამდებობაზე გადაყვანილი პირები ორი წლის გასვლის შემდეგ ინარჩუნებენ უფლებას სამუშაოზე დაბრუნებისა. მიუხედავად დოქტორანტურის არ არსებობისა, როგორც ვხედავთ, საბჭოთა სახელმწიფო ადგენს რიგ სამართლებრივ დონისძიებებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს მეცნიერების კანდიდატთა მიერ სადოქტორო დისერტაციის წარმატებით დამთავრება და დასაცავად წარდგენა.

ახალგაზრდა მეცნიერული კადრების აღზრდის ერთ-ერთი ფორმაა უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ პირის მუშაობა სტაჟიორ-მასწავლებლად და სტაჟიორ-მკვლევარად. ეს ფორმები ყველაზე კარგ ეფექტს მიაშინ იძლევიან, როცა ისინი წინ უსწრებენ ასპირანტურაში ახალგაზრდის ჩარიცხვას.

ნიკო ნიკოლაძე საგარეო საზოგადოების რაობის და დანიშნულების შესახებ

3. მებრძოლი

ცნობილ ქართველ მოღვაწეს, ლიტერატორს, ჟურნალისტს, პუბლიცისტს — ნიკო იაკობის ძე ნიკოლაძეს საბატო ადგილი უჭირავს XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული აზროვნების ისტორიაში.

საქართველოში ამ დროისათვის არ დასმულა რაიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც ნ. ნიკოლაძე არ გამოხმაურებოდა. კიდევ მეტი: ნ. ნიკოლაძე — ევროპულად განსწავლული მოღვაწე თვითონ აყენებდა ქართველი ერის წინაშე მეტად საჭირო როტო საკითხებს და ეძებდა მათი გადაჭრის გზებს.

ნ. ნიკოლაძის მემკვიდრეობაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი პოლიტიკურ და სამართლებრივ პრობლემებს.

წინამდებარე სტატიაში მკითხველებს გავაცნობთ ნ. ნიკოლაძის სამართლებრივ შეხედულებებს.

ნ. ნიკოლაძის იურიდიული შეხედულებები სრულიად შეუსწავლელია. ამ საკითხზე არ გამოქვეყნებულა საუბრანლო წერილიც კი. ამდენად ეს წერილი ნ. ნიკოლაძის იურიდიულ შეხედულებათა შესწავლის პირველი ცდაა.

ნ. ნიკოლაძე თავის მრავალრიცხოვან შრომებში სამართლებრივი საკითხებიდან განიხილავს: იურისპრუდენციის არსსა და ამოცანებს სხვადასხვა ეტაპზე, კანონის და სამართლის დანიშნულებას, დანაშაულის და სასჯელის ინსტიტუტებს (დანაშაულის მიზეზებს და მათი აღკვეთის ღონისძიებებს), სასამართლოს საქმიანობას, დაცვის პრობლემებს (ადვოკატურის ამოცანებს) და სხვ.

ამ პრობლემებიდან ჩვენ შევცნობთ ნ. ნიკოლაძის შეხედულებებს სამართლის და კანონიერების შესახებ.

ნ. ნიკოლაძე ბავშვობიდანვე ეცნობოდა კანონმდებლობას. მისი მოგონებებიდან ჩანს, რომ იგი, მესუთე კლასის მოსწავლე მამის რჩევით „კანონმეტყველებას“ ეუფლება.¹ კანონმდებლობის ცოდნას უკვე ამჟღავნებს 17 წლის ასაკში დაწერილ ფელეტონში „ხაბარა და ლოტო ქუთაისში“.² 1861 წელს იგი შედის პეტერბურგის უნივერსიტეტში — იურიდიული განათლების მისაღებად. რამდენიმე თვის შემდეგ ნ. ნიკოლაძე სტუდენტთა დემონსტრაციაში მონაწილეობის გამო დააპატიმრეს. განთავისუფლების შემდეგ კი აეკრძალა არა თუ უნივერსიტეტში სწავლა, არამედ პეტერბურგში ცხოვრება. ამიტომ იძულებული გახდა მალულად ეცხოვრა აკაკი წერეთლის ბინაზე სატახტო ქალაქში.

1864 წელს ნ. ნიკოლაძე სწავლის გასაგრძელებლად საზღვარგარეთ მიემგზავრება. 1868 წელს მან შვეიცარიაში დაიცვა დისერტაცია თემაზე: „განაჩადება და მისი სოციალურ-ეკონომიური შედეგები“, რომელშიაც „იურისტის თვალთ არის დანახული ის წინააღმდეგობა, რომელიც ყოველთვის არსებობს ბურჟუაზიულ სამყაროში, ერთი მხრივ, განაჩადების მისწრაფებასა და, მეორე მხრივ, ამ უაღრესად კეთილშობილური იდეის პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობას შორის“.³

საზღვარგარეთ ნ. ნიკოლაძე იურიდიულ განათლებას ღებულობს,⁴ ამდენად ბუნებრივია,

¹ ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. I, გვ. 10.

² იქვე, გვ. 72.

³ დ. გამეზარაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, იხ. ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. I, გვ. 29.

⁴ ნ. ნიკოლაძის რომ საფუძვლიანი იურიდიული განათლება ჰქონდა მიღებული, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ 1881 წელს, როდესაც ქ. თბილისში გამოსვლა დაიწყო სპეციალურმა იურიდიულმა ჟურნალმა „იურიდიკესკოე ობოზრენიემ“, ამ ჟურნალის პირველ ნომერს წინ უძღვის ნ. ნიკოლაძის სტატია ჟურნალის დანიშნულებისა და ამოცანების შესახებ. ბუნებრივია, რომ ისეთმა ცნობილმა იურისტებმა, როგორც ფრენკელი (რედაქტორი-გამომცემელი) და სტუბანოვი (რედაქტორი) იყვნენ თუ ნიკოლაძეს თხოვეს იურიდიული ჟურნალის დანიშნულების შესახებ მეთაური სტატიის მომზადება — ეს ნ. ნიკოლაძის დრმა იურიდიულ განათლებასზე



რომ მის მრავალფეროვან მემკვიდრეობაში ბევრი პატარა სტატია და გამოთქვები სამართლებრივ საკითხებს ეძღვნება. სამწუხაროდ, რაიმე იურიდიული ტრაქტატი, რომელშიაც თავმოყრილი იქნებოდა ნ. ნიკოლაძის სამართლებრივი მსოფლმხედველობა, მას არ დაუტოვებია.

ნ. ნიკოლაძეს თავისი მოსაზრებანი იურისპრუდენციის შესახებ გამოთქმული აქვს უფრონაღ იურიდიჩენკოვ ობოზრენიე“-ს პირველ ნომრისათვის დაწერილ მეთაურ წერილში.⁵ ნიკოლაძე არცდევს უფრნალის დანიშნულებას და ეგება იურისპრუდენციის საკითხსაც. ავტორი მიუთითებს, რომ ამ უფრნალის გამოცემა დაიწყო ისეთ დროს როცა არავინ ზრუნავდა იურიდიული საკითხების ზუსტად გარკვევაზე. «Мечу, а не праву, предоставлено теперь слово практическим событиям 1-го марта. Если в таком моменте и вспоминают иной раз об юристах, то обыкновенно имеют в виду не юристов мыслителей, а юристов-практиков, могущих разрешить с быстротою молнии все возникающие вопросы о возмездии, предусмотренном «Уложением о наказаниях», либо о сроках и церемониях, установленных «Уставом уголовного судопроизводства»⁶.

ნ. ნიკოლაძე ამ ფაქტს მაინც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და მიუთითებს, რომ ასეთი აზრი ერთი შეხედვით იქმნება, სინამდვილეში კი საქმე სულ სხვაგვარად არის. «Конечно, если под словом «право разуметь только притязания на вещи, а под «юриспруденцию» — упражнения в казуистике при разрешении споров и исков, то придется согласиться, что в настоящую минуту наше читающее общество, слава Богу, всего менее интересуется таким вопросом»⁷.

ნ. ნიკოლაძეს მიაჩნია, რომ იურისპრუდენცია არ შეიძლება კაზუსტურ ვარჯიშამდე დაიყვანებოდეს. პირიქით — არ შეეცდებით თუ ვიტყვით — აღნიშნავს ავტორი, რომ არასოდეს რუ-

სეთის განვითარების ისტორიაში საზოგადოებას არ გამოუჩენია ისეთი დიდი ინტერესი სამართლისადმი (ამ სიტყვის ფართო გაგებით), როგორც ამჟამად.⁸

აქვე ნ. ნიკოლაძე კამათობს იმის თაობაზე, თითქმის საზოგადოებას ინტერესებს არა წმინდა იურიდიული საკითხები, არამედ 1881 წლის 1 მარტის ამბები.⁹

ავტორი მიუთითებს, რომ ასეთი საპოლიციო ღონისძიებანი თავისი არსით სცილდება წმინდა პრაქტიკულ ღონისძიებათა ფარგლებს და განზოგადდება სამართლის ფილოსოფიით: «Но разве все эти «мероприятия» о заставах, дворниках, извозчиках и т. п. всецело не относится по счастливому выражению профессора И. Е. Андреевского, «К той части философской науки правоведения, которая именуется полицейским правом» и следовательно, разве они не подлежат анализу и оценке «Юридического обозрения»?.. всякий серьезный юрист согласится с нами — что в той части философской науки правоведения, которая именуется «полицейским правом», многое еще предстоит разработать и разрешить людям науки, даже после Гегеля и Лоренца Штейна».

ნ. ნიკოლაძე ასევე ასაბუთებს, რომ კანონმდებლობაში ზევრი ისეთი საკითხი გადასაწყვეტი, რომელსაც თუმცა იურიდიული ლიტერატურა არც შეხებია, მაგრამ დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვს.

ამის მაგალითად მოჰყავს რუსეთის იმპერიის საარჩევნო სამართალი — საარჩევნო კანონმდებლობა: «Не говоря уже об интересе, представляемом рассмотрением сбивчивых и противоречивых требований нашего законодательства относительно лет, ценза и правоспособности избирателей или избираемых, сколько совершенно серьезных вопросов возбуждает для юридической науки в высшей степени замечательная попытка произвести городские выборы в Петербур-

მიუთითებს, ხოლო 1883 წლიდან ა. ფრენკელი არაერთხელ მიმართავს თხოვნით ნ. ნიკოლაძეს, რომ თიანამშრომლოს ამ უფრნალში, მოაწოდოს სტატიები. შემდგომი ნ. ნიკოლაძე დროდღროდ აქვეყნებს ამ უფრნალის ფურცლებზე თავის სტატიებს.

⁵ Жур. «Юридическое обозрение», № 1, 1881 г.

⁶ Жур. «Юридическое обозрение», № 1, 1881 г.

⁷ იქვე.

⁸ იქვე.

⁹ მხედველობაში აქვს მეფე ალექსანდრე II-ზე თავდასმა და მისი მოკვლა.

¹⁰ მხედველობაში ჰყავს ცნობილი რუსი იურისტი, სამართლის ისტორიის დიდი სპეციალისტი, ბროკჰაუზის და ეფრონის ენციკლოპედიის რედაქტორი, რომელსაც მრავალრიცხოვან იურიდიულ ნაშრომთა შორის დაწერილი აქვს ორტომიანი ნაშრომი საპოლიციო ანუ ტრიბუნისტრაციულ სამართალში.



გე 19 მარტა, для назначения «Совета двадцати пяти»¹¹.

ნ. ნიკოლაძე ასაბუთებს, რომ საჭიროა იურიდიულმა მეცნიერებამ ხელი მოჰქიდოს რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების მახალებს შესწავლას, გაანალიზოს იგი და გამოიტანოს დასკვნები სამართლის სისტემის ჩამოსაყალიბებლად. ნ. ნიკოლაძე უარყოფს მოსაზრებას თითქოს ამის ვაკეთება შეუძლიათ სახელმწიფო მოღვაწეებს ზემოდან: «События доказали, что обещанное, ожидаемое и возвещанное спасение, не пришло с той стороны, откуда его ждали».

ავტორი მოუწოდებს იურიდიული მეცნიერების მსახურთ, რომ აუცილებლად გადასინჯონ რუსეთის იმპერიის კანონმდებლობის ზოგადი საფუძვლები, რადგან 1861 წლის 19 თებერვლის შემდეგ დიდი დრო გავიდა და ბევრი რამ შეიცვალა. ნ. ნიკოლაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შეუძლებელია კანონმდებლობის ერთიან სისტემაში მოყვანა, კანცელარული მეთოდებით, პრესისა და საზოგადოების მონაწილეობის გარეშე.

აქედან ცხადია, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ნ. ნიკოლაძე იურიდიულ მეცნიერებას, იურიდიულ ლიტერატურას, პრესას. გასული საუკუნის 80-იან წლებში კანონმდებლობის სრულყოფისა და დამუშავების საქმეში საზოგადოების ფართოდ ჩაბმის პროპაგანდა ნ. ნიკოლაძის იდეების პროგრესულობაზე მიგვიბრუნებს.

* * *

თავის მრავალრიცხოვან ნაშრომებში ნ. ნიკოლაძეს გამოთქმული აქვს საინტერესო მოსაზრებები კანონის, სამართლის არსისა და დანიშნულების შესახებ.

ჭერ კიდევ 1866 წელს, ჟენევაში რუსუ ენაზე დაბეჭდილ წიგნში „მთავრობა და ახალი თაობა“. ნ. ნიკოლაძე ეხება კანონმდებლობის საკითხსაც, კერძოდ აკრიტიკებს მოქმედ კანონმდებლობას. ამით საშუალება გვეძლევა გავარკვიოთ ავტორის შეხედულება ამ საკითხზე.

ნაშრომში ნ. ნიკოლაძე აყალიბებს პროგრესულ მოთხოვნებს კანონმდებლობის დარგშიც. კანონმდებლობის საქმეში ახალი თაობის მოთხოვნა იყო ფიზიკური სასჯელების გაუქმება და საერთოდ სასჯელთა სისტემის მოწესრიგება. ამ საკითხის განხილვასთან ერთად ნ. ნიკოლაძე გამოთქვამს თავის შეხედულებას კანონმდებლობის კლასობრიობის შესახებ. „ეს არახელსაყრე-

ლი პირობები იძულებულს ჰყოფენ ადამიანს მოიქცეს ასე და არა ისე, ხშირად დარღვევის კანონები, რომლებიც საზოგადოების გავლენიან ნაწილს გამოუცია მხოლოდ და მხოლოდ თავის სასარგებლოდ“¹² აქედან ჩანს, რომ ნ. ნიკოლაძეს კანონმდებლობა გაბატონებული კლასის (საზოგადოების გავლენიანი ნაწილის) ნების გამომხატველად მიაჩნია. სამართლის ასეთი განმარტება ნ. ნიკოლაძეს პროგრესულ მოაზროვნეთა რიგებში აყენებს. კიდევ მეტა — ებ თვალსაზრისი, სამართლის არსის ასეთი გაება — მარქსისტულ თვალსაზრისს უახლოვდება. სამწუხაროდ, ნ. ნიკოლაძე შეცდომას უშვებს როდესაც ფიქრობს, რომ არსებული წყობილების პირობებში შესაძლო იყო კანონმდებლობის იმგვარად შეცვლა, რომ იგი ყველას ერთნაირად მომსახურებოდა, რომ სამართალს ყველას ინტერესები შეიძლება გამოეხატა, ბურჟუაზიული წყობილების პირობებში სამართალს არ შეიძლება ყველას ინტერესი გამოეხატა, ყველას თანასწორად მომსახურებოდა.

ამხელს რა კანონმდებლობის კლასობრიობას ნ. ნიკოლაძე ასკვნის, რომ კანონმდებლობა მხოლოდ ჩაგრულთ ატყდება თავს, მხოლოდ უქონელთა დასახატელადაა მოწოდებული, რადგან გაბატონებულ კლასებს ათასნაირი პრივილეგიები გააჩნია, რაც ხელს უწყობს მათ ფორმალურად არ ჩაიდინონ დანაშაული: „ბოროტმოქმედებაზე ამ საწინააღმდეგო შეხედულებას ახალი თაობა უმთავრესად იმიტომ ქადაგებდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ასეთ მასებს ატყდება თავს მთელი სიმძიმით, რომლებიც ფრიად არახელსაყრელსა და გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან. მდიდრებს, რომელთაც მფარველობს ახლანდელი კანონები და ათასგვარი უპირატესობა, არაფერი არ აიძულებს დანაშაული, ან ბოროტმოქმედება ჩაიდინონ, თუმცა ისინი ყოველდღე ათასგვარ დიდსა და მცირე დანაშაულობას ჩადიან, უკვე მარტო იმით, რომ ხალხის შრომითა ცხოვრობენ, მაგრამ კანონმდებლობა მათ ფრიად თავაზიანად ეპყრობა, იგი ამ დანაშაულობას სრულიად არ სთვლის ყურადღების ღირსად და კანონის რაიმე საწინააღმდეგოდ ასეთ მდგომარეობაში როდი არიან ხალხის მასები და საზოგადოდ ყველა ისინი, ვინც საკუთარი შრომით ცხოვრობენ: თითოეული მათი მისწრაფება ადამიანური უფლებებისადმი, ყოველი მათი სურვილი დაიცვან თავისი პიროვნება მდიდართა თვითნებობისა და უინანობისაგან, თანამედროვე კანონმდებლობის მიერ დანა-

¹¹ Жур. «Юридическое обозрение», № 1, 1881 г.

¹² ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. I, გვ. 349.

შუღლობად, „კანონის დარღვევად, საზოგადოების ზნეობის შეურაცხყოფად ითვლება“.¹³

ნ. ნიკოლაძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა კანონმდებლობას. მისი აზრით, კანონმდებლობა ქვეყნის წესია და საზოგადოების წევრებმა ურთიერთობისას ძირითადად ამ წესით უნდა იხელმძღვანელონ. თუ კანონმდებლობა არ გამოხატავს საზოგადოების წევრთა ინტერესებს, მაშინ მისი აზრით საზოგადოების წევრებმა კანონგარეშე, ანუ არალეგალურ გზას უნდა მიმართონ.¹⁴ ნ. ნიკოლაძე არაერთგზის მიუთითებდა, რომ კანონი უნდა ყველას ერთნაირად ემსახურებოდეს, არ უნდა ჩაგრავდეს რომელიმე მხარეს, უნდა ამყარებდეს თანასწორობას: «Закон существует, или должен существовать для обеих сторон, а не для обуздания одной слабейшей»¹⁵.

1879 წელს დაწერილ პატარა წიგნაკში «Первый процесс «Обзора».

ნ. ნიკოლაძე საინტერესო შეხედულებას გამოთქვამს კანონის არსსა და დანიშნულებაზე.

ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს, რომ კანონი ეს არის ნებართვა, საზოგადოების წევრთა ლეგალურად მოქმედების საშუალება. ნ. ნიკოლაძის მიხედვით კანონი კლასობრივი კი არ უნდა იყოს, არამედ ზეკლასობრივი ე. ი. კლასების ინტერესებზე მალა უნდა იდგეს.

იბადება კითხვა თუ ნ. ნიკოლაძე უარყოფს კანონის კლასობრიობას, მაშ რა მიაჩნია მის განმსაზღვრელად? ნ. ნიკოლაძის პასუხი ასეთია: «...Чтобы закон — эта основа легальности, — стоял недосыгаемо выше обеих борющихся сторон, как оппозиции, так и администрации, и нисколько не зависел ни от той, ни от другой. Только там, где закон имеет своим источником власть совершенно независимую, а целью — разумное регулирование народной жизни, а не интересы и удобства одной из борющихся сторон, и где ни та, ни другая не имеет возможности обходить либо исказить законы, только там, говорю я, возможно спокойное и успешное для государства течение легальной борьбы, никаких опасностей ни для кого не представляющей. Только там и обе эти стороны и все поданные без исключения принуждены почтительно склонять голову предь независимым и неприкосновенным законом»¹⁶.

ამგვარად ნიკოლაძის აზრით კანონის სათავეა სრულიად დამოუკიდებელი ხელისუფლება, ხოლო მისი დანიშნულება უნდა იყოს — საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგება და არა რომელიმე მხარის ინტერესების დაცვა.

კანონის არსის შესახებ ნ. ნიკოლაძის ეს მოსაზრება იდეალისტურია, იმდენად, რამდენადაც არ შეიძლება კანონის სათავე იყოს აბსტრაქტული „სრულიად დამოუკიდებელი ხელისუფლება“.

ნ. ნიკოლაძის მოსაზრება, რომ კანონი არ უნდა გამოხატავდეს ვინმეს ინტერესებს — სწორი არ არის, უტოპიურია. ნ. ნიკოლაძე სცდებოდა, როცა სჯეროდა, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოში შესაძლებელი იყო ზეკლასობრივი კანონების ჩამოყალიბება.

კანონისა და სამართლის საკითხებზე ნ. ნიკოლაძე სხვა სტატიებშიც მსჯელობს.

1865 წლის 21 იანვარს ნ. ნიკოლაძემ გავით „სანქტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტში“ დაბეჭდა ნეკროლოგი პიერ-ჟოზეფ პრუდონის ვარდაცვალების გამო. ნეკროლოგში ნ. ნიკოლაძე იხილავს პრუდონის მსოფლმხედველობას და მის თვალსაზრისს საერთაშორისო სამართალზე. ვიდრე უშუალოდ გაარკვევდეს პრუდონის შეხედულებებს ნ. ნიკოლაძე გამოქვამს თავის მოსაზრებას სამართლის შესახებ. მისი აზრით, საერთაშორისო ურთიერთობანი მეტად არეული და მოუწესრიგებელია, საერთაშორისო ურთიერთობათა მოწესრიგება ხდება ომების საშუალებით. რაც შეეხება ადამიანთა ურთიერთობას, სახელმწიფოს შიგნით თეორიულად იგი უკვე გადაწყვეტილია, რადგან სახელმწიფოებს აქვთ კანონები, რომლებიც აწესრიგებენ ან ყოველ შემთხვევაში უნდა მოაწესრიგონ ადამიანთა შორის წარმოშობილი უთანხმოებები: „ერთდამივე სახელმწიფოს წევრთა შორის ურთიერთდამოკიდებულების უთანხმოება პრაქტიკაში, მართალია მთელი თავისი ძალით არსებობს, მაგრამ სამაგიეროდ თეორიაში იგი უკვე გადაწყვეტილია, შეფარდებულია გარკვეულ კანონებს და მიკუთვნებულია მოსახლელ ავადმყოფთა რიცხვს, რომელთა საწინააღმდეგე წამალი უკვე ნაპოვნი“.¹⁷

ნ. ნიკოლაძე აკრიტიკებს მისი დროის კანონმდებლობას, მიუთითებს, რომ ადამიანთა შორის უთანხმოება მართალია მოწესრიგებულია კანონით, მაგრამ იგი კვლავ შუასაუფენობრივ გაღმონაშთად რჩება, რადგან ძალით განისაზღ-

¹³ ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. I, გვ. 350.

¹⁴ ნ. ნიკოლაძე. Первый процесс «Обзора», 1879 г., 125—127.

¹⁵ ნ. ნიკოლაძე. Первый процесс «Обзора», 1879, стр. 127—128.

¹⁷ ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. I, გვ. 273.



ვრება, ე. ი. კანონმდებლობას, კანონს განსაზღვრავს ძალია „ამრიგად ერთდამავე სახელმწიფოს წევრთა შორის სასამართლოს შუასაუკუნეობრივი წყობილება, დამყარებული ძლიერის უფლებაზე, ურთიერთდამოკიდებულებაში ჩვენ დრომდღა დაცულია“.¹⁸

თუ კარგად დაუკვირდებით ნ. ნიკოლაძის ამ გამოხატვას, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ნ. ნიკოლაძე XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასასრულს ჩამოყალიბებულ სამართლის რეალისტური სკოლის დამეტრულად საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამს.¹⁹ ამ სკოლის მამამთავრის საწინააღმდეგოდ ნ. ნიკოლაძე უარყოფს სამართლის განსაზღვრას ძალით, როგორც ფეოდალურ დამონაშთს და აღნიშნავს, რომ სამართლის განსაზღვრა ძალით, ძალმომრეობას დაამკვიდრებს.

1874 წელს ნ. ნიკოლაძემ გაუ. „ტიფლისი ვესტნიკში“ გამოაქვეყნა სტატია „წერილები ბარიზიდან“, სადაც ეხება კოალიციის მიერ ძველი მთავრობის დამხობას და სხვადასხვა ლენინისტების განხორციელებას, რომელთა შორის ერთერთია ახალი კანონმდებლობის შექმნა, რომელიც ახალი მთავრობის ინტერესებს გამოხატავდა. „...გააუქმეს ძველი კანონები, რომლებიც მთავრობას ხელს უშლიდა ზემოქმედება მოეხდინა ხალხზე და იქვე ადგილზე შეექმნა ახალი კანონები, რომლებიც მათ „ყოველის-მომცველ მოქმედებას ფართო გასაქანს აძლევდა“.²⁰

ნ. ნიკოლაძე ღრმა ფილოსოფიურ მოსაზრებას გამოთქვამს კანონის არსის შესახებ. მისი აზრით კანონი ყოველთვის ვერ გაითვალისწინებს პიროვნებისა და კანონის დამდგენის ინტერესთა თანაფარდობას. ამიტომ, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება პიროვნებისა და საზოგადოების (სახელმწიფოს) ინტერესები, მაშინ მხოლოდ კანონის ვიწრო ცნებიდან კი არ უნდა გამოვიდეთ, არამედ ჭეშმარიტებისა და სამართლის მოთხოვნიდან: „თუ კაცი დოქტრინიორობის ჭურღმულეში არ დახვავებულა და არ შთანთქმულა, მისთვის დღესაცით ნათელია შემდეგი: ყოველთვის, როცა ერთმანეთს შეეჯახება, ერთის მხრით, ცალკე ინდივიდების ინტერესები, მეორეს მხრით საზოგადოების ინტერესები, მაშინ კანონზე მადლა, — რომელიც არამც თუ სრულყოფილი არ არის, არამედ ცო-

ტად თუ ბევრად უსამართლოა ყველა არსებულ სახელმწიფოში, — უნდა იდგეს ჭეშმარიტება და სიმართლე, ეს ჭეშმარიტება და სიმართლე დამოკიდებული არაა არავითარ კანონმდებლობაზე, ვის მიერაც არ უნდა იყოს იგი შედგენილი“.²¹ ამ გამოხატვამიდან ჩანს, რომ ნ. ნიკოლაძე მომხრეა კანონისა და სამართლის შიშობიერებაზე.

ნ. ნიკოლაძეს გამოთქმული აქვს მეტად საინტერესო მოსაზრებანი კანონიერების შესახებ. იგი თუშცა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კანონმდებლობას და სწამს, რომ აღამიანმა ძირითადად კანონმდებლობის ფარგლებში უნდა იმოქმედოს, მაგრამ ამას ყოველთვის როდი თვლის აუცილებლად. მისი აზრით, თუ დეგალური ფორმები ავიწროებენ აღამიანს, მან არაღელვალურსაც, ანუ კანონგარეშესაც უნდა მიმართოს. 1878 წელს ნ. ნიკოლაძე მიცემული იყო პასუხისცემაში დიფამაციისათვის, სასამართლო პროცესი ორ დღეს (4 და 5 დეკემბერს) გრძელდებოდა. ნ. ნიკოლაძემ სასამართლოში არა მარტო თავი დაიცვა, არამედ ამხილა დრომოქმეული წესები და მისი დამცველნი, რომლებიც ბოჭავდენე პიროვნებას და გასაქანს არ აძლევდნენ საზოგადოებას.

ამ პროცესზე სახელმწიფო ბრალდებელი ბრალს დებდა ნ. ნიკოლაძეს იმაში, რომ იგი როგორც რედაქტორი — მოქმედებდა არა კანონის კარნახით, არამედ საკუთარი შეხედულებით. ნ. ნიკოლაძე სახელმწიფო ბრალდებელს ასე მიმართავს: «Замечу мимоходом, что «право действовать по собственному усмотрению» неразлучно связано с не менее же собственно «ответственностью». И раз я не уклоняюсь и не могу думать уклоняться от такой ответственности по суду, опасности тут особенной я не вижу. Но не в этом дело. Повиновение требуету законом лишь относительно законных распоряжений власть имеющих, кажется это — элементарное положение уголовного права...»

აქედან ჩანს, რომ ნ. ნიკოლაძე წინააღმდეგია ყოველგვარი კანონების უსიტყვოდ შესრულებისა. იგი საჭაროდ აცხადებს, რომ შეიძლება დაემორჩილო მხოლოდ კანონის სამართლიან მოთხოვნას — კანონის უსამართლო მოთხოვნას არ შეიძლება დაემორჩილოს აღამიანი. ეს ნ.

¹⁸ ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. I, გვ. 243-244.

¹⁹ სამართლის რეალისტური სკოლის მამამთავრად აღიარებულია ცნობილი გერმანელი იურისტი პროფ. რ. იერიგი, რომელიც ასაბუთებდა, რომ სამართალი განისაზღვრება ძალით. ამ თეორიის შესახებ იხ. ი. ვაჩიყვილი, სამართლის ზოგადი თეორია, ტფილისი, 1926 წ., გვ. 108-110. ასევე

²⁰ ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 27.

²¹ ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. I, გვ. 243-244.



ნიკოლაძეს ხიხნის სამართლის ელემენტარულ მოთხოვნად, ელემენტარულ დებულებად მიანიხნა: «Совет обвинителя держатся всегда легального образа действий и не выходит из пределов легальной борьбы едва ли применим к нашему положению. Я, господа, вовсе не поклонник законности в узком смысле этого слова: Я не думаю, чтобы все наши общественные бедствия проистекли из несоблюдения законов»²¹.

ნ. ნიკოლაძის აზრით კანონიერება კანონების მოთხოვნათა შესრულებას ნიშნავს, კანონიერება ადამიანის ლეგალურ მოქმედებას ნიშნავს. ამასთან ნ. ნიკოლაძე ერთმანეთისაგან განსხვავებებს კანონიერებას ვიწრო და ფართო გაგებით. მისი აზრით, კანონიერება ვიწრო გაგებით არის კანონის ყველა მოთხოვნილების განუხრულად შესრულება, იქნება ეს მოთხოვნა სამართლიანი თუ უსამართლო. ნ. ნიკოლაძე არ არის მომხრე ფორმალური, ანუ ლეგალური არ კიდევ ვიწრო მნიშვნელობით — კანონიერების გაგებისა: «Я, господа, вовсе не поклонник законности в узком смысле этого слова». — მიუთითებს იგი და დასძენს, რომ არ ფიქრობს იმას, თითქოს ყველა საზოგადოებრივი უბედურება კანონების დარღვევიდან ღებულობს სათავეს.

ნ. ნიკოლაძე მომხრეა კანონიერების ფართო გაგებისა. მას მიანიხნა, რომ უნდა სრულდებოდეს კანონის არა ყოველგვარი მოთხოვნა — სამართლიანი თუ უსამართლო, არამედ კანონის მხოლოდ სამართლიანი მოთხოვნა და „სამართლიანი კანონების“ მოთხოვნები.

ზემოაღნიშნულიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს ის, რომ თითქოს ნ. ნიკოლაძე მომხრეა უკანონობის ან ანარქიისა — პირიქით იგი დიდ პატივს სცემს კანონს და ლეგალურობას, მაგრამ როდესაც კანონი ჩამორჩება ცხოვრებას და უღელდავს პიროვნებას, ნიკოლაძის აზრით, მაშინ უნდა მივმართოთ არალეგალურობას. მოუხსინოთ მას: «В деятельности своей я всегда строго держался легальности. Уже десять лет тому назад я задал себе цель — испробовать собственным опытом, и испробовать честно, искренно в какой мере возможно у нас в России примирить интересы желательного и необходимого общественного прогресса с требованиями легальности, т. е. в како й мере наши законы, обычай и порядки допускают заботы об общественном развитии. С этой целью я ре-

шился исчерпать все то, что наши законы дозволяют оппозиции, разумеется, легальной. С душевным прискорбием приходится мне заявить теперь, что десятилетний мой опыт не оправдал надежд и иллюзий друзей спокойного и мирного совершенствования общества»²².

ნ. ნიკოლაძის აზრით, კანონიერების განსაზღვრისთვის (ამ სიტყვის სრული გაგებით) საჭიროა თვით კანონმდებლობის სრულყოფა, ლეგალურობის გაფართოება, წინააღმდეგ შემთხვევაში მუდამ დაირღვევა კანონი და ბიძგი მიეცემა არალეგალურ საქმიანობას. ნ. ნიკოლაძე კანონიერების საკითხის განხილვისას მოქალაქეთა უფლებბრივი მდგომარეობის საკითხსაც შეეხო და მთელი სიგრძე-სიგანით დააყენა ადამიანის უფლებბრივი მდგომარეობის გაფართოების საკითხი. ნ. ნიკოლაძე იმ დასკვნამდე მიდის, რომ საზოგადოების წინსვლის საქმეში მეტი სარგებელი მოაქვს ლეგალურობას და რაც მეტია ლეგალური ბრძოლის არენა, მით მეტია, მით უფრო მეტიცა საზოგადოებრივი მშვიდობიანობა: «Само собою разумеется, что для наилучшего развития страны легальность представляет самые желательные условия, и чем больше предоставлено простор легальной борьбе, тем мирнее, тем прочнее прогресс, добытый обществом». ლეგალურობის სათავედ ნ. ნიკოლაძეს მიანიხნია ისეთი კანონები, რომლებიც მაღლა დგას ადამინსტრაციისზე და ამ უკანასკნელის ოპოზიციაზეც.

კანონიერებაზე ნ. ნიკოლაძის შეხედულებანი სცილდება კანონიერების ფორმალურ გაგებას. ნ. ნიკოლაძე ამ საკითხში პროგრესულ მოაზროვნედ გვევლინება იმ მხრივ, რომ ილაშქრებს გაბატონებული კლასებისათვის ხელსაყრელი კანონიერების წინააღმდეგ, ამხელს მოქალაქეთა უფლებბრივ შეზღუდვას, რაც იწვევს კანონების დარღვევას და დღის წესრიგში აყენებს ლეგალურობას, ანუ ადამიანის უფლებათა გაფართოების საკითხს, რაც მისი აზრით, ალკვეთავდა კანონების დარღვევას.

ნ. ნიკოლაძემ ვერ გაიგო, რომ ექსპლოატორულ კლასობრივი საზოგადოების პირობებში შეუძლებელია ადამიანის უფლებბრივი მდგომარეობის გაფართოება იმ ზომამდე, რომ მას კანონიერების დარღვევა აღარ მოჰყოლოდა. იდეალისტურია ასევე ნ. ნიკოლაძის მოსაზრებანი ექსპლოატირებული სახელმწიფოს პირობებში ლეგალურობის გაფართოების შესახებ.

²² Н. Николадзе. Первый процесс «Обзора», 1879, стр. 126—127.
²³ Н. Николадзе. Первый процесс «Обзора», 1879, стр. 126—127.

ამაზლარი პელაგოგისა და იუჩისვის სხოვრეხის ვჳა



ცნობილმა ქართველმა იურისტმა და პედაგოგმა ესტატე მათეს-ძე მირიანაშვილმა შინაარსიანი ცხოვრება განვლო. იგი XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყებს საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

1895 წელს ჟურნალ „მოამბეში“ (№ 4) გამოქვეყნდა წერილი სათაურით „საფ. შილდა“, რომელსაც „პ. შილდელის“ ფსევდონიმით ხელს აწერდა ესტატე მირიანაშვილი. ამის შემდეგ იგი ამ ფსევდონიმს აღარ იშორებს. 1898-1900 წლებში გაზეთ „ივერიაში“. რამდენიმე ინფორმაცია და წერილი ე. მირიანაშვილმა გამოაქვეყნა ფსევდონიმებით „დროებით აქაური“, „დროებით გადრთული“ და „სადგ. განჯის დროებითი მცხოვრები“, რაც „ქართული გაზეთების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში“ (ტ. V, ნაკვ. I, თბ. 1967) აღრიცხულია, მაგრამ გაშიფრული არ არის.

მკითხველს ორიოდ სიტყვით გავაცნობთ ესტატე მირიანაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. იგი დაიბადა 1866 წელს სოფელ შილდაში (ყვარლის რაიონი). წერა-კითხვა მას ოჯახში შეასწავლეს, მწლისა კი თელავის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანეს, რომელიც 1881 წელს დააშავრა; ამავე წელს მიიღეს თბილისის სასულიერო სემინარიაში. აქ

იგი სოციალისტთა წრეში ებმება, რომელშიც ძირითადად გაერთიანებული იყვნენ სემინარიელები, სამასწავლებლო ინსტიტუტის მსმენელები და რკინიგზის ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები. 1887 წელს მოჰკლეს სემინარიის რექტორი რუდეკვი. ამ დროს ესტატე მეექვსე კლასში იყო და თანაურდონობდა პროგრესულად მოაზრევე ახალგაზრდობას.

1887 წელს ესტატემ დააშავრა სემინარია და მასწავლებლად დანიშნეს თელავის სასულიერო სასწავლებელში. აქ მან ურადღება მიიქცია როგორც ჩინებულმა პედაგოგმა. ეწეოდა რევოლუციური იდეების პროპაგანდას, რაც შეუჩინებელი არ დარჩა ადგილობრივ მთავრობას. 1891 წელს ესტატე მდევლად ეკურთხა და სამუშაოდ გადავიდა ახალციხეში. მდევლის ტანსაცმელს იგი იყენებდა ხალხში მოწინავე აზრების შესატანად და არა წირვა-ლოცვისათვის. ამ დროისათვის მას კავშირურთიერთობა აქვს ქ. ვარშაგის საბუთილო სკოლაში დაარსებულ რუსეთის თვითმპყრობელობისაგან საქართველოს განთავისუფლების ლიგასთან. ამ ორგანიზაციის მდივანი იყო ესტატეს უმცროსი ძმა მიხეილ მირიანაშვილი (პროფესორების მათე და გიგა მირიანაშვილების მამა). მიხეილმა თავის ძმას ესტატეს ვარშაგიდან გამოუგზავნა ლიგის პროგრამა, რომლის გაცნობის შემდეგ, როგორც ე. მირიანაშვილი თავის ავტობიოგრაფიაში წერს: „მე გავხდი წევრი ამ ლიგისა და მქონდა მიწერ-მოწერა ვარშაგის სტუდენტებთან. ერთ დღეს ფილიპე მახარაძემ, რომელიც სწავლობდა იმავე ინსტიტუტში, საზღვარგარეთიდან მიღებული ერთი ყუთი არალეგალური ლიტერატურა წაიღო ჩემ ძმასთან შესანახავად. ორი საათის შემდეგ ჩემს ძმას თავს დაესხა ჟანდარმერია, დააპატიმრა და მთელი დოკუმენტები და მიწერ-მოწერა წაიღეს. ჩემი წერილებიც იქ იყო. ლიგის ყველა წევრი დააპატიმრეს და გადმოგზავნეს ქუთაისში“.

1895-1898 წლებში ესტატე მირიანაშვილი მუშაობს სალიანში (აზერბაიჯანი). 1899-1905 წლებში მსახურობს რკინიგზაზე და ცხოვრობს განჯაში. აქ მასთან ინახებოდა არალეგალური ლიტერატურა. აი, რას წერს ე. მირიანაშვილი თავის ავტობიოგრაფიაში: „სადღურის კლუბში ხშირად იმართებოდა კრებები და ვკითხულობდით რეფერატებს. მავინდებდა იმ დროის ერთი ფაქტი. თბილისიდან ჩამოვიდა განჯაში კობა. ამ დროს კლუბში ვკითხულობდი რეფერატს. გათა-

1 ე. მ. მირიანაშვილის ბიოგრაფიული მასალები ინახება თელავში, კ. მარქსის ქ. № 34, ელიზბარაშვილების ოჯახში.

ვების შემდეგ კობა მოვიდა ჩემთან, ჩამომართვა ხელი და მადლობა გადამიხადა რეფერატისათვის“ (ავტობიოგრაფია, გვ. 4). სულ მალე, 1905 წლის 24 დეკემბერს ესტატე დააპატიმრეს განჯის სადგურზე და 6 თვის განმავლობაში გამომწყვედელი იყო მეტეხის ციხეში. ციხიდან განთავისუფლების შემდეგ ე. მირიანაშვილი მიემგზავრება მოსკოვს და შედის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი 1910 წელს პირველი ხარისხის დიპლომით დაასრულა. ამის შემდეგ იგი მოსამართლედ მსახურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. 1920-1921 წლებში ესტატე კვლავ პედაგოგიურ სარბიელზეა. ამჟერად იგი თელავის წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში ასწავლის „კანონმდებლობას“.

ესტატე მირიანაშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობიდან აღსანიშნავია ჟურნალისტური საქმიანობა, რომელსაც XX საუკუნის ორმოციან წლებამდე ეწეოდა. მისი პირველი სტატიები გამოქვეყნდა „ივერიაში“ და „მოამბეში“. დავასახელებთ ზოგიერთ წერილს: 1. „ქ. ახალციხე და სალარის მონასტერი“ (ივერია, 1894 წ. № 114, 116, 117, 122); 2. „სომხები ახალციხე-ახალქალაქის მაზრაში“ (ივერია, 1894, № 1031); 3. „მცირე შენიშვნები მესხეთის შესახებ“ (ივერია, 1900, № 131, 132, 133); 4. „ორიოდე სიტყვა ქართველ კათოლიკეთა შესახებ“ (ივერია, 1897, № 243), 5. „თევზის მრეწველობა მდ. მტკვარზე“ (ივერია, 1897, № 226—227).

ესტატე მირიანაშვილის სტატია „სიტყვა გიორგი წერეთელის გარდაცვალების გამო“, შეტანილია „კვალის“ მიერ ცალკე გამოცემულ კრებულში „გ. წერეთელი 1842-1900“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ესტატე მირიანაშვილი აქტიურად თანამშრომლობს ჟურნალ-გაზეთებში, „საბჭოთა სამართალი“, „რელიგიის წინააღმდეგ“, „მებრძოლი ათეისტი“, «Везбожник» და სხვა ორგანოები ხშირად ათავსებენ მის წერილებს. იგი ბევრს წერს საბჭოთა სამართლისა და რელიგიის საკითხებზე. სანიმუშოდ

დავასახელებთ ზოგიერთი წერილის სათაურს: 1. „ქორწინების წესები“ (ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1928 წ. № 16, 17, 18); 2. „ეკლესია და სახელმწიფო“ (ჟურნალი „რელიგიის წინააღმდეგ“, 1930 წ. № 1, 4); 3. „ეკლესია და ინკვიზიცია“ (ჟურნ. „რელიგიის წინააღმდეგ“, 1930 წ. № 5, 6, 7); 4. „სული და მატერია“ (ჟურნ. „რელიგიის წინააღმდეგ“, 1930 წ. № 8) 5. „ეკლესია და სამოქალაქო აქტები“, ჟურნ. „რელიგიის წინააღმდეგ“ 1938 წ. № 7, 11-12, 13, 14).

ე. მირიანაშვილს მნიშვნელოვანი მასალები აქვს მოპოვებული და გაანალიზებული ქართული მართმადიდებლური ეკლესიის ისტორიიდან. მაგ. „რამდენიმე სიტყვა ქართულ მართმადიდებელ ეკლესიის განვითარების ისტორიიდან“ (ჟურნალი „მებრძოლი ათეისტი“, 1939, № 8); «Из истории Груз. церкви» (გაზ. «Везбожник», 1940 г. № 4); „ქრისტიანობის დასაწყისი საქართველოში“ და სხვა.

ე. მირიანაშვილს დაწერილი აქვს მოგონებები სათაურით „მოგონებანი წარსულიდან“ (თბილისის სასულიერო სემინარიის ცხოვრებიდან), „მოგონებანი 1905 წლის რევოლუციიდან“, „მოგონება ნიკო მთვარელიშვილზე“ (დაცულია თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში). გამოუქვეყნებელია მისი წერილები: „საეკლესიო იერარქია“, „ქართული საეკლესიო სამართლის წყაროები“, „ქრისტეს სასწავლების გამო“; „ნაწყვეტები ბიზანტიური ეკლესიის ქონებრივ უფლება-უნარიანობის განვითარების ისტორიიდან“, „ნაწყვეტები რუსული მართმადიდებელი ეკლესიის ქონებრივ უფლება-უნარიანობის ისტორიიდან“ და სხვები.²

ესტატე მირიანაშვილი გარდაიცვალა 1954 წლის 2 აპრილს, თბილისში.

ტ. მეტრეველი,
თელავს რაიონის პროკურორი,
გ. ჯავახიშვილი,

ი. გოჯებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიკური უფროსი მასწავლებელი.

2 ე. მირიანაშვილის მდიდარი არქივი ინახება თბილისში, პროფ. ე. მირიანაშვილის ოჯახში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მასალები

დ ე რ გ ე ნ ი დ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

„სახალხო განათლების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის
სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

„სახალხო განათლების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ კანონი „სახალხო განათლების შესახებ“ სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1975 წლი 1 სექტემბრიდან.

2. დავეალოს საქართველოს სსრ უმაღლესი

საბჭოს პრეზიდიუმს დაადგინოს „სახალხო განათლების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესი და საქართველოს სსრ კანონმდებლობა შეუსაბამოს ამ კანონს.

3. დავეალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუსაბამოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებები საქართველოს სსრ კანონს „სახალხო განათლების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ქოჩინიძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვბაძე**


თბილისი. 28 ივნისი. 1975 წელი.

ქ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
სახალხო განათლების შესახებ

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ შექმნა ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური პირობები.

მოკლე ისტორიულ პერიოდში საბჭოთა საზოგადოების სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში დაკვიდრდა სოციალისტური იდეოლოგია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ხორციელდება



ახალი ადამიანის — კომუნისმის მშენებლის — ჩამოყალიბების ამოცანა.

კაცობრიობის ისტორიაში პირველად ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა სახალხო განათლების ქვეყნობის ისტორია. სსრ კავშირში, რომლის შემადგენლობაშიც ნებაყოფლობითი გაერთიანებისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთად შედის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, მოქალაქეებს აქვთ საშუალო და უმაღლესი განათლების მიღების, აგრეთვე სპეციალობისა და კვალიფიკაციის შესაბამისად მუშაობის რეალური შესაძლებლობა.

სოციალიზმის გამარჯვებამ სსრ კავშირში უზრუნველყო საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის, კულტურული და სავანანათლებლო დონის განუზრეგელი ამაღლება, შესაძლებელი გახდა ბავშვთა სკოლამდელი აღზრდისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა, სავალდებულო რეაწლიანი სწავლების თანამიმდევრულად განხორციელება და ახალგაზრდობის საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადაყვანა, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების ფართოდ განვითარება.

კომუნისმის მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში, საწარმოო ძალების განუწყვეტელი ზრდა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი დაბეჭდვით მოითხოვენ მოზარდი თაობის ყოველმხრივ განვითარებას, მაღალკვალიფიციური მუშებითა და სპეციალისტებით სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფას, სსრ კავშირის მოსახლეობის ზოგადი და პროფესიული განათლების დონის შემდგომ ამაღლებას.

საშუალო განათლების განხორციელება და ზოგადი, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების სრულყოფა ხელს შეუწყობს საბჭოთა ხალხის კულტურის შემდგომ ამაღლებას, კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერების მიღწევას, გახდება გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის, ქალაქსა და სოფელს შორის არსებით განსხვავებათა თანდათანობით დაძლევის მნიშვნელოვანი ფაქტორი.

სსრ კავშირში სახალხო განათლების მიზანი

მოამზადოს კომუნისტური საზოგადოების დიდად განათლებული, ყოველმხრივ განვითარებული აქტიური მშენებლები, რომლებიც აღზრდილი იქნებიან მარქსიზმ-ლენინისმის იდეებით, საბჭოთა კანონებისა და სოციალისტური მართლწესრიგის პატივისცემის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, ფიზიკურად ჯანსაღი ადამიანები, რომლებიც წარმატებით იშრომებენ სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვადასხვა დარგში, აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოებრივ და სახელმწიფო საქმიანობაში, მზად იქნებიან თავდადებით დაიცვან სოციალისტური სამშობლო, დაიცვან და ამრავლონ მისი მატერიალური და სულიერი სიმდიდრენი, გაუფრთხილდნენ ბუნებას. სსრ კავშირის სახალხო განათლებამ უნდა უზრუნველყოს საბჭოთა ადამიანის სულიერ და ინტელექტუალურ მოთხოვნილებათა განვითარება და დაკმაყოფილება.

განათლება სსრ კავშირში ნამდვილად საყოველთაო-სახალხო საქმეა. სახელმწიფო, ოჯახი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ერთობლივად მცადინეობენ უზრუნველყოფენ მოზარდი თაობის აღზრდასა და განათლებას. სახალხო განათლების განვითარებაში განსაკუთრებული როლი ენიჭებათ პედაგოგიურ მუშაებს, რომელთა საქმიანობას საფუძვლად უქვეყნობს პროფესიული და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მაღალი შეგნება ახალგაზრდა თაობის სწავლების სათანადო ხარისხისათვის და კომუნისტური აღზრდისათვის.

საბჭოთა სახალხო განათლების კანონმდებლობა აქტიურად უნდა ემსახუროდეს ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების საქმის სრულყოფას, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ამ დარგში სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას.

პ ა რ ი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. სახალხო განათლების კანონმდებლობის ამოცანები

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახალხო განათლების კანონმდებლობა აწესრიგებს



საზოგადოებრივ ურთიერთობებს სახალხო განათლების დარგში იმ მიზნით, რომ უფრო სრულად დააკმაყოფილოს საბჭოთა მოქალაქეების მოთხოვნები და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების საქირებანი მოზარდი თაობის განათლებასა და კომუნისტურ აღზრდაზე, უზრუნველყოს სახალხო მეურნეობა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მუშებითა და სპეციალისტებით.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახალხო განათლების კანონმდებლობა

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახალხო განათლების კანონმდებლობა შედგება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლებისა და მის შესაბამისად მიღებული სსრ კავშირის სახალხო განათლების კანონმდებლობის სხვა აქტების, ამ კანონისა და საქართველოს სსრ სახალხო განათლების კანონმდებლობის სხვა აქტებისაგან.

მუხლი 3. საქართველოს სსრ მოქალაქეთა განათლების უფლება

სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება.

ეს უფლება უზრუნველყოფილია სავალდებულო ზოგადი რვაწლიანი განათლებით, ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელებით, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების ფართო განვითარებით, ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან სწავლების კავშირის საფუძველზე, სკოლებში დედაენაზე სწავლებით, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა ქსელის გაფართოებით, ყველა სახის განათლების უსასყიდლოდ, სახელმწიფო სტიპენდიების და მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის სხვა სახის მატერიალური დახმარების სისტემით, მშრომელთა საწარმოო სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სხვადასხვა ფორმის ორგანიზაციით.

მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდისათვის ყველაზე ხელშემწყობი პირობების შექმნის მიზნით სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის აწესებს შესაბამის შეღავათებს.

მუხლი 4. სახალხო განათლების ძირითადი პრინციპები საქართველოს სსრ რესპუბლიკაში

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სახალხო განათლების ძირითადი პრინციპებია:

1) განათლების მიღებაში სსრ კავშირის ყველა მოქალაქის თანასწორობა მათი რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, ქონებრივი და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად;

2) სავალდებულო განათლება ყველა ბავშვისა და მოზარდისათვის;

3) ყველა სასწავლო-აღზრდელობითი დაწესებულების სახელმწიფო და საზოგადოებრივი ხასიათი;

4) სწავლების ენის თავისუფალი არჩევანი; სწავლება დედაენაზე ან სსრ კავშირის სხვა ხალხის ენაზე;

5) ყველა სახის განათლების უსასყიდლოდ, მოსწავლეთა ნაწილის სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე შენახვა, მოსწავლეთა და სტუდენტთა სტიპენდიით უზრუნველყოფა და მათთვის სხვა მატერიალური დახმარების გაწევა;

6) სახალხო განათლების სისტემის ერთიანობა და ყველა ტიპის სასწავლებელთა შემდგომადობა, რაც უზრუნველყოფს სწავლების დაბალი საფეხურიდან უმაღლეს საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობას;

7) სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის ერთიანობა, სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის თანამშრომლობა ბავშვებისა და ახალგაზრდობის აღზრდაში;

8) მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის კავშირი ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან;

9) განათლების მეცნიერული ხასიათი, მისი მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის უახლეს მიღწევათა საფუძველზე მისი გამომდებელი სრულყოფა;

10) განათლებისა და აღზრდის ჰუმანისტური და მაღალნეობრივი ხასიათი;

11) ორივე სქესის პირთა ერთად სწავლება;

12) განათლების საერო ხასიათი, რომელიც გამორიცხავს რელიგიის გავლენას.

მუხლი 5. სახალხო განათლების სისტემა საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების

სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად საქართველოს სს რესპუბლიკაში განათლების სისტემა მოიცავს:

- სკოლამდელ აღზრდას;
- ზოგად საშუალო განათლებას;
- სკოლისგარეშე აღზრდას;
- პროფესიულ-ტექნიკურ განათლებას;
- საშუალო სპეციალურ განათლებას;
- უმაღლეს განათლებას.

მუხლი 6. სსრ კავშირის კომპეტენცია სახალხო განათლების დარგში

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სახალხო განათლების დარგში სსრ კავშირის გამგებლობას, მისი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სახით, ვანეკუთვნება:

1) სსრ კავშირში სახალხო განათლების ხელმძღვანელობისა და მართვის სისტემის საერთო პრინციპების დადგენა;

2) სახალხო განათლების განვითარების საერთო-საკავშირო გეგმებისა და ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის კვალიფიციურ მუშათა და სპეციალისტთა მომზადების გეგმების დადგენა;

3) სსრ კავშირის სახალხო განათლების ორგანოების ხელმძღვანელობა; საკავშირო დაქვემდებარების სახალხო განათლების სისტემის სასწავლო-აღმზრდელობითი, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და საწარმოების მართვა;

4) სასწავლებლებისა და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებების ტიპების დადგენა, მათი დებულებების (წესდებების) დამტკიცება, სასწავლებლებში მიღების ასაკისა და სწავლების ვადის განსაზღვრა;

5) საკავშირო დაქვემდებარების უმაღლესი სასწავლებლების, აგრეთვე საშუალო სპეციალური, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ორგანიზაცია, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

6) სასწავლებლებისა და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებათა შტატების განსაზღვრის, მუშაკთა შრომის ნორმირებისა და ანაზღაურების წესის დადგენა;

7) ყველა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულების სასწავლო-მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობის საერთო პრინციპების დადგენა, სასწავლო გეგმების დამტკიცება და სასწავლო პროგრამების დამტკიცების წესის განსაზღვრა;

8) სასწავლებლებისა და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზის განვითარების საერთო-საკავშირო გეგმების დადგენა;

9) მატერიალური დახმარების სახეობათა და ნორმათა დადგენა იმ პირობების, რომლებიც სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში სწავლობენ და იზრდებიან;

10) სახელმწიფო კონტროლი სახალხო განათლების დარგში და მისი განხორციელების წესის დადგენა;

11) სახალხო განათლების დარგში სტატისტიკური აღრიცხვითა და ანგარიშების ერთიანი სისტემის დადგენა;

12) სახალხო განათლების სხვა ისეთ საკითხთა გადაჭრა, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სსრ კავშირის გამგებლობას ვანეკუთვნება.

მუხლი 7. საქართველოს სსრ კომპეტენცია სახალხო განათლების დარგში

სახალხო განათლების დარგში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამგებლობას, მისი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სახით, ვანეკუთვნება:

1) სახალხო განათლების განვითარების რესპუბლიკური გეგმებისა და კვალიფიციურ მუშათა და სპეციალისტთა მომზადების გეგმების დადგენა;

2) საქართველოს სსრ სახალხო განათლების ორგანოების ხელმძღვანელობა; რესპუბლიკური დაქვემდებარების (საქართველოს სსრ) სახალხო განათლების დაწესებულებებისა და საწარმოების მართვა;

3) რესპუბლიკური დაქვემდებარების (საქართველოს სსრ) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, აგრეთვე საშუალო სპეციალური სასწავლებლების ორგანიზაცია, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

4) რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების სასწავლო-მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობის განხორციელება დადგენილი წესის მიხედვით;

5) ცალკეული დისციპლინების მიხედვით სახელმძღვანელოების, სასწავლო თვალსაჩინოებისა და სასწავლო პროგრამების დამტკიცება დადგენილი წესით;

6) პედაგოგიურ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განვითარებისა და ამ დარგში მოპოვებული ნიღწეების არაქვიკაში დანერგვის რესპუბლიკური გეგმების დადგენა;

7) რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სახალხო განათლების დაწესებულებების



ბათა სასწავლო-მატერიალური ბაზის განვითარების რესპუბლიკური გეგმების დადგენა;

8) სასწავლებლებისა და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებების საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება საქართველოს სსრ რესპუბლიკის ტერიტორიაზე;

9) სახალხო განათლების მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების დაწესება და მინიჭება;

10) სახალხო განათლების სხვა ისეთ საკითხთა გადაჭრა, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად საქართველოს სსრ გამგებლობას განეკუთვნება.

მუხლი 8. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კომპეტენცია სახალხო განათლების დარგში

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ გამგებლობას, მისი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სახით, განეკუთვნება:

1) სახალხო განათლების განვითარების რესპუბლიკური (აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ) გეგმების დადგენა;

2) ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოების ხელმძღვანელობა;

3) რესპუბლიკური (აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ) და ადგილობრივი დაქვემდებარების სახალხო განათლების სისტემის სასწავლო-აღმზრდელითი, სპეციალურ-კვლევითი დაწესებულებებისა და საწარმოების მართვა;

4) სასწავლებლებისა და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებების საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება შესაბამისად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ტერიტორიაზე;

5) სახალხო განათლების სხვა ისეთ საკითხთა გადაჭრა, რომლებიც საქართველოს სსრ კონსტიტუციის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კონსტიტუციებისა და ამ კანონის შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების გამგებლობას განეკუთვნება.

მუხლი 9. სახალხო განათლების ხელმძღვანელობა საქართველოს სს რესპუბლიკაში

სახალხო განათლებას საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ კონსტიტუციის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კონსტიტუციებისა და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები და სახელმწიფო მმართველობის

ორგანოები, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, მათი დებულებების შესაბამისად, რომლებსაც ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, ზოგად საშუალო, პროფესიულ-ტექნიკურ, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს განათლებას საქართველოს სს რესპუბლიკაში, როგორც წესი, ხელმძღვანელობენ მათ სისტემაში შემავალი საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების მეშვეობით და მართავენ უშუალოდ მათდამი დაქვემდებარებულ სასწავლო-აღმზრდელითის დაწესებულებებს, აგრეთვე შეიქმნავენ სასწავლო, აღმზრდელითი, მეთოდოლოგიური და მეცნიერული მუშაობის ზოგად დებულებებს, რომლებიც სავალდებულოა სასწავლო-აღმზრდელითი დაწესებულებებისათვის მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, და კონტროლს უწევენ მათს საქმიანობას.

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, მათი დებულებების შესაბამისად, რომლებსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ხელმძღვანელობენ ზოგად საშუალო, პროფესიულ-ტექნიკურ, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს განათლებას.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ზოგად საშუალო განათლებას, სკოლამდელ და სკოლისგარეშე აღზრდას, როგორც წესი, ხელმძღვანელობს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სახალხო განათლების განყოფილებების მეშვეობით, განაგებს მისთვის უშუალოდ დაქვემდებარებულ სასწავლო-აღმზრდელითის დაწესებულებებს და ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში, საბავშვო სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელითი და მეთოდური მუშაობის საკითხებზე კოორდინაციის უწყევს საქართველოს სსრ იმ სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობას, რომლებსაც ექვემდებარებიან სასწავლო-აღმზრდელითი დაწესებულებები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი განაგებს უშუალოდ მისდამი დაქვემდებარებულ სასწავლო-აღმზრდელითის დაწე-

სებულეებსა და ორგანიზაციებს, ხელმძღვანელობის პროფესიულ-ტექნიკურ განათლებას აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე, როგორც წესი, რესპუბლიკური და საოლქო პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველოების მეშვეობით და უზრუნველყოფს კონტროლს კვალიფიციური მუშების მომზადების ხარისხზე საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო ხელმძღვანელობს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ განათლებას საქართველოს სსრ რესპუბლიკაში, მართავს მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებულ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მეშვეობით სასწავლო-მეთოდურ ხელმძღვანელობას უწყევს სხვა უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს, რომლებიც ამ სამინისტროებსა და უწყებებს ექვემდებარებიან, აგრეთვე ახორციელებს კონტროლს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების საქმიანობაზე სასწავლო მეთოდური, აღმზრდელი მუშაობის საკითხებში.

მუხლი 10. მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების კომპეტენცია სახალხო განათლების ხელმძღვანელობის დარგში

მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების კომპეტენცია სახალხო განათლების ხელმძღვანელობის დარგში განისაზღვრება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით.

მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ხელმძღვანელობენ მათდამი დაქვემდებარებულ სასწავლო-აღმზრდელი და დაწესებულებებს, ახორციელებენ ამ დაწესებულებათა ქსელის განვითარების, მათი სწორი განლაგებისა და სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების ღონისძიებებს, უზრუნველყოფენ საყოველთაო სავალდებულო სწავლებას და სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის ხელმძღვანელობას, ეხმარებიან მუშაობაში საბჭოების ტერიტორიაზე განლაგებულ პროფესიულ-ტექნიკურ, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებს.

მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები აწარმოებენ სასკოლო ასაკის ბავშვების აღრიცხვას, კანონით დადგენილი წესით ანაწილებენ საყოველთაო სწავლების ფონდს და კონტროლს უწყვენ მის გამოყენებას, კოორდინაციას უწყვენ სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების,

ორგანიზაციების, კოლმეურნოებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას სასწავლო-აღმზრდელი და დაწესებულებებისათვის დახმარების აღმოჩენის საქმეში, აგრეთვე წყვეტენ სხვა საკითხებს, რომლებიც მათ კომპეტენციას განეკუთვნება.

მუხლი 11. სასწავლო-აღმზრდელი და დაწესებულებების დაქვემდებარება

სასწავლო-აღმზრდელი და დაწესებულებები იმყოფებიან სახელმწიფო ორგანოების გამკებლობაში. ზოგიერთი სახეობის სასწავლო-აღმზრდელი და დაწესებულება შეიძლება იყოს აგრეთვე კოლმეურნოების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამკებლობაში.

მუხლი 12. სასწავლო-აღმზრდელი და დაწესებულების ხელმძღვანელობა

სასწავლო-აღმზრდელი და დაწესებულების ხელმძღვანელობას ახორციელებს შესაბამისი სასწავლო-აღმზრდელი და დაწესებულების გამკე, დირექტორი, რექტორი, რომელიც თავის მუშაობაში ეყრდნობა პედაგოგიურ კოლექტივსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

სასწავლო-აღმზრდელი და დაწესებულების და მეცნიერული მუშაობის ძირითადი საკითხების კოლექტივი განხილვის უზრუნველსაყოფად სასწავლო-აღმზრდელი და დაწესებულებაში პედაგოგიური მუშაკებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისაგან იქმნება პედაგოგიური საბჭო (უმაღლესი სასწავლებლის საბჭო).

სასწავლო-აღმზრდელი და დაწესებულების საზოგადოებრივი ორგანიზაციები მონაწილეობენ იმ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში, რომელთა მიზანია მოსწავლეთა და სტუდენტთა სწავლების, აღზრდისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება.

მუხლი 13. საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მონაწილეობა სახალხო განათლების განვითარებაში

სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, კოლმეურნოები, კოოპერაციული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობენ სახალხო განათლების განვითარებაში, მშრომელთა საწარმოო სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში, განათლების მიღებაში ეხმარებიან მუშებს, კოლმეურნებსა და მოსამსახურეებს.

მუხლი 14. მოქალაქეთა თვითგანათლება

მოქალაქეთა თვითგანათლებისა და კულტურული ღონის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ეწყობა სახალხო უნივერსიტეტები, ლექტორიუმები, კურსები, კომუნისტური შრომის სკოლები და პოლიტიკური და მეცნიერული ცენტრები



გავრცელების სხვა საზოგადოებრივი ფორმება. სახალხო განათლების ორგანოები და დაწესებულებები ეხმარებიან მოქალაქეებს თვითგანათლების ორგანიზაციაში.

მუხლი 15. სკოლამდელი ასაკის ბავშვების, მოსწავლეებისა და სტუდენტების ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდა

სასწავლო აღმზრდელით დაწესებულებებში ტარდება სკოლამდელი ასაკის ბავშვთა, მოსწავლეთა და სტუდენტთა ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდა კომუნისტური მორალის პრინციპებისა და მოთხოვნების სულისკვეთებით.

მუხლი 16. მოსწავლეებისა და სტუდენტების სამართლებრივი აღზრდა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, აგრეთვე საქართველოს სსრ სხვა სამინისტროები და უწყებები, რომელთა დაქვემდებარებაშია სასწავლო დაწესებულებები, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან ერთად უზრუნველყოფენ მოსწავლეებისა და სტუდენტების სამართლებრივ აღზრდას.

მუხლი 17. მოსწავლეებისა და სტუდენტების აღზრდა ბუნებისადმი მზრუნველობითი დამოკიდებულებისა და მის სიმიდრეთა დაცვის სულისკვეთებით

ყველა სასწავლო-აღმზრდელით დაწესებულებაში ტარდება მუშაობა ბუნებისადმი მზრუნველობითი დამოკიდებულების სულისკვეთებით, მოსწავლეებისა და სტუდენტების აღსახლებლად განუმარტავენ მათ საბჭოთა მოქალაქეების მოვლეობებს ბუნების დაცვისა და მის სიმიდრეთა ზრდის საქმეში.

მუხლი 18. მოსწავლეებისა და სტუდენტების ჯანმრთელობის დაცვა

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად ყველა სასწავლო-აღმზრდელით დაწესებულებაში უზრუნველყოფილ უნდა იქნას აუცილებელი პირობები მოსწავლეებისა და სტუდენტების ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

საქართველოს სსრ ყველა სასწავლო-აღმზრდელით დაწესებულებებში სასწავლო-შრომითი დატვირთვისათვის დადგენილი ნორმის, რეჟიმის, სწავლის, შრომისა და დასვენების პირობების დაცვას, აგრეთვე გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გატარებას, დადგენილი წესით კონტროლს უწყვენ სახალხო განათლების შესაბამისი ორგანოები და დაწესებულებები ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან და დაწესებულებებთან, პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად.

პ ა რ ი II სკოლამდელი აღზრდა

მუხლი 19. საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებანი

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების შექმნისა და ოჯახისათვის აუცილებელი დახმარების გაწევის მიზნით იქმნება საბავშვო ბაგები, საბავშვო ბაღები, ზოგადი და სპეციალური დანიშნულების საბავშვო ბაგა-ბაღები და სხვა საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებები.

საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვებს იღებენ მშობლების ან მათი შემცველი პირების სურვილით.

დაუშვებელია საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ვამგებლობაში არსებული საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებებიდან ბავშვების დათხოვნა მშობლების სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

მუხლი 20. სკოლამდელი აღზრდის ამოცანები

საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებები ოჯახთან მჭიდრო თანამშრომლობით ახორციელებენ ბავშვთა ყოველმხრივს ჰარმონიულ განვითარებასა და აღზრდას, იცავენ და აკეთებენ მათს ჯანმრთელობას, უზრუნველყოფენ ელემენტარულ პრაქტიკულ ჩვევებსა და შრომის სიყვარულს, ზრუნავენ მათი ესთეტიკური აღზრდისათვის, ამზადებენ ბავშვებს სკოლაში სწავლისათვის, ზრდიან მათ უფროსებისადმი პატივისცემის, სოციალისტური სამშობლოსა და მშობლიური მხარის სიყვარულის სულისკვეთებით.

მუხლი 21. საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების ორგანიზაცია

საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებებს ხსნიან მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, აგრეთვე მათი ნებართვით სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

მუხლი 22. სპეციალური დანიშნულების საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებანი

ფიზიკური ან გონებრივი განვითარების მხრივ დეფექტის მქონე ბავშვთა მიზანდასახული აღზრდისა და სწავლებისათვის იქმნება სპეციალური დანიშნულების საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებები.

სპეციალური დანიშნულების საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებებში ბავშვებს მიიღებენ მშობლების ან მათი შემცველი პირების თანხმობით, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სახალხო განათლების განყოფილებებთან,

არსებული სამედიცინო-პედაგოგიური კომისიების დასკვნით.

მუხლი 23. საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების პედაგოგიური ხელმძღვანელობა

საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებს, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, პედაგოგიურ ხელმძღვანელობას უწყვეტი და პედაგოგიური მუშაკებით უზრუნველყოფენ სსრკავშირის განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები და მათი ადგილობრივი ორგანოები.

მუხლი 24. საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების სამედიცინო მომსახურება

ბავშვებთან სამკურნალო-პროფილაქტიკურ მუშაობას ეწევიან და საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებს მედიცინის მუშაკებით უზრუნველყოფენ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები.

**პ ა რ ი III
საშუალო განათლება**

მუხლი 25. საყოველთაო საშუალო განათლება

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მოსახლეობის განათლების დონის შემდგომი ამაღლების მიზნით ყველგან ხორციელდება მოზარდი თაობის საყოველთაო საშუალო განათლება, რაც კომუნისტური გზაზე ჩვენი საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური განვითარებისა, მშრომელთა სოციალისტური შეგნებასა და კულტურის ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

საყოველთაო საშუალო განათლება ხორციელდება საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში.

**პ ა რ ი IV
ზოგადი საშუალო განათლება**

მუხლი 26. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა (ზოგადი საშუალო განათლების მიღების ძირითადი ფორმა) წარმოადგენს ერთიან, შრომითს, პოლიტექნიკურ სკოლას ბავშვებისა და ახალგაზრდების სწავლებისა და აღზრდისათვის.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ერთიობას უზრუნველყოფს საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციის პრინციპების ერთობა, ზოგადი განათლების ძირითადად ერთგვარი შინაარსი და დონე საქართველოს სსრ მოსახ-

ლეობის ეროვნულ თავისებურებათა ყოველმხრივ გათვალისწინებასთან ერთად.

მოსწავლეთა პოლიტექნიკური სწავლება, შრომითი აღზრდა და პროფესიული ორიენტაცია ხორციელდება მეცნიერების საფუძვლების შესწავლის, შრომითი სწავლების, სხვადასხვაგვარი კლასგარეშე საქმიანობის ორგანიზაციის, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის პროცესში, მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად.

მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტერესებისა და უნარის განვითარებისა და მათი პროფესიული ორიენტაციის მიზნით საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, მოსწავლეთა არჩევანის მიხედვით, ეწყობა ფაკულტატიური მეცადინეობები. ამვე მიზნით შეიძლება შეიქმნას სკოლები და კლასები. ცალკეული საგნების, შრომის სხვადასხვა სახეობის, ხელოვნებისა და სპორტის უფრო ღრმა თეორიული და პრაქტიკული შესწავლისათვის. სათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში შეიძლება მოეწყოს საწარმოო სწავლება. ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის სავალდებულო მოცულობა ყველა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ერთიანი უნდა იყოს.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა სწავლება და აღზრდა ხორციელდება სასწავლო მუშობის, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მეცადინეობისა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის პროცესში. სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის ძირითადი ფორმაა გაკვეთილი.

მუხლი 27. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდება

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდების საფუძველზე.

მუხლი 28. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მთავარი ამოცანები

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მთავარი ამოცანებია:

განახორციელოს ბავშვებისა და ახალგაზრდების ზოგადი საშუალო განათლება, რომელიც შეესაბამება საზოგადოებრივ და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესის თანამედროვე მოთხოვნებს, შეაიარაღოს მოსწავლენი მეცნიერული საფუძვლების ღრმა და მტკიცე ცოდნით, გამოუ-



მუშავოს მათ ცოდნის გამღებებით სრულყოფილად სწრაფვა, მისი დამოუკიდებლად შეგებისა და პრაქტიკულად გამოყენების უნარი;

ჩამოუყალიბოს ახალგაზრდა თაობას მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, აღზარდოს იგი სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, საბჭოთა პარტიოტიზმის და სოციალისტური სამშობლოს დასაცავად მზადყოფნის სულისკვეთებით;

ჩაუნერგოს მოსწავლეებს მაღალი ზნეობრივი თვისებები, აღზარდოს ისინი კომუნისმის მშენებლის მორალური კოდექსის მოთხოვნათა სულისკვეთებით;

უზრუნველყოს მოსწავლეების და მათი კულტურის ყოველმხრივი პარმონიული განვითარება; განამტკიცოს მათი ჯანმრთელობა, აღზარდოს ისინი ესთეტიკურად და ფიზიკურად;

მოამზადოს მოსწავლენი აქტიური შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, პროფესიის შეგნებული არჩევისათვის.

მუხლი 29. სწავლების ენა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ ისწავლონ დედენაზე ან სსრ კავშირის სხვა ხალხის ენაზე. მშობლებს ან მათს შემცველ პირებს უფლება აქვთ ბავშვებს სურვილისამებრ შეუჩინონ სკოლა, სადაც სწავლება შესაბამის ენაზეა. იმ ენის გარდა, რომელზეც ასწავლიან, მოსწავლეებს სურვილისამებრ შეუძლიათ შეისწავლონ სსრ კავშირის სხვა ხალხის ენა.

მუხლი 30. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მოსწავლეთათვის

სკოლის ტერიტორიულ ხელმისაწვდომობას მოსწავლეთათვის უზრუნველყოფს ოპტიმალური სასკოლო დარაიონება, სოფლად მოსწავლეთა უფასო მგზავრობა სკოლაში და სკოლიდან, სკოლებთან არსებული კეთილმოწყობილი ინტერნატები.

ადგილობრივი პირობების შესაბამისად ცალკე იქმნება დაწყებითი სკოლები I-III (IV) კლასების შემადგენლობით, რვაწლიანი სკოლები I-VIII კლასების შემადგენლობით და საშუალო სკოლები I-X (XI) კლასების შემადგენლობით. ამასთან შენარჩუნებულია ზოგადი საშუალო განათლების ყველა საფეხურის ერთიანობა და შემდგომადობა.

მუხლი 31. სკოლებთან არსებული ინტერნატები

ინტერნატები სკოლებთან ეწყობა მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით.

მუხლი 32. სოფელში მცხოვრებ მოსწავლე-

თა სკოლაში მიყვანისა და სკოლიდან წაყვანის უზრუნველყოფა

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი სამკომისიო აღმასრულებელი კომიტეტები რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით უზრუნველყოფენ სოფელში მცხოვრებ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა რეგულარულ უფასო მიყვანას სკოლაში და წაყვანას შინ, რისთვისაც იყენებენ სამარშრუტო ავტობუსებს, საგარეუბნო და ადგილობრივ მატარებლებს, ავრთვე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სატყეო მეურნეობებისა და სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციების სატრანსპორტო საშუალებებს, სპეციალურად მოწყობილს ბავშვების გადაყვანა-გადმოყვანისათვის.

მუხლი 33. საყოველთაო სწავლების ფონდი

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში იქმნება საყოველთაო სწავლების ფონდი საპირობისამებრ მოსწავლეთათვის მატერიალური დახმარების გასაწევად, მათ გასაჯანსაღებლად, კულტურულ ღონისძიებათა ჩასატარებლად და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ხარჯების გასაწევად.

დებულებას საყოველთაო სწავლების ფონდის შესანებ ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მუხლი 34. მოსამზადებელი კლასები

სკოლისათვის იმ ბავშვთა მომზადების მიზნით, რომლებიც არ ისწავლიან დედენაზე, აგრეთვე იმ ბავშვთა მოსამზადებლად, რომლებიც არ იზრდებიან საბავშვო სკოლაში და დაწყებულ შემთხვევებში, სკოლებში, როცა საჭიროა, იქმნება მოსამზადებელი კლასები.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად მოსამზადებელი კლასები იქმნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 35. გაზანჯარძილებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და ჭაფუფები, სკოლა-ინტერნატები

იმ მიზნით, რომ გაფართოვდეს საზოგადოებრივი აღზრდა, შეიქმნეს უფრო ხელშემწყობი პირობები მოსწავლეთა ყოველმხრივი განვითარებისათვის და ოჯახს გაეწიოს დახმარება მათ აღზრდაში, სასწავლო-მატერიალური ბაზის არსებობის შემთხვევაში იქმნება გაზანჯარძილებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები ან ჭაფუფები.

ამავე მიზნით იმ ბავშვებისა და მოზარდებისათვის, რომლებსაც არა აქვთ ოჯახში აღზრდისათვის საჭირო პირობები, იქმნება სკოლა-ინტერნატები.

მუხლი 36. საბავშვო სახლები

მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისა და მოზარდებისათვის იქმნება საბავშვო სახლები, რომლებშიც უზრუნველყოფილია ბავშვებისა და მოზარდების რჩენა, მათი სწავლება და აღზრდა.

მუხლი 37. სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში მიღება

სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში ბავშვებსა და მოზარდებს ღებულობენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 38. სპეციალური ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და სკოლა-ინტერნატები

იმ ბავშვებისა და მოზარდებისათვის, რომელთაც ესაჭიროებათ ხანგრძლივი მკურნალობა, იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო, გამაჯანსაღებელი სატყეო სკოლა-სანატორიუმები, გარდა ამისა, მათთან ეწყობა მეცადინეობა საავადმყოფოებში, სანატორიუმებსა და ბინებზე.

იმ ბავშვებისა და მოზარდებისათვის, რომლებსაც აქვთ ფიზიკური ნაკლი ან ნაკლი გონებრივი განვითარების მხრივ, რაც ხელს უშლის მათ ისწავლონ ჩვეულებრივ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში და, გარდა ამისა, ესაჭიროებათ აღზრდის განსაკუთრებული პირობები, იქმნება სპეციალური ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და სკოლა-ინტერნატები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათს სწავლებას, აღზრდას, მკურნალობასა და მომზადებას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის.

მუხლი 39. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები მომუშავე ახალგაზრდობისათვის

იმ პირთათვის, რომლებიც მუშაობენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში და რომელთაც არა აქვთ საშუალო განათლება, იქმნება საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლები.

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები მოვალენი არიან ხელი შეუწყონ მომუშავე ახალგაზრდობის ჩაბმას საღამოს სკოლებში, შექმნან საჭირო პირობები მათი მუშაობისა და სწავლის შეთავსებისათვის და ამ სკოლების ნორმალური საქმიანობისა და მოსწავლეთა მეცადინეობისათვის.

მუხლი 40. სპეციალური საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები სახალხო მეურნეობაში მომუშავე პირთათვის

იმ პირთათვის, რომლებიც მუშაობენ სახალხო მეურნეობაში და აქვთ ნაკლოვანებები მხედველობის, სმენისა ან მეტყველების მხრივ, ეწყობა სპეციალური საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლები

ან სპეციალური კლასები მომუშავე ახალგაზრდობისათვის განკუთვნილ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

მუხლი 41. რვაწლიანი განათლების მოწმობა

იმ პირთ, რომლებმაც რვა კლასი დაამთავრეს, ეძლევათ რვაწლიანი განათლების მოწმობა, რომელიც უფლებას ანიჭებს მათ შევიდნენ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მეცხრე კლასში, პროფესიულ-ტექნიკურ და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში.

მუხლი 42. საშუალო განათლების ატესტატი

იმ პირთ, რომლებმაც დაამთავრეს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, ეძლევათ საშუალო განათლების ატესტატი.

იმ პირთ, რომლებმაც დაამთავრეს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საწარმოო სწავლების სკოლა, ეძლევათ საშუალო განათლების ატესტატი და მიღებული სპეციალობის მოწმობა, რომელშიც აღნიშნულია საეკონომიკური კომისიის მიერ მინიჭებული თანრიგი.

მუხლი 43. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთა დაჯილდოება ოქროს მედლითა და ქების სიგელით

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, აჯილდოებენ ოქროს მედლით „სწავლასა და შრომაში ფრიალი წარმატებისა და სანიმუშო ყოფაქცევისათვის“, ხოლო იმათ, ვინც განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია ცალკეულ საგნებში, აჯილდოებენ ქების სიგელით „ცალკეული საგნების შესწავლაში განსაკუთრებული წარმატებისათვის“.

მუხლი 44. ქების ფურცლით დაჯილდოება

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებს, რომლებსაც ყველა საგანში აქვთ ფრიალი წლიური შეფასება და თავი გამოიჩინეს სანიმუშო ყოფაქცევით და სკოლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობით, აჯილდოებენ ქების ფურცლით.

პ ა რ ი V

სკოლისგარეშე აღზრდა

მუხლი 45. სკოლისგარეშე დაწესებულებებში

იმ მიზნით, რომ ყოველმხრივ განავითარონ მოსწავლეთა ნიჭი და მიდრეკილებანი, მათი საზოგადოებრივი აქტივობა, ინტერესი შრომისადმი, მეცნიერებისადმი, ტექნიკისადმი, ხელოვნებისადმი, სპორტისა და სამხედრო საქმისადმი, აგრეთვე მოსწავლეთა კულტურული დასვენებისა და ჯანმრთელობის განმტკიცების მიზნით სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, კოოპერატივები, პროფკავშირული, კომკავშირული და



სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები ქმნიან პიონერთა სასახლებსა და სახლებს, ნორჩ ტექნიკოსთა, ნორჩ ნატურალისტთა, ნორჩ ტურისტთა სადგურებს, საბავშვო ბიბლიოთეკებს, სპორტულ, სამხატვრო, მუსიკალურ სკოლებს, პიონერთა ბანაკებსა და სხვა სკოლისგარეშე დაწესებულებებს.

მუხლი 46. აღმზრდელითი მუშაობა ბავშვებთან მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით

სახლმმართველობები, საბინაო-საექსპლუატაციო კანტორები და ქუჩის კომიტეტები საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით, ბავშვებთან აღმზრდელითი მუშაობის ჩასატარებლად მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, დადგენილი წესით, აწყობენ სამუშაო ოთახებს, კლუბებს, სპორტულ და სათამაშო მოედნებს, იქნენ საკლუბო, სპორტულ და ტურისტულ ინვენტარს.

პ ა რ ი VI

პროფესიულ-ტექნიკური განათლება

მუხლი 47. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები წარმოადგენენ ახალგაზრდობის პროფესიულ-ტექნიკური განათლებისა და მუშათა კლასის ღირსეული შეცვების ძირითად სკოლას.

პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლო-აღმზრდელითი დაწესებულებებში (პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სკოლებში) მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქეები, რომელთაც დაამთავრეს რვაწლიანი ან საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა.

პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მიღება წარმოებს იმ წესების შესაბამისად, რომლებსაც ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი.

მუხლი 48. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დებულებანი

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ იმ დებულებების საფუძველზე, რომლებსაც ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

მუხლი 49. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მთავარი ამოცანები

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მთავარი ამოცანებია: მოამზადოს სახალხო მეურნეობისათვის ყოველმხრივ განვითარებული, ტექნიკურად განათ-

ლებული და კულტურული ახალგაზრდა კვალიფიცირებული მუშები, რომლებიც ფლობენ თანამედროვე წარმოების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებისა და მათი განვითარების პერსპექტივების შესაბამის პროფესიულ-ისტატობას;

განახორციელოს საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ახალგაზრდების პროფესიული და ზოგადი საშუალო განათლება;

ჩამოუყალიბოს მოსწავლეებს მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, ჩაუნერგოს მათ მაღალი მორალური თვისებები, სოციალისტური ინტერნაციონალიზმი, საბჭოთა პატრიოტიზმი, შრომისა და საზოგადოებრივი საქუთობისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, აღზარდოს ისინი მუშათა კლასის რევოლუციური და შრომითი ტრადიციების დაცვისა და შემდგომი ზრდისათვის მზადყოფნის სულისკვეთებით;

აღზარდოს მოსწავლეები ესთეტიკურად და ფიზიკურად, განამტკიცოს მათი ჯანმრთელობა, მოამზადოს ისინი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

მუხლი 50. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკა

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკა არის სასწავლო-აღმზრდელითი პროცესის შემადგენელი ნაწილი. პრაქტიკის შედეგად მოსწავლეები იძენენ მუშაობის ჩვევებსა და კვალიფიკაციას მუშეთი პროფესიის მიხედვით.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ქმნიან საჭირო პირობებს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკისათვის, უზრუნველყოფენ მათთვის ახალი ტექნიკისა და წარმოების ტექნოლოგიის, შრომის მოწინავე მეთოდების გაცნობას.

მუხლი 51. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა ურთიერთობა საბაზო საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები სპეციალდებიან სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით მუშათა კადრების მომზადებაში და მუშაობენ შესაბამისი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ბაზაზე.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ურთიერთობა საბაზო საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან, ავრთვეთ სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოვალეობანი სასწავლო-მეტეორული ბაზის შექმნისა და შემდგომი განმტკი-

ცების მხრივ და ამ სასწავლებელთა წარმატებით მუშაობისათვის აუცილებელი პირობების უზრუნველსაყოფად — განისაზღვრება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 52. მუშათა მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება უშუალოდ წარმოებაში

ახალგაზრდობისათვის, რომელიც წარმოებაში მიდის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დამთავრების შემდეგ, და სახალხო მეურნეობაში მომუშავე პირებისათვის, რომლებსაც სურთ დაეუფლონ ახალ პროფესიას ან აიმაღლონ კვალიფიკაცია, ეწყობა საღამოს (ცვლიანი) პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, აგრეთვე კურსები, სასწავლო-საკურსო კომბინატები და უშუალოდ წარმოებაში მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სხვა ფორმები.

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ქმნიან საჭირო პირობებს და სასწავლო-საწარმოო ბაზას მუშათა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების დროს თეორიული და პრაქტიკული სწავლების ჩასატარებლად უშუალოდ წარმოებაში.

მუხლი 53. კვალიფიკაციის მინიჭება, ატესტატისა და დიპლომის გაცემა

იმ პირობებში, რომლებშიც პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები დაამთავრეს, ენიჭებათ შესაბამისი კვალიფიკაცია პროფესიაში (თანრიგი, კლასი, კატეგორია) და ეძლევათ დადგენილი ნიმუშის ატესტატი, იმათ კი, ვინც სწავლაში განსაკუთრებულ წარმატებებს მიიღწია და გამოიჩინა სანიმუშო ყოფაქცევა, ეძლევათ წარჩინების ატესტატი.

იმ პირობებში, რომლებშიც საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები დაამთავრეს, ეძლევათ დიპლომი პროფესიაში კვალიფიკაციის მინიჭებისა და საშუალო განათლების მიღების შესახებ, იმათ კი, ვინც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი, — წარჩინების დიპლომი.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლებზე შესაბამისად პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული საწარმოო თანრიგები, კლასები, კატეგორიები სავალდებულოა სსრ კავშირის ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის.

იმ პირობებში, რომლებშიც გაიარეს სწავლების კურსი ახალ პროფესიაში ან კვალიფიკაცია აიმაღლეს უშუალოდ წარმოებაში და წარმატებით ჩააბარეს საკვალიფიკაციო გამოცდა, ეძლევათ ერთიანი ფორმის მოწმობა მიღებული სპეციალობისა და მინიჭებული თანრიგის, კლასის, კატეგორიის შესახებ.

მუხლი 54. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა კლასგარეშე აღზრდა

იმ მიზნით, რომ ყოველმხრივ განავითარონ მოსწავლეთა ნიჭი და მიღრეკილებანი, მათი საზოგადოებრივი აქტიუობა, ინტერესი არჩეული პროფესიისადმი, მეცნიერებისადმი, ტექნიკისადმი, ხელოვნებისადმი, სპორტისა და სამხედრო საქმისადმი, აგრეთვე მათი კულტურული დასვენებისა და ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის გამოიყენება კულტურის სასახლეები და სახლები, ტექნიკის სახლები, დადგენილი წესით იქმნება ანსამბლები, ტურისტული ბანაკები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკები და სხვა დაწესებულებები პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლების მოსწავლეებთან კლასგარეშე მუშაობისათვის.

პ ა რ ი VII

საშუალო სპეციალური განათლება

მუხლი 55. საშუალო სპეციალური სასწავლებლები

საშუალო სპეციალურ განათლებას რეგებენ ტექნიკუმებში, სასწავლებლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში, რომლებიც დადგენილი წესით საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს განეკუთვნებიან.

საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში შეიძლება მოეწყოს დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლება.

საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში წარმოებისაგან მოუწყვეტელი სწავლება სპეციალობის მიღებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ფორმად იმ პირობებისთვის, რომლებიც სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მუშაობენ.

მუხლი 56. საშუალო სპეციალური სასწავლებლების დებულება. საშუალო სპეციალური სასწავლებლის წესდებები

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლებზე შესაბამისად საქართველოს სსრ საშუალო სპეციალური სასწავლებლები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სსრ კავშირის საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა დებულების და იმ წესდებათა საფუძველზე, რომლებსაც აღნიშნული დებულების შესაბამისად შეიმუშავენ თითოეული საშუალო სპეციალური სასწავლებელი და ამტკიცებს სამინისტრო ან უწყება, რომელსაც ექვემდებარება საშუალო სპეციალური სასწავლებელი.

მუხლი 57. საშუალო სპეციალური სასწავლებლის მთავარი ამოცანები



საშუალო სპეციალური სასწავლებლის მთავარი ამოცანებია:

მოამზადოს საშუალო სპეციალური და ზოგადი საშუალო განათლების კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ საჭირო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული ჩვევები სპეციალობაში, აღზრდილი იქნებიან მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით, ექნებათ მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის ჩვევები;

განუწყვეტლივ სრულყოს სპეციალისტთა მომზადების ხარისხი თანამედროვე წარმოების, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის მოთხოვნებსა და მათი განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით;

ჩაუნგრავს მოსწავლეებს მაღალი მორალური თვისებები, შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, კულტურა, სოციალისტური ინტერნაციონალიზმი, საბჭოთა პატრიოტიზმი, აღზარდოს ისინი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად მზადყოფნის სულისკვეთებით; უზრუნველყოს მოსწავლეთა ფიზიკური მომზადება.

მუხლი 58. საშუალო სპეციალურ სასწავლებელში შესვლის უფლება

საქართველოს სს რესპუბლიკაში საშუალო სპეციალურ სასწავლებელში შესვლის უფლებით სარგებლობენ სსრ კავშირის მოქალაქეები, რომლებსაც აქვთ რვაწლიანი ან საშუალო განათლება. საშუალო სპეციალურ სასწავლებელში მიღება წარმოებს იმ წესების შესაბამისად, რომლებსაც ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო.

მუხლი 59. საშუალო სპეციალური სასწავლებლის მოსწავლეთა პრაქტიკა

საშუალო სპეციალური სასწავლებლის მოსწავლეთა პრაქტიკა იმ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომლის შედეგად მოსწავლეები იღებენ სპეციალისტებად მუშაობის ჩვევებს, ტექნიკურ და სასოფლო-სამეურნეო სპეციალობებში კი, გარდა ამისა, კვალიფიკაციის ერთ-ერთ მუშურ პროფესიაში.

მოსწავლეთა პრაქტიკა ეწყობა საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა პრაქტიკის დებულების შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო.

მუხლი 60. კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა

საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულთ ენიჭებათ კვალიფიკაცია მიღებული სპეციალობის შესაბამისად, ეძლევათ დიპლომი და დადგენილი ნიმუშის სამკერდე

ნიშანი.

იმ პირთ, რომლებმაც საშუალო სპეციალური სასწავლებლები დაამთავრეს, დიდ წარმატებებს მიაღწიეს სწავლაში და თავი გამოიჩინეს საზოგადოებრივ მუშაობაში, ეძლევათ წარჩინებას დიპლომი.

პ ა რ ი VIII

უმაღლესი განათლება

მუხლი 61. უმაღლესი სასწავლებლები

უმაღლესი განათლებას იღებენ უნივერსიტეტებში, ინსტიტუტებში, აკადემიებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში, რომლებიც დადგენილი წესით მიეკუთვნებიან უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვს.

უმაღლესი სასწავლებლებში შეიძლება მოეწყოს დაღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლება.

უმაღლესი სასწავლებლებში წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლება სპეციალობის მიღებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ფორმაა იმ პირთათვის, რომლებიც სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მუშაობენ.

მუხლი 62. უმაღლესი სასწავლებლის დებულება. უმაღლესი სასწავლებლის წესდებები

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძველებს უნდა ამისად

უმაღლესი სასწავლებლები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლის დებულების საფუძველზე და იმ წესდებითა საფუძველზე, რომლებსაც აღნიშნული დებულების შესაბამისად შემუშავებს თითოეული უმაღლესი სასწავლებელი და ამტკიცებს სამინისტრო ან უწყება, რომელსაც ექვემდებარება უმაღლესი სასწავლებელი.

მუხლი 63. უმაღლესი სასწავლებლის მთავარი ამოცანები

უმაღლესი სასწავლებლების მთავარი ამოცანებია:

მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც დაუფლებული იქნებიან მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, ღრმა ცოდნასა და პრაქტიკულ ჩვევებს სპეციალობასა და მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციაში;

ჩაუნგრავს სტუდენტებს მაღალი მორალური თვისებები, კომუნისტური შეგნება, კულტურა, სოციალისტური ინტერნაციონალიზმი, საბჭოთა პატრიოტიზმი, აღზარდოს ისინი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად მზადყოფნის სულისკვეთებით; უზრუნველყოს სტუდენტთა ფიზიკური მომზადება;



განუწყვეტლივ სრულყოფის სპეციალისტთა მომზადების ხარისხი თანამედროვე წარმოების, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მოთხოვნებისა და მათი განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით;

შეასრულოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რომლებიც ხელს უწყობენ სპეციალისტთა მომზადების ხარისხის ამაღლებას, საზოგადოებრივ და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს;

შექმნას ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები;

მოამზადოს სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები;

აუმადლოს კვალიფიკაცია უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა შემადგენლობას, აგრეთვე სახალხო მეურნეობის შესაბამის დარგებში დასაქმებულ უმაღლესი განათლების სპეციალისტებს.

მუხლი 64. უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლება

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლებით სარგებლობენ სსრ კავშირის მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ საშუალო განათლება. უმაღლეს სასწავლებელში მიღება წარმოებს იმ წესების შესაბამისად, რომლებსაც ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო.

მუხლი 65. უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა პრაქტიკა და კურსდამთავრებულთა სტაჟირება

უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა პრაქტიკა სასწავლო-აღმზრდელი პროცესის შემადგენელი ნაწილია. უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა პრაქტიკა ეწყობა პრაქტიკის შესახებ დებულების შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო.

უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულნი პრაქტიკული ჩვენების სრულყოფისათვის სპეციალობაში სტაჟირებას გადიან შესაბამის საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით და უმაღლესი სასწავლებლის კონტროლით.

მუხლი 66. კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა

უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულებს ენიჭებათ კვალიფიკაცია მიღებული სპეციალობის შესაბამისად, ეძლევათ დიპლომი და დადგენილი ნიმუშის სამკერდე ნიშანი.

უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულებს, რომლებმაც დიდ წარმატებას მიაღწიეს სასწავლაში და თავი გამოიჩინეს სამეცნიერო და საზოგადოებრივ მუშაობაში ეძლევათ წარჩინების დიპლომი.

მუხლი 67. სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სახალხო მეურნეობის სპეციალისტები კვალიფიკაციის ამაღლებენ კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებელთა ფაკულტეტებსა და განყოფილებებში, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე და მოწინავე საწარმოებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

პ ა რ ი IX

მოსწავლეთა და სტუდენტთა უფლება-მოვალეობანი

მუხლი 68. მოსწავლეთა და სტუდენტთა უფლებანი

მოსწავლეებსა და სტუდენტებს უფლება აქვთ უფასოდ ისარგებლონ ლაბორატორიებით, კაბინეტებით, აუდიტორიებით, სამკითხველო დარბაზებით, ბიბლიოთეკებითა და სხვა სასწავლო და სასწავლო-დამხმარე დაწესებულებებით, აგრეთვე სპორტული ბაზებით, ნაგებობებით, სპორტული ინვენტარით და სასწავლებლების სხვა მოწყობილობით.

მოსწავლეებსა და სტუდენტებს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფენ სტიპენდიებით, დახმარებით, საერთო საცხოვრებლებით, ინტერნატებით, სამედიცინო დახმარებით სასწავლებლებში, მათ აქვთ ტრანსპორტით შეღავათიანი ან უფასო მგზავრობის და სხვა სახეობის მატერიალური დახმარების უფლება.

მოსწავლეებსა და სტუდენტებს, რომლებიც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობენ, კანონმდებლობის შესაბამისად აქვთ საშუალო ადგილზე დამატებითი მუშაულების, შემცირებული სამუშაო კვირისა და სხვა შეღავათების უფლება.

იმ პირთ, რომლებმაც პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლები დაამთავრეს, უზრუნველყოფენ საშუალოთი მიღებული სპეციალობისა და კვალიფიკაციის შესაბამისად.

მოსწავლეებსა და სტუდენტებს უფლება აქვთ თავიანთი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობით მონაწილეობა მიიღონ სასწავლო პროცესის, იდეურ-აღმზრდელი მუშაობის სრულყოფის საკითხების, აგრეთვე აკადემიური წარმატების, შრომისა და სასწავლო დისციპლინის საკითხებს, მოსწავლეთა და სტუდენტთა სწავლასა და ყოფაცხოვრებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების განხილვაში.



მუხლი 69. მოსწავლეთა და სტუდენტთა მოვალეობანი

მოსწავლეები და სტუდენტები მოვალენი არიან სისტემატურად და ღრმად ეუფლებოდნენ ცოდნასა და პრაქტიკულ ჩვევებს, ესწრებოდნენ სასწავლო მეცადინეობას, დადგენილ ვადებში ასრულებდნენ სასწავლო გეგმითა და პროგრამებით გათვალისწინებულ დავალებებს, იმალებდნენ იდეურ და კუთხურულ დონეს, მონაწილეობდნენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, თვითმომსახურებაში, იცავდნენ სასწავლო-აღმზრდელი მეთოდი დაწესებულებების შინაგანაწესს;

მოსწავლეები და სტუდენტები უნდა იყვნენ დისციპლინირებულნი და ორგანიზებულნი, იცავდნენ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, უფრთხილდებოდნენ და განამტკიცებდნენ სოციალისტურ საკუთრებას, იყვნენ შეუპოვებელნი ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებისადმი, მონაწილეობდნენ კოლექტივის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პ ა რ ი X

პედაგოგიური კადრების მომზადება. პედაგოგიური საქმიანობა. სახალხო განათლების მუშაკთა პროფესიული უფლება-მოვალეობანი

მუხლი 70. სასწავლო-აღმზრდელი მეთოდი და დაწესებულებებისათვის პედაგოგიური კადრების მომზადება

სასწავლო-აღმზრდელი მეთოდი დაწესებულებებისათვის პედაგოგიურ კადრებს ამზადებენ უნივერსიტეტებში, ინსტიტუტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, ხოლო ცალკეულ სპეციალებში — საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში.

მუხლი 71. სამეცნიერო-პედაგოგიური და სამეცნიერო კადრების მომზადება

სამეცნიერო-პედაგოგიური და სამეცნიერო კადრების მომზადების ძირითადი ფორმაა ასპირანტურა, რომელიც ეწყობა უმაღლეს სასწავლებლებთან და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან.

ასპირანტურაში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქეები, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად ასპირანტურის დებულება მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 72. პედაგოგიური საქმიანობა

საბავშვო სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკო-

ლებში, პროფესიულ-ტექნიკურ, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში მასწავლებლებად, აღმზრდელად, პედაგოგად, საწარმოო სწავლების ოსტატებად და სხვა პედაგოგიურ მუშაკებად დაიშვებიან პირნი, რომლებსაც აქვთ შესაბამისი განათლება და პროფესიული მომზადება.

პედაგოგიური ოსტატობის ამიღების, მასწავლებელთა კადრების შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების მიზნით სისტემატურად ტარდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების პედაგოგთა და საწარმოო სწავლების ოსტატთა, აგრეთვე საშუალო სპეციალურ სასწავლო დაწესებულებათა მასწავლებლებისა და ხელმძღვანელი მუშაკების ატესტაცია.

უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის ვაკანტურ თანამდებობებს იკავებენ დადგენილი წესის შესაბამისად ჩატარებული კონკურსით და განსაზღვრული ვადით, რომლის გასვლის შემდეგ ეწყობა ამ პირთა ხელახალი არჩევნები.

თუ აღმოჩნდა, რომ ის პირნი, რომლებიც პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწყვიან, არ შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას არასაკმარისი კვალიფიკაციის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რაც ხელს უშლის პედაგოგიურ და აღმზრდელი მეთოდების შესრულებას, აგრეთვე თუ ისინი ჩაიდნენ ამორალურ საქციელს, რაც შეუთავსებელია პედაგოგიური საქმიანობის გაგრძელებასთან, ასეთი პირები თავისუფლებიან პედაგოგიური სამუშაოდან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 73. პედაგოგიურ მუშაკთა პროფესიული უფლება-მოვალეობანი

საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლისგარეშე დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგიურ მუშაკთა პროფესიული უფლება-მოვალეობები განისაზღვრება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლებითა და მის შესაბამისად მიღებული სსრ კავშირის სახალხო განათლების კანონმდებლობის სხვა აქტებით, ამ კანონით, საქართველოს სსრ სახალხო განათლების კანონმდებლობის სხვა აქტებით და შესაბამისი სასწავლო-აღმზრდელი მეთოდი დაწესებულებების დებულებებიდან და წესდებებით.

მასწავლებელთა და სხვა პედაგოგიურ მუშაკთა პროფესიული უფლებებს, პატივსა და ღირსებას იცავს კანონი.

მუხლი 74. პედაგოგიურ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება

პედაგოგიური მუშაკები კვალიფიკაციის იმაღლებენ უმაღლეს სასწავლებლებში, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებში, კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტებში, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, მოწინავე საწარმოებში, აგრეთვე კვალიფიკაციის ასაღლებელ კურსებზე.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და სხვა სასწავლებლების ხელმძღვანელ მუშაკებს ამზადებენ უმაღლესი განათლებისა და პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების მქონე პირთაგან.

პედაგოგიურ მუშაკთა პროფესიული ცოდნის სრულყოფის ღონისძიებებს ახორციელებენ შესაბამისი სახალხო განათლების ორგანოები.

მუხლი 75. პროფესიულ მოვალეობათა შესასრულებლად საჭირო პირობების უზრუნველყოფა პედაგოგიური და სახალხო განათლების სხვა მუშაკებისათვის

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სახალხო განათლების ორგანოები და დაწესებულებები, სამინისტროები და უწყებანი უზრუნველყოფენ, რომ პედაგოგიურ და სახალხო განათლების სხვა მუშაკებს ჰქონდეთ წარმატებით მუშაობისა და კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლებისათვის საჭირო პირობები, ეძლეოდეთ კანონით დადგენილი შეღავათები და უპირატესობანი, ისინი აგრეთვე განუწყვეტლავ უზრუნველ პედაგოგიურ მუშაკთა ავტორიტეტის დაცვისათვის, მათი შრომისა და სამუშაო დროის სწორად გამოყენებისათვის, რათა არ დაუშვან მათი მოცდენა უშუალო მოვალეობათა შესრულებისაგან.

მუხლი 76. შეღავათები და უპირატესობანი

კანონმდებლობის შესაბამისად სახალხო განათლების მუშაკები სარგებლობენ გახანგრძლივებული შევებულებით, რომელსაც სახელმწიფო ანაზღაურებს, სოვლად მათ უფასოდ ეძლევათ საცხოვრებელი ფართობი გათბობითა და განათებით, ისინი სარგებლობენ აგრეთვე უპირატესობებით პენსიით უზრუნველყოფის დროს და სხვა შეღავათებითა და უპირატესობებით.

მუხლი 77. სახალხო განათლების მუშაკთა წახალისება განსაკუთრებული დამსახურებისათვის

მოზარდთა თათობის სწავლებასა და აღზრდაში, სპეციალისტთა მომზადებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის სახალხო განათლების მუშაკებს დადგენილი წესით წარადგენენ:

სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად;

სახელობითი მედლებით, წარჩინების მედლებითა და ნიშნებით დასაჯილდოებლად, რომლებიც დაწესებულია სახალხო განათლების მუშაკებისათვის სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ რესპუბლიკის კანონმდებლობით;

სსრ კავშირის საპატიო წოდებათა და საქართველოს სსრ რესპუბლიკის საპატიო წოდებათა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ საპატიო წოდებათა მისანიჭებლად.

პ ა რ ი X I

მშობლებისა და მათი შემცველი პირების უფლება-მოვალეობანი ბავშვების აღზრდისა და სწავლების საქმეში

მუხლი 78. მშობლებისა და მათი შემცველი პირების უფლებაანი

მშობლებსა და მათ შემცველ პირებს უფლება აქვთ:

მიიბარონ ბავშვები აღსაზრდელად და სასწავლებლად საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აგრეთვე პროფესიულ-ტექნიკურ ან საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში;

მონაწილეობა მიიღონ ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის საკითხების განხილვაში, კლასგარეშე, სკოლისგარეშე და გამაჯანსაღებელ მუშაობაში იმ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში, სადაც მათი ბავშვები სწავლობენ და იზრდებიან;

აირჩიონ და არჩეულ იქნენ სკოლებისა და სხვა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების მშობელთა საზოგადოებრივი კომიტეტებში (საბჭოებში).

მუხლი 79. მშობლებისა და მათი შემცველი პირების მოვალეობანი

მშობლები და მათი შემცველი პირები მოვალენი არიან:

აღზარდონ ბავშვები მაღალი კომუნისტური ზნეობის, სოციალისტური საქუთობისადმი მზრუნველობითი დამოკიდებულების სულისკვეთებით, ჩაუწერდნენ მათ შრომითი ჩვევები და მოამზადონ ისინი საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობისათვის, იზრუნონ ბავშვთა ფიზიკური განვითარებისა და ჭანმრთელობის გააყვებისათვის;

მიიბარონ ბავშვები სკოლაში სასკოლო ასაკის მიღწევისთანავე, უზრუნველყონ, რომ მოსწავლეები დადიოდნენ სასწავლებლებში, უმიზეზოდ არ აცდენდნენ მეცადინეობას;

უქმნან საჭირო პირობები, რომ ბავშვებმა დროულად მიიღონ საშუალო განათლება და პროფესიული მომზადება



ოჯახში აღზრდა ორგანულად უნდა იყოს შესაბამისი სასწავლებლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების აღმზრდელობით მუშაობასთან.

მუხლი 80. პედაგოგიური ცოდნის გაცრცელება მოსახლეობაში

სახალხო განათლების ორგანოები და დაწესებულებები მეცნიერებისა და კულტურის ორგანოებთან და დაწესებულებებთან, საქართველოს სსრ პედაგოგიურ საზოგადოებასთან და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად უზრუნველყოფენ პედაგოგიური ცოდნის გაცრცელებას მოსახლეობაში, პედაგოგიურ დახმარებას უწყევენ მშობლებსა და მათ შემცველ პირებს ბავშვებისა და მოზარდების აღზრდაში.

პ ა რ ი X I I

სახალხო განათლების დაწესებულებათა სასწავლო-მატერიალური ბაზა

მუხლი 81. სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების გახსნის პირობები

სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებანი შეიძლება გაიხსნას მხოლოდ მაშინ, თუ მოიპოვება შესაბამისი შენობები, სასწავლო მოწყობილობა და პედაგოგთა კადრები.

მუხლი 82. სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების შენობა გამოყენება

სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების შენობებს იყენებენ მხოლოდ პირდაპირი დანიშნულებით.

მუხლი 83. სახალხო განათლების დაწესებულებათა სასწავლო-მატერიალური ბაზის განვითარება

სახალხო განათლების დაწესებულებათა სასწავლო-მატერიალური ბაზა ვითარდება სახელმწიფო ბიუჯეტის, აგრეთვე კაპიტალურ დაბანდებათა სახსრებით, რაც სახალხო-სამეურნეო გეგმით არის გათვალისწინებული. ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნას აგრეთვე საწარმოთა, კოლმეურნეობათა, კოოპერაციულ და სხვა ორგანიზაციათა სახსრები მათი თანხმობით.

სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების შენობები უნდა აიგოს დადგენილი წესით დამტკიცებული პროექტებით.

მუხლი 84. საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მონაწილეობა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებაში

სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, კოოპერაციული, პროფკავშირული, კომკავშირული და

სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები დადგენილი წესით მონაწილეობენ სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებაში.

მუხლი 85. კვების ორგანიზაცია სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში

ყოველ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მოსწავლეთა და სტუდენტთა კვება, ბუფეტებისა და სასადილოების ნორმალური მუშაობა.

პ ა რ ი X I I I

პასუხისმგებლობა სახალხო განათლების კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 86. პასუხისმგებლობა სახალხო განათლების კანონმდებლობის დარღვევისათვის თანამდებობის პირთ და მოქალაქეებს, რომლებმაც დაარღვიეს საყოველთაო სავალდებულო რეზერვის განათლების, ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის კანონმდებლობა ან დაუშვეს სახალხო განათლების კანონმდებლობის სხვა დარღვევები, ეკისრებათ სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობა.

პ ა რ ი X I V

უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლება — მიიღონ განათლება საქართველოს სს რესპუბლიკაში, საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი

მუხლი 87. უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლება მიიღონ განათლება საქართველოს სს რესპუბლიკაში

სსრ კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირთ უფლება აქვთ მიიღონ განათლება საქართველოს სს რესპუბლიკაში საბჭოთა მოქალაქეების თანაბრად სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 88. საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი

თუ სსრ კავშირის ან საქართველოს სსრ მონაწილეობით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საერთაშორისო შეთანხმებით დადგენილი წესები განსხვავდება იმ წესებისაგან, რომლებსაც შეიცავს სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო განათლების კანონმდებლობა, მაშინ საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე იყენებენ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საერთაშორისო შეთანხმებით დადგენილ წესებს.



ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. განთავისუფლდნენ სასჯელისაგან ის მსჯავრდებულნი, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთ წლამდე ჩათვლით ან სასჯელი, რომელიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან:

ა) პირები, რომლებიც მონაწილეობდნენ 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა, პარტიზანული რაზმებისა და სახალხო ლაშქრობის შემადგენლობაში, აგრეთვე სხვა პირები, რომლებიც მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებაში საბჭოთა სამშობლოს დასაცავად;

ბ) პირები, რომლებიც დაჯილდოვებულნი არიან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით თავდადებული შრომისათვის 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის პერიოდში.

2. განთავისუფლდნენ თავისუფლების აღკვეთის სასჯელისაგან მიუხედავად დანიშნული ვადისა, მსჯავრდებულნი იმ პირთა რიცხვიდან, რომლებიც ჩამოთვლილია ამ ბრძანებულების I მუხლში:

- ა) ომის ინვალიდები;
- ბ) მამაკაცები 60 წლის ასაკის ზევით;
- გ) ქალები.

3. განთავისუფლდნენ თავისუფლების აღკვეთის სასჯელისაგან მიუხედავად დანიშნული ვადისა, აგრეთვე სასჯელის იმ ზომებისაგან, რომლებიც არ არიან დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, ომის ინვალიდების ცოლები და ქვრივები, რომელთა ქმრები დაიღუპნენ საბჭოთა სამშობლოს დაცვისას.

4. სანახევროდ შეუმცირდეთ ამ ბრძანებულების ძალაში შესვლის დღემდე მოუხდელი სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით ბრძანებულების I მუხლში ჩამოთვლილ პირებს, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით.

5. განთავისუფლდნენ ამ ბრძანებულების 1,

მე-2, მე-3 და მე-4 მუხლებში ჩამოთვლილი პირები გადასახლებისა და გასახლების სახით სასჯელის დამატებითი ზომებისაგან.

6. წარმოებით შეწყდეს ყველა სავამოძიებო საქმე და ამ ბრძანებულების ძალაში შესვლამდე სასამართლოების მიერ გაუნხილველი საქმეები: იმ დანაშაულობებზე, რომლებიც ჩაიდინეს ბრძანებულების მე-2 და მე-3 მუხლებში ჩამოთვლილმა პირებმა;

იმ დანაშაულობებზე, რომლებსთვისაც კანონი ითვალისწინებს სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით ვადით ხუთ წლამდე ჩათვლით ან სასჯელს, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, და რომლებიც ჩაიდინეს ბრძანებულების I მუხლში ჩამოთვლილმა პირებმა.

იმ დანაშაულობათა საქმეების გამო, რომლებისთვისაც კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ხუთ წელზე მეტი ხნით და რომლებიც ბრძანებულების ძალაში შესვლამდე ჩაიდინეს ბრძანებულების I მუხლში ჩამოთვლილმა პირებმა, სასამართლო, თუ საჭიროდ მიიჩნევს დაუნიშნოს მსჯავრდებულს სასჯელი თავისუფლების აღკვეთა ხუთ წლამდე ჩათვლით ან სასჯელი, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, ათავისუფლებს მსჯავრდებულს სასჯელისაგან. ამ შემთხვევებში ხუთ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთის სასჯელის დანიშვნისას სასამართლო სანახევროდ ამცირებს სასჯელს.

7. ამნისტია გამოყენებულ არ იქნეს იმ პირთა მიმართ, რომლებიც:

- ა) მსჯავრდებულნი არიან განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულობათვის;
- ბ) ცნობილი არიან განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად;
- გ) მსჯავრდებულნი არიან თავისუფლების აღკვეთით სამ წელზე მეტი ვადით შემდეგ დანაშაულობათვის: ბანდიტიზმი, მოქმედებანი, რასაც ღებორგანიზაცია შეაქვს შრომა-გასწორების დაწესებულებათა მუშაობაში; ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადება ან გასაღება



დამამძიმებელ გარემოებებში; სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა დამამძიმებელ გარემოებებში; სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება განსაკუთრებით დიდი ოდენობით; ყაჩაღობა დამამძიმებელ გარემოებებში; განზრახ მკვლელობა (გარდა იმ მკვლელობისა, რომელიც ჩადენილია ძლიერი სულოერი ადვოკატების მდგომარეობაში); სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება დამამძიმებელ გარემოებებში; გაუპატიურება ჩადენილი პირთა ჯვუფის მიერ, რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა; აგრეთვე არასრულწლოვანის გაუპატიურება; ქრთამის აღება ან მექრთამეობაში შუამავლობა დამამძიმებელ გარემოებებში, მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა; განსაკუთრებით ბოროტი ხელიგნობა; საჭაერო ხომალდის გატაცება; ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალების ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცება ყაჩაღური თავდასხმის გზით; ნარკოტიკულ ნივთიერებათა დამზადება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა გასაღების მიზნით ან ასეთ ნივთიერებათა გასაღება დამამძიმებელ გარემოებებში; ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცება დამამძიმებელ გარემოებებში;

დ) მსჯავრდებულნი იყვნენ ორ ჯერზე მეტად თავისუფლების აღკვეთით განზრახ ჩადენილ დანაშაულთათვის, აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდებულნი იყვნენ „ა“ პუნქტში აღნიშნულ დანაშაულთათვის, ან იმ პირთა მიმართ, რომლებიც ადრე მსჯავრდებულნი იყვნენ თავისუფლების აღკვეთით სამწელზე მეტი ვადით ამ მუხლის „გ“ პუნქტში ჩამოთვლილ დანაშაულთათვის;

ე) რომლებიც წინათ სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ვადის სრულ მოხდამდე თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გაათავისუფლეს ამნისტიით ან შეწყალების წესით და კვლავ ჩაიდინეს განზრახი დანაშაული;

ვ) რომლებიც ბოროტად არღვევენ რეჟიმის სასჯელის მოხდის დროს.

8. ეს ბრძანებულება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. კოლბოგინი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გომორბაძე.

მოსკოვი, 6 მაისი, 1975 წ.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ რ ე ბ ე უ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ამნისტიის უზისახე

1975 წელს ქალთა საერთაშორისო დღის ჩატარებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხელმძღვანელობს რა ჰუმანიზმის პრინციპებით, ადგენს:

1. განთავისუფლდნენ სასჯელისაგან მსჯავრდებული ქალები, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთ წლამდე ჩათვლით ან სასჯელი, რომელიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან.

2. განთავისუფლდნენ თავისუფლების აღკვეთის სასჯელისაგან, მიუხედავად დანიშნული ვადისა, მსჯავრდებული ქალები:

ა) რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე ორსული ქალები;

ბ) რომლებიც 55 წელს არიან გადაცილებულნი, აგრეთვე ინვალიდები.

3. განთავისუფლდნენ სასჯელისაგან არა-

სრულწლოვანნი, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთ წლამდე ჩათვლით ან სასჯელი, რომელიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან.

4. სანახევროდ შეუმცირდეთ ამ ბრძანებულების ძალაში შესვლის დღემდე მოუხდელი სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით ქალებსა და არასრულწლოვანთ, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით.

5. განთავისუფლდნენ ამ ბრძანებულების 1, მე-2 და მე-4 მუხლებში ჩამოთვლილი ქალები გადასახლებისა და გასახლების სახით სასჯელის დამატებითი ზომებისაგან.

6. წარმოებით შეწყდეს ყველა საგამოძიებო საქმე და ამ ბრძანებულების ძალაში შესვლამდე სასამართლოების მიერ განუხილველი საქმეები;



იმ დანაშაულობებზე, რომლებიც ჩაიდინეს ბრძანებულების მე-2 მუხლში ჩამოთვლილმა პირებმა;

იმ დანაშაულობებზე, რომლებისთვისაც კანონი ითვალისწინებს სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით ვადით ხუთ წლამდე ჩათვლით ან სასჯელს, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, და დანაშაულობებზე, რომლებიც ჩაიდინეს ბრძანებულების 1 და მე-3 მუხლში ჩამოთვლილმა პირებმა.

იმ დანაშაულობათა საქმეების გამო, რომლებისთვისაც კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ხუთ წელზე მეტი ხნით და რომლებიც ბრძანებულების ძალაში შესვლამდე ჩაიდინეს ბრძანებულების 1 და მე-3 მუხლებში ჩამოთვლილმა პირებმა, სასამართლო, თუ საჭიროდ მიიჩნევს დაუშინოს მსჯავრდებულს სასჯელი თავისუფლების აღკვეთა ხუთ წლამდე ჩათვლით ან სასჯელი, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, ათვისუფლებს მსჯავრდებულს სასჯელისაგან. ამ შემთხვევებში ხუთ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთის სასჯელის დანიშნვისას სასამართლო სანახევროდ ამცირებს სასჯელს.

7. ამნისტია გამოყენებულ არ იქნეს იმ პირთა მიმართ, რომლებიც:

- ა) მსჯავრდებულნი არიან განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულთათვის;
- ბ) ცნობილ არიან განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად;
- გ) მსჯავრდებულნი არიან თავისუფლების აღკვეთით სამ წელზე მეტი ვადით შემდეგ დანაშაულთათვის: ბანდიტიზმი; მოქმედებანი; რასაც დეზორგანიზაცია შეაქვს შრომა-გასწორების დაწესებულებათა მუშაობაში; ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადება ან გასაღება დამამძიმებელ გარემოებებში; სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა დამამძიმებელ გარემოებებში; სახელმწიფო ან საზო-

ვადობრივი ქონების გატაცება განსაკუთრებით დიდი ოდენობით; ყაჩაღობა დამამძიმებელ გარემოებებში; განზრახ მკვლელობა (გარდა იმ მკვლელობისა, რომელიც ჩადენილია ძლიერი სულიერი ადვლგების მდგომარეობაში), სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება დამამძიმებელ გარემოებებში; გაუპატიურება, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ, რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა; აგრეთვე არასრულწლოვანის გაუპატიურება; ქრთამის აღება ან მექრთამეობაში შუამავლობა დამამძიმებელ გარემოებებში; მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა; განსაკუთრებით ბოროტი ხელიგნობა; საპაერო ხომალდის გატაცება; ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალების ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცება ყაჩაღური თავდასხმის გზით; ნარკოტიკულ ნივთიერებათა დამზადება, შექმნა-შენახვა, გადაზრდა ან გადაგზავნა გასაღების მიზნით ან ასეთ ნივთიერებათა გასაღება დამამძიმებელ გარემოებებში; ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცება დამამძიმებელ გარემოებებში;

დ) მსჯავრდებულნი იყვნენ ორ ჯერზე მეტად თავისუფლების აღკვეთით განზრახ ჩადენილ დანაშაულთათვის, აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდებულნი იყვნენ „ა“ პუნქტში აღნიშნულ დანაშაულთათვის, ან იმ პირთა მიმართ, რომლებიც ადრე მსჯავრდებულნი იყვნენ თავისუფლების აღკვეთით სამ წელზე მეტი ვადით ამ მუხლის „გ“ პუნქტში ჩამოთვლილ დანაშაულთათვის;

ე) რომლებიც წინათ სასამართლოს მიერ აღნიშნული სასჯელის ვადის სრულ მოხდამდე თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გაათავისუფლეს ამნისტიით ან შეწყალების წესით და კვლავ ჩაიდინეს განზრახი დანაშაული;

ვ) რომლებიც ბოროტად არღვევენ რეჟიმს სასჯელის მოხდის დროს.

8. ეს ბრძანებულება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. კოლბოკონი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სახალხო განათლების შესახებ საქართველოს სსრ კანონის
სამოქმედოდ შემოღების შესახებ

„სახალხო განათლების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1975 წლის 28 ივნისის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. სახალხო განათლების შესახებ საქართველოს სსრ კანონის შესაბამისად საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანამდე მოქმედებენ საქართველოს სსრ კანონმდებლობის ის აქტები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან აღნიშნულ კანონს.

2. საქართველოს სსრ კანონი სახალხო განათლების შესახებ გამოიყენება სახალხო განათლების დარგში იმ სამართლებრივ ურთიერთობათა მოწესრიგებისას, რომლებიც წარმოიშობა კანონის სამოქმედოდ შემოღების შედეგად, ესე იგი 1975 წლის 1 სექტემბრიდან.

1975 წლის 1 სექტემბრამდე წარმოშობილ სახალხო განათლების სამართლებრივ ურთიერთობებში კანონით გათვალისწინებულ წესებს

იყენებენ იმ უფლებებისა და მოვალეობის მიმართ, რომლებიც წარმოიშვა ამ კანონის სამოქმედოდ მიღების შემდეგ.

3. სახალხო განათლების შესახებ საქართველოს სსრ კანონით გათვალისწინებული წესები, რომლებიც ადრე დადგენილი იყო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლებით, გამოიყენება საფუძვლების შესაბამისი წესის სამოქმედოდ შემოღების დღიდან.

4. კანონის 39-ე მუხლით დადგენილი წესები ვრცელდება აგრეთვე მე-40 მუხლში გათვალისწინებულ კონტინგენტზეც.

5. კანონის 72-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესი პედაგოგიურ სამუშაოზე დაშვების პირობების შესახებ არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებსაც არ გააჩნიათ შესაბამისი განათლება, მაგრამ აქვთ პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება და 1976 წლის 1 იანვრამდე დაშვებული არიან პედაგოგიურ სამუშაოზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანჭავაძე.

თბილისი, 1975 წლის 17 ივლისი.



ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
საქართველოს სსრ შულის კოლეჯის მე-9 მუხლის მეორე ნაწილის

რედაქციის შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზი-
დიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუ-
ნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის შექმ-
ნასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ
წყლის კოდექსის მე-9 მუხლის მეორე ნაწილი
ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„წყლის გამოყენების მოწესრიგებისა და დაც-
ვის სპეციალურად რეზერვებულ სახელმწიფო
ორგანოებს წარმოადგენენ საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმ-
წიფო კომიტეტი და მისი ადგილობრივი ორგა-
ნოები მათი კომპეტენციის ფარგლებში“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. კოჩენიძე**.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვანახია**.

თბილისი, 1975. წლის 17 ივლისი.



ინფორმაცია

გულთბილი უახვარა

გაიმართა რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების, „დოსაადის“ კომიტეტისა და ქალთა საბჭოს საზეიმო სხდომა მიძღვნილი დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის ძლევაში ილი გამარჯვების 30 წლისთავისადმი.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით განსნა პარტიული კომიტეტის მდივანმა **წ. ალაიძემ**.

დარბაზში შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს დიდ სამამულო ომში გმირულად დაღუპულ პროკურატურის ორგანოების ყოფილ მუშაკთა ხსოვნას.

გერმანიის ფაშიზმზე საბჭოთა ხალხის გამარჯვებაში საბჭოთა საქართველოს მიერ შეტანილი წვლილის შესახებ შეკრებილთ ესაუბრა დიდი სამამულო ომის მონაწილე, 414 ქართული დივიზიის ყოფილი მეთაური, თადარიგის გენერალ-მაიორი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი **ა. ბაბალაშვილი**.

ომის ქარცეცხლიან დღეთა შესახებ მოგონებებით გამოვიდნენ სამამულო ომის ვეტერანები: რაიხსტაგის ბრძოლების მონაწილე, სახე-

ლოვანი ქართველი ექიმი ქალი **გ. ჯაში**, კავკასიის დაცვისათვის ბრძოლების აქტიური მონაწილე ანაბის ქართული დივიზიის ყოფილი მეთაური თადარიგის გენერალ-მაიორი **გ. ურუშვილი**, რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი **ვ. ასიეშვილი** და ომის მონაწილე ვეტერანი ქალი, პროკურატურის ქალთა საბჭოს წევრი **ლ. ასლამაშოვა**.

ომის ვეტერანებს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს საგამომძიებლო განყოფილების პროკურორმა **კ. ნარმანიამ**, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელმა **ვ. წერეთელმა** და სხვებმა.

დასასრულს რესპუბლიკის პროკურორის მოადგილემ **ვ. ედიშერაშვილმა** პროკურატურის კოლექტივის სახელით საპატიო სტუმრებს გადასცა სამახსოვრო სუვენირები, უსურვა მათ მხნეობა, პირადი ბედნიერება და ახალი წარმატებები მოზარდი თაობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში.

კითხვა-პასუხის საღამო

საჩხერის რაიონული კულტურის სახლმა და კორბოულის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა, 30 ივლისს კორბოულის სასოფლო კლუბში მოაწვეეს კითხვა-პასუხის საღამო თემაზე: „სამართლებრივი ცოდნა მასებს“.

საღამო განსნა საჩხერის რაიონული კულტურის სახლის დირექტორმა **დ. შიშილაძემ**.

დამსწრეებმა დასმულ კითხვებს პასუხები გასცეს: რაიონის პროკურორმა **ბ. მჭედლი-**

შვილმა, რაიონის სახალხო მოსამართლემ **ი. მიროტაძემ**, შსს საჩხერის რაიგანყოფილების უფროსმა **დ. შატარძემ**, საჩხერის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა მიწადმომწეობმა **მ. მოსინაშვილმა** და საჩხერის რაისოცუზრუნველყოფის განყოფილების უფროსმა ინსპექტორმა **მ. პაპანაძემ**.

ა. ანასაშვილი.

ბედნიერი ამრჩენისა

თბილად, ტკბილად ცხოვრობდა ტარ-ნიცკის ოჯახი. მათ რომ დავეუფებოდრი, რატომღაც ეჭვი შემეპარა მათ ბედნიერ მე-ულღობაში. ორივე ღამაში და ახალგაზ-რდა და ჩემი უთავბოლო ეჭვი ჩრდილსაც კი ვერ აყენებს მათ სახელებს. ნამდვილად სამაგალითონი არიან. ოჯახი შექმნილია ხალასი, უმწიკვლო სიყვარულის საფუძ-ველზე.

ქალს უყვარს ქმარი და ქმარიც გიჟდება თავის ფერიანზე. ცუდს ერთმანეთზე არას-დროს ამბობენ. ყოველთვის ერთად ვხედავ. ყოველ წელს ერთად მოგზაურობენ.

სწორედ ასლახანს დაბრუნდნენ შორეუ-ლი, საუცხოო ტურისტული მოგზაურობი-დან. აღმოსავლეთის ქვეყანაში, ინდოეთში იყვნენ.

გადავწყვიტე მათი ნახვა.

მხოლოდ კაცი დამხვდა სახლში.

— ო, როგორ გაეხარდება ჩემს ცოლს შენი ჩვენთან ხილვა! — მომესალმა გაღი-მებული მასპინძელი. — საპარკიკმანეროში წავიდა და ნახევარ საათში დაბრუნდება.

სასტუმრო ოთახში დავსხედით და მას-პინძელმა მოგზაურობის შთაბეჭდილებე-ბის მოყოლა დაიწყო...

შენ წარმოიდგინე, შევხვდით მისანს, რო-მელიც დალატის ელექსირს ყიდდა. პატარა ბოთლში გამჭვირვალე, წყალის მსგავსი სითხეა. მას ის თვისება აქვს, რომ შავდე-ბა, რამდენჯერაც მეუღლენი ერთმანეთს უდალატებენ.

— სასაცილოა. შენ გჯერა ასეთი სისუ-ლღეების?

— არა, მაგრამ ჩემმა ცოლმა ერთი ფლა-

კონი მაინც იყიდა. ისე, ტყუილად, გასარ-თობად. შემძლია გაჩვენო.

ვიდრე მოვასწრებდი მეპასუხა, რომ არ მაინტერესებს-თქო, ჩემმა მეგობარმა საწოლ ოთახში შეიბრინა და წუთში ის ფლაკონი მოიტანა.

— სასაცილოა არა? იცი რა? მოდი ჩემ ცოლს თინი მოვუწყუთ, მაგრამ როგორ?

— მოვიფიქრე. გადმოვასხათ ეს სითხე და მის მაგიერ შავი მელანი ჩავასხათ...

— კარგი, და კვლავ კარადაში დავდგათ. ასეც მოვიქცეთ.

— მაინტერესებს ჩემი ცოლის სახე, რო-ცა სითხეს ნახავს.

მალე, კარებში მშვენიერი არსება გა-მოჩნდა. გულთბილად მომიკითხა, ქმარს ნა-ზად აკოცა და გამოგვესაუბრა. საუბრის თემა, რასაკვირველია, ის სითხე და ფლა-კონი იყო.

— ეს ხომ აშკარად ტყუილია, არ მჯერა სასწაულების, მაგრამ მაინც ვიყიდე ის ელექსირი. იაფი ღირდა და...

— ალბათ უკვე გადააგდე კიდევ, არა?



— არა. შენახული მაქვს იქ, კარადაში.

— თუ შეიძლება მომიტანეთ და მაჩ-ვენეთ.

— კი ბატონო, დიდი სიამოვნებით...
ლამაზი ქალი მსუბუქად წამოდგა და
ისეთი ნაბიჯებით გაიარა, თითქოს მაშინ-
ვე უნდა დაბრუნებულიყო.

მე და ჩემმა მეგობარმა თვალი ჩავუკა-
რით ერთმანეთს, სიცილით ვიგულებით და
ველოდებით მას. ის კი შეეყოვნდა.

ორივენი ცოტა არ იყოს განცვიფრებული
ვიყავით. ჩვენ ხომ ფლაკონი იმავე ადგილ-
ზე დავდეთ.

ცოტა ხნის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება

შეგვექმნა, თითქოს ვიდაცამ აბაზანაში ონ-
კანი მოუშვა.

დრო მიდიოდა.

ბოლოსდაბოლოს თთახში შემოვიდა მშვე-
ნიერი არსება ჯადოსნური ფლაკონით ხელ-
ში და ოდნავი ღიმილით გვაჩვენა...

ფლაკონში გამჭვივრულე სითხე იყო. მე
ქმარს მივაშტერდი.

მას დაჭყეტილი თვალეები გაქვავებოდა.

პოლონურიდან თარგმნა ინგბ კაპაბაძემ.

შედეგების გასწორება

უფროსად „საბჭოთა სამართლის“ 1975 წლის მე-2 ნომრის 64-ე გვერდზე
მე-2 სვეტის ბოლოდან მე-8 და მე-2 აბზაცი უნდა იკითხებოდეს:

№№ 254—257 საბუთებს 1739—1741 წლებით ვათარიღებთ და სამივე საბუ-
თის ლეგენდაში ვწერთ: „საბუთი შედგენილი უნდა იყოს კათალიკოს ღოშენტის
ექსორიობიდან დაბრუნების შემდეგ“. (გვ. 1186—1187).

№ 287 „საბუთი თარიღდება ბესარიონ კათალიკოსის ზეობის წლებით.
მაგრამ საბუთი შედგენილი უნდა იყოს 1742—1752 წლებს შორის, ე. ი. ბესა-
რიონის ზეობის პირველსა და აღექსანდრე მეფის უკანასკნელ წელს შორის“.
(გვ. 1189).

შემდეგ როგორც ტექსტშია.

642/188



ფანის 50 პპპ.

ИНДЕКС 70185

საბჭოთა სამართალი № 4

(На грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Министерства Юстиции Грузинской ССР